

სერგი ლომაძე

გზა

მწვერვალისკენ

(ლიტერატურული პორტრეტი
გულნაზ ხარაიშვილისა)

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

სერგი ლომაძე



გზა
მწვერვალისკენ

(ლიტერატურული პროტრეტი გულნაზ ხარაიშვილისა)

თბილისი 2013

უკ (UDC) 821.353.1.09
ლ-811

რედაქტორი: კახა ბაციკაძე
ტექნიკური რედაქტორი: ვასო ლომაძე
მხატვრული რედაქტორი: გიორგი ზუხბაია

© ვასო ლომაძე

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ISBN 978-9941-0-5820-2

... თითქოს სიმბოლურია, რომ ამ ადამიანს პირველად შეეხვდი თვით წმინდა სამების ტაძრის კომპლექსში არსებულ ერთ-ერთ დარბაზში, იმ დარბაზში, რომელიც ხშირად ეთმობა ხელოვნების წარმომადგენლებს, მათ შემოქმედებით სადამოებს, და იქ ხელოვნება ჩასახლდა.

მოგეხსენებათ, რომ სამების საკათედრო ტაძარს მეორე სვეტიცხოველსაც უწოდებენ. ჩემში კი ეს ქმნილება, ეს ახალი საოცრება, ყოველთვის იწვევს ქვაში ნაკვეთი „გეფისტყაონის“ ასოციაციას. რაღაცნაირი თბილი და პოეტური ქმნილებაა დალოცვილი, მისი გრანდიოზული კედლების ფერი მზეს ისრუტავს: სრულიად გაჯერდება ხოლმე აგუზგუზებული მზის სხივებით და შემდეგ თითქოს თვითონ ანათებს ტაძარი, თან ისე ანათებს, როგორც ყველა დროის უპირველესი ქართველის – შოთა რუსთაველის პოემა ავსებს სინათლით მთელს ჩვენს ლიტერატურას, – პოეზიის ნამდვილი მეფე ხომ, რომელიც როდის-როდის (მეთორმეტე მეცამეტე საუკუნეებში) ცხოვრობდა, დღემდე რჩება სალოცავ ხატად თითოეული ქართველი პოეტისათვის.

მაგრამ ახლა სხვა ამბავზე ვწერ. სხვა თემა უნდა გავშალო. ქართული კლასიკური პოეზია კი სამების ტაძარმა მომაგონა, რომელიც თვითონ პოეზიაა-მეთქი, ქვაში ნაკვეთი პოეზია.

და ვიმეორებ: სიმბოლური მგონია, რომ სწორედ ამ ტაძრის ერთ-ერთ დარბაზში შეეხვდი, პირველად, საზოგადო მოღვაწეს, პოეტსა და პროზაიკოსს გულნაზ ხარაიშვილს (სხირტლაძეს), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდებული პიროვნება აღმოჩნდა ყველა იმათგან, ვისაც კი ოდესმე შეეხვედრივარ.

ქალბატონი გულნაზის შესახებ იმ დღემდეც მსმენოდა. მაგალითად: ვიცოდი, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა; რომ იყო იმ აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, რომელიც რჩეული მეცნიერ-ფილოსოფოსისა და მოგზაურის, სპორტსმენის, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენის – ჯუმბერ ლეჟავას სახელს ატარებს; ვიცოდი ისიც,

გულნაზ ხარაიშვილს ჟურნალი „ათინათიც“ რომ დაეარსებინა და თვითონვე რედაქტორობდა ამ საინტერესო წამოწყებას.

მაგრამ არ ვიცოდი, თუ ასეთი ერთგული, ასეთი ფანატიკოსი პოეტი იმალებოდა მასში, როგორც, აგერ, ამ სტროფშია გადმოცემული:

„ლექსი მამშვიდებს... ლექსი მშია, ლექსი მწყურია...“

სიცოცხლე არის ზეციური ღმერთის წყალობა.

ჩემი ლექსები სიოსავით საამურია;

მიაყურადეთ... გაიგონეთ სულის გალობა...“

ეს კუბლეტი (სტროფი) შეიძლება გულნაზ ხარაიშვილის სავიზიტო ბარათადაც კი ჩაითვალოს, იმდენად იტყვს ამ ადამიანის ცხოვრების მრწამსს, საზრისს სიცოცხლისას. მაგრამ ესეც კი არასრული სახე-ხატია მისი სულისა.

თუმცა იმ დღეს, ანუ ჩვენი გაცნობის დღეს, უნდა გამოვტყდე, რომ მე კარგად არ ვიცნობდი მის პოეზიას, მის ლიტერატურას – საერთოდ.

ახლა კი ზეპირადაც შემიძლია მისივე წიგნების ჩამოთვლა: „ფიქრები“, „შენ მენატრები“, „ღმერთკაცი და თოლია“, „მდუღარე ცრემლი“, „მკვლევლობა საკუთარ სახლში“, „მზის ათინათი“, „სულის არეში“, „მზის მკლავებში“.

ხოლო მაშინ...

მაშინ ასე არ იყო, –

ღიახ, მაშინ ნაკლებად ვიცნობდი გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებას. მაშასადამე, მისი პიროვნების შეცნობაც არ შემეძლო.

არ მახსოვს, თუ რა ღონისძიება ტარდებოდა, მაშინ, ხსენებულ დარბაზში, მაგრამ თვით იმ დღეს კი მაინც მკვეთრად ვისხენებ. აგერა, მეხსიერებაში იკვეთება ვრცელი, ნათელი სივრცე. ესაა ქვე-სივრცე ტაძრისა, დარბაზად ქცეული. აქ ფუსფუსია. ხალხის მოძრაობაა ხშირი. ეს იგი, ჯერ არ დაწყებულა შემოქმედებითი საღამო. მე მარტო არა ვარ. თან მახლავს მეგობარი, – პოეტი კახა ბაციკაძე. ჩვენი პიროვნებანი წარუდგინეს სოლიდურ ასაკში მყოფ დარ-

ბაისელ ქალბატონს. რაღა თქმა უნდა, არც იგია მარტო: ახლავს პროექტები – მანანა დანგაძე (კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მეუღლე), ნუნუკა გურალია და სხვები. მანანაც, ნუნუკაც, იმავეწამს იწყებენ ჩემი და კახას ქებას, პირდაპირ ცაში აყვანას: აშკარად სურთ, რომ კარგი შთაბეჭდილება დავტოვოთ ჩვენთვის ჯერაც უცნობ ქალბატონზე... სწორედ ეს ადამიანი აღმოჩნდა გულნაზ ხარაიშვილი, – რჩეული საზოგადო მოღვაწე და პროექტი, რომლის სახელი როგორც უკვე ვთქვი, მანამდეც არაერთხელ მქონდა გაგონილი.

მოკლედ, ტაძარში გავიცანით ტაძარივით დიდი და თბილი გულის მქონე ადამიანი.

ქალბატონი გულნაზი ურთიერთობაში ძალიან უბრალო, უშუალო აღმოჩნდა. სულ გაიხარა, როცა გაიგო, რომ ჩვენც პროექტები ვიყავით, და იმავეწამს შემოგვთავაზა თავის ჟურნალში („ათინათში“) თანამშრომლობა. იმავე – ორიათას-თორმეტი წელს დაიწყო ჩვენი შემოქმედების გამოქვეყნება ამ ჟურნალში. თანაც, გულნაზ ხარაიშვილის მზრუნველობა ამით არ დასრულებულა, – მან ჯერ საკუთარ აკადემიაში გაგვაწვევრიანა პროტ-აკადემიკოსებად, ხოლო შემდეგ ფაზისის აკადემიის პრეზიდენტთან – ნუგზარ ნადარაიასთან გვიშუამდგომლა და იქაც წარმატებით დასრულდა ჩვენი არჩევა. ცოტა არ იყოს, დაგვაბნია კიდევ გულნაზის ინიციატივამ და ენერგიულობამ. ჩვენი დღევანდელი ლიტერატორები (არა მარტო ლიტერატორები) ხომ, სამწუხაროდ, ერთმანეთისადმი შურითა და ფარული თუ აშკარა მტრობით უფრო არიან ცნობილნი, ვიდრე ასეთი უანგარო თანადგომით. გულნაზ ხარაიშვილი კი იმგვარი ადამიანი აღმოჩნდა, რომლის ირგვლივაც ყველა და ყველაფერი უკეთესობისაკენ იცვლება.

მას აქვს ერთი ძალზედ დასაფასებელი თვისება, რომელსაც სხვათა სიხარულით გახარება ჰქვია.

შეიძლება ამიტომაც აწყობს, მაგალითად, იმ გასაოცარ ლიტერატურულ – მუსიკალურ-მეცნიერულ სადამოებს, თუ ზეიმებს, რომელთაგან ზოგი მათგანი სამუდამოდ აღმე-

ბეჭდა მეხსიერებაში. ამ სადამოების ჩატარების ადგილი სხვადასხვაა (უფრო ხშირად, მაინც, ხელოვნების აკადემია და სამების ტაძარი); სხვადასხვაა ის ქალაქებიც, სადაც ეს ღონისძიებები ტარდება (რადა თქმა უნდა, უპირატესობა მაინც დედაქალაქს ენიჭება – თბილისს, თუმცა მე დამამახსოვრდა, ვთქვათ, ის შეხვედრაც ქალაქ რუსთავში რომ მოუწყო აკადემიამ ერთ-ერთ ურჩეულეს სასულიერო პოეტსა და მოღვაწეს – მამა თადეოსს, მიტროპოლიტს. იმ დღეს დაემთხვა ჯუმბერ ლეუავას აკადემიის ფილიალის გახსნაც რუსთავში).

გამაოგნებელია ენერგიულობა და მასშტაბურობა გუგუნაზ ხარაიშვილისა. ერთის მხრივ, მართლა არ მინდა, რომ ეს წიგნი ერთი კონკრეტული პიროვნების იდეალიზაციად ჩამომართვან, მაგრამ, მეორეს მხრივ, სიმართლეს თვალი უნდა გავუხსწოროთ; სიმართლე კი ის არის, რომ ქალბატონ გუგუნაზს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ძნელად რომ დღევანდელ საქართველოში რომელიმე ქალი შეედაროს. სხვათა შორის, ეს არაერთხელ მითქვამს. და აქ არაფერ შუაშია პიროვნების კულტივირება. მაგალითად, დასავლური ცივილიზაცია, რომლისკენაც ჩვენ ასე მივისწრაფით, (აკი ევროპელობაზე ასე ვდებთ თავს და პირველ ევროპელთა არქეოლოგიური ნაშთებიც სწორედ რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა; სწორედაც საქართველო და საბერძნეთი (ძველი საბერძნეთი) დაგვისახავს თანამედროვე ევროპის მამებად თუ მესაძირკვლეებად), დიდი ხანია ქადაგებს რჩეულ ადამიანთა მათს სიცოცხლეშივე დაფასება-აღიარებას, თანაც როგორ აღიარებას! . . ჩვენ კი... ჩვენ ამ მხრივ ყოველთვის მოვიკოჭლებდით და მოვიკოჭლებთ. არ შეიძლება დიდ პიროვნებათა დაუნახავობა. მე ამ ცოდვაში ვერ ჩავდები... და ის, რომ ქალბატონ გუგუნაზს ზოგადად ქართული კულტურის წინაშე აქვს თავისი მკვეთრი დამსახურება, დვაწლი, არ უნდა დაიმალოს. არც დაიმალა. აკი იმიტომაც არის რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი, ხოლო ჯუმბერ ლეუავას მრავალპროფილიანი საერთაშორისო

აკადემია, როგორც უკვე აღვნიშნე, სულაც რომ გულნაზ ხარაიშვილის იდეითა და დიდის ძალისხმევით შეიქმნა. ეს მოხდა ორიათასათ წელს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ აკადემია „ქალდეას“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორიც სწორედ გულნაზი გახლდათ. (მოგეხსენებათ, – „ქალდეას“ დღეს-დღეობით უძღვება პოეტი ვაჟა ეგრისელი).

გულნაზ ხარაიშვილი, რომელიც უკვე გადასცილდა სამოც წელიწადს, ოცდარვა-ოცდაათი წლის ადამიანის ენერგიულობით უძღვება საქმეებს თავისი ღვაწლის სრულყოფისას, და სანამ კონკრეტულად გადავიდოდე მის პოეზიაზე, ანუ მისი პოეზიის გარკვეულ ანალიზზე, მანამდე არ შემიძლო ამ თემას არ შევხებოდი. დიახ, ზოგ ადამიანში მრავალმხრივობა მეტისმეტად იკვეთება. ამგვარ ადამიანზეა, ახლა, საუბარი. ასეთია გულნაზი. და თუმცაღა იგი დიდებული პოეტია, თუმცაღა პოეზიაა სული და გული მისი, სიცოცხლე მისი, მაინც არ გამოვიდოდა მკაფიო პორტრეტი ამ ქალბატონისა, მე თუ მხოლოდ მის პოეზიაზე ვილაპარაკებდი.

მაგალითისათვის:

განა ლეგენდარული ილია ჭავჭავაძე, უპირველესად ყოვლისა, პოეტი არ იყო, ხელოვანი არ იყო?

დიახ, ასეა!

მაგრამ განა ილიას პორტრეტს, მის საასპარეზო არეალს ექნებოდა სისრულე, თუკი მხოლოდ მისი ხელოვნებით შემოვიფარგლებოდით და ღვაწლზე კი თვალს დაგხუჭავდით, სიტყვას არ დავაცდენდით?

არა, რა თქმა უნდა!

ილია სწორედ ხელოვნებისა და ღვაწლის ერთობლიობამ შეიყვანა ყველა დროის ათი უდიდესი ქართველის ნებისმიერ ჩამონათვალში, ერის მამაც ამ ორი გრანდიოზული სამყაროს (მისივე ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ღვაწლის) გაერთიანებისა გამო უწოდეს მას.

არა, გულნაზ ხარაიშვილისადმი რაგინდ თბილი დამოკიდებულებაც უნდა მაკავშირებდეს, რაღა თქმა უნდა, ვერც კი გავბედავ, რომ იგი წმინდა ილია მართაღს, ან, ვთქ-

ვათ, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს შევადარო, – ასეთ რამეზე ხომ, უპირველეს ყოვლისა, თვითონ გუღნაზი გამკიცხავს: ნამდვილად არ მომიწონებს ამგვარ კადნიერებას. მე მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ ილია ჭავჭავაძეა, სწორედ, ის კაცი, ის ადამიანი, ვინც იდეალურად შეძლო საზოგადოებრივი ღვაწლისა და ხელოვნების ერთმანეთთან შეთანხმება, ამათი ერთობის შექმნა. აი ექვთიმე თაყაიშვილი კი, უფრო, საზოგადოებრივ ღვაწლსა (გმირობამდე ატანილ-ამაღლებულს) და მეცნიერებას აერთიანებდა, – იგი იყო დიდი მეჭურჭლეთუხუცესი სრულის საქართველოსი, თავდადებული დამცველი ქართული განძისა, და დიდებული მეცნიერ-მწიგნობარი...

გუღნაზ ხარაიშვილიც ცდილობს ორი გზა გააერთიანოს, ორი ნათელი სფერო ერთსრულჰყოს, – ხელოვნება (ხელოვნება-მეცნიერება) და საზოგადოებრივი ღვაწლი განუხრელად გადააჭდოს ერთმანეთს. ამ საქმეს, იგი, ჩუმად, უანგაროდ ემსახურება, ისე, რომ გენიოსებთან თავის შედარება ფიქრადაც არ მოსდის. თუმცადა, რასაც აკეთებს, რასაც ჰქმნის მისი დალოცვილი გონება და ხელები, ყველაფერი არის კარგი, დიდებული, რამეთუ გუღნაზი გახლავთ თავდადებული იდეალისტი, სწორედ რომ ფანატიკოსი-იდეალისტი თავისი საქმისა.

და ამიტომაც, სანამ მის ხელოვნებაზე დავიწყებული ლაპარაკს, მისსავ ღვაწლზედაც უცილობლოდ უნდა მელაპარაკა.

გარდა ხელოვანობისა (პოეტი და პროზაიკოსი), იგი არის ასევე მეცნიერიც (თავისებური ფილოსოფოსი), ბიბლიოოგრაფიც და ჟურნალისტიც. კულტურის დამსახურებული მუშაკია, წლების განმავლობაში იყო კულტურის ცენტრის დირექტორი თბილისში. მასში, როგორც უკვე აღვნიშნე, არის დიდი ენერჯია, შეზავებული ლიდერ-ორგანიზატორის თვისებებთან. თვითონვეა იდეოლოგი, ინიციატორი საქმეთა, ხოლო დიდ წამოწყებათა ხორცშესხმას სწრაფად იწყებს. მას არა სჩვევია საქმის გაჯანჯლება. ჩვენს ქვეყანაში

ოთხი-ხუთი აკადემია მაინც არის ისეთი, რომელსაც ქალბატონმა გუღნაზმა თავისი ხელი დაატყო. ამას გარდა, ის არის იდეის ავტორი ზვიად გამსახურდიას სახელობის კერძო სკოლის („ლამპრის“) დაარსების თბილისში. ითვლება ამავე სასწავლებლის პრორექტორად...

ესაა არასრული ჩამონათვალი გუღნაზ ხარაიშვილის საქმეებისა.

იგი, როგორც ლიდერი, როგორც მმართველი, აბსოლუტურად თავისებური თუ თავისთავადი ფენომენია. მისი გაძღოლა აკადემიაში, მისი ურთიერთობა ადამიანებთან, ასე ვთქვათ, მისივე პოლიტიკა ურთიერთობებისა, ეს ცალკე დაკვირვება-გაკვირვება-განხილვის საგანია. ურთიერთობაში თბილი პიროვნებაა—მეთქი, ვთქვი, ხანდახან მშობლიურად (მშობლურად) თბილიც კი, მაგრამ ამავე დროს ძლიერი პიროვნებაც არის, ასევეა ამაყიცა და თავმდაბალიც — ერთდროულად. დარბაისლობა და უბრალოება მასში ერთად ცხოვრობს. თავის სულიერ სიძლიერეს იშვიათად აჩენს. ურჩევნია იყოს რბილი და უკონფლიქტო, სხვათა პატივისმცემელი უფრო, ვიდრე — დაფასებული (სხვათა ქებას იგი არასოდეს გაურბის, პირიქით, აღმატებულადაც კი წარმოსახავს სხვა ადამიანთა პიროვნებებსა თუ ღვაწლს)... მაგრამ როდესაც თავისი საისტორიო საქმეების სრულყოფისაკენ მიდის, მაშინ კი წინ არ უნდა გადაუდგე, თორემ ხარაიშვილთა ცნობილი გვარის ამ დიდებული წარმომადგენლის პიროვნულ ძალას მყის იგრძნობ. იმავეწამს მიხვდები, რომ არა ხამს ხელშეშლა დიდთა საქმეთა დირიჟორისა. იგი თითქოს თავადის ქალად არის დაბადებულ-აღზრდილი, რომელსაც უნდა ეკრძალო, თუკი რაღაც დიდი ჩანაფიქრი აქვს, ხოლო შენ ამ ჩანაფიქრის ასრულებაში დახმარება არ ძალგაძის, ან, უბრალოდ, არა გსურს, — თუკი გული, გრძნობა შენი, ვერ შეეწონადება დიდ იდეას...

მას უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს: წარმატებათა გვერდით იმდენი შხამ-სამსალა უნახავს ამ ცხოვრებაში, იმდენი სიმწარე, რომ გაკლდევებულია პიროვნუ-

ლად, აღარ უტყდება არა მარტო პატარა იმედგაცრუებას, არამედ დიდ ტრაგედიასაც კი.

მაგრამ ასეთი ძლიერი, თითქმის სრულყოფილებამდის მისული ინდივიდიც კი, არ არის „ჯიუტი“ – არაა თავის თავში ზედმეტად დარწმუნებული. მისი ამბიცია არაა თვალში საცემი, პირიქით, ყოველთვის მჭიდროდაა შემოსაზღვრულ – გაკონტროლებული. მან უკან დახევაც იცის, როცა ამის საჭიროება აუცილებელია, და – სხვათა მოსმენაც, სხვათა აზრის თუ რჩევის გათვალისწინებაც, როცა ხედავს ჭეშმარიტებას ამა თუ იმ ნააზრევისა თუ ნარჩევის.

სწორედ ამგვარ ნიუანსებზეა აგებული პოლიტიკა ადამიანებთან ურთიერთობისა, ანუ – პოლიტიკათაგან უმთავრესი ამ ცხოვრებაში.

გულნაზ ხარაიშვილს აქვს ლიდერის თვისებები და არის მკვეთრად მიზანდასახული ადამიანი, მაგრამ იგი სრულიადაც არ გახლავთ დიქტატორული ბუნებისა. ესეც მისი პლუსია. ქალი, საერთოდ, არც უნდა იყოს ზედმეტად ძალაუფლებისმოყვარე. გავისხენოთ, რომ წარსულში, ისტორიაში, თვით მატრიარქატებიც კი, უმეტესწილ, რამოდენიმე მამაკაცის ფრთხილი ზედამხედველობით მიმდინარეობდა. გულნაზისაც ჰყავს გვერდით ისეთი ადამიანები, რომელთა რჩევას ეყრდნობა იგი. ასეთებია, მაგალითად, ნუგზარ ნადარაია და ჯუმბერ ლეჟავა, ამათთან ერთად, შეიძლება, რეზო ადამია და კიდევ ერთი-ორი სხვაც დავასახელო, თუნდაც – მიტროპოლიტი თადეოზი, რომელსაც უამრავი ქართველი აღიარებს თავის სულიერ მამად.

ქალბატონი გულნაზი თავის აკადემიაში მმართველობის დემოკრატიული პრინციპით გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ იქ სიტბოა, შინაურული გარემო, და წარმატებულია როგორც აკადემიაში არსებული ჟურნალი „ათინათი,” ასევე ის ღონისძიებები, რომელნიც ამ აკადემიის და მისივე ჟურნალის ეგიდით იმართება. მეტიც: გულნაზ ხარაიშვილმა იმდენს მიაღწია, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია უფრო და უფრო ხშირად იხსენიება პირველი (მთავარი)

აკადემიისა და ფაზისის აკადემიის გვერდით. ეს სამი ორგანიზაცია, ისევე, როგორც, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ანუ – თერთი ტადარი თუ ცოდნის ტადარი – როგორც არაიშვიათად უწოდებენ მას), თავის მკვეთრ ნიშანს ამჩნევს დედაქალაქის ცხოვრებას.

გულნაზ ხარაიშვილის შესახებ, ამ წიგნამდე, ერთადერთი სტატია მაქვს დაწერილი. წერილობითი სახით პირველად სწორედ მაშინ ვაღიარე მისი ღვაწლი, ასევე, მისი მზისფერი პოეზია. იმ სტატიაში იგი შევადარე ჩემი ერთ-ერთი პოემის გმირს (პოეტ ფარტაზს), რომელიც აზვირთებულ ოკეანეს შეემეტოქა. და მართლაც, განა ასე არ არის? – ოკეანესავით გრანდიოზულად მასშტაბურია იგი საქმენი, რომელთაც შესჭიდებია და ხანდახან პირისპირ მარტოდაც კი შერჩენია ეს უტყუი ქალბატონი, მეოცნებე და იდეალისტი.

არ შემიძლია არ გავიხსენო ის შემოქმედებითი საღამოები, რომელნიც გამართულა ლეკავას აკადემიის ნიშანტვიფარის ქვეშ, გულნაზ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით, მისი წამყვანობით. ისინი, ხშირ შემთხვევაში, დიდ პოეტურ ზეიმებად გადაქცეულან. ორ ამათვანზე მაინც განსაკუთრებით უნდა შევახერო ჩემი და მკითხველის ყურადღება.

წელს (ორიათასცამეტ წელს), იანვარში, ხელოვნების აკადემიის შენობაში ჩატარდა ერთ-ერთი ღონისძიება... აღნიშნული აკადემია-სასწავლებლის შენობაში გულნაზს აღებულნი აქვს ერთი ოთახი, თუმცა მას პატივს სცემენ და ხელს უწყობენ იმ მხრივ, რომ ხშირად უთმობენ სხვა ოთახებსაც (თუ – აუდიტორიებს) და დარბაზსაც. ამიტომ გულნაზ ხარაიშვილს აქ საშუალება აქვს თავისი კულტურული მუშაობის გასაშლელად. მან სწრაფად შემოიკრიბა გვერდით ლიტერატორები, მუსიკოსები, მხატვრები, მეცნიერები... ასე დაარსა თავისი პატარა კულტურული იმპერია. თავისი საღედოფლო.

სხვათა შორის, ხელოვნების ეს აკადემია-კოლეჯი (თუ – ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელთაგანი), სულმნათი ლეგ-

ენდის – აკაკი წერეთლის ძეგლის გვერდით მდებარეობს, იქვე, ახლოს, და აკაკის პოეტური აურა თითქოს გადადის ამ შენობაზედაც. თითქოს არაა შემთხვევითი, რომ სწორედ ამ სასწავლებლის რექტორმა დაასახლა თავისი დაწესებულების შენობაში ისეთი უბადლო მოღვაწე, როგორც არის ქალბატონი გულნაზი.

და აი, სწორედ ამ შენობის ერთ-ერთ დარბაზში, იანვრის თეთრ თვეს (ზამთრის სამივე თვეს, დეკემბერ-იანვართებერვალს თეთრ თვეს ვუწოდებ), ჩატარდა ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. ვინ არ ესწრებოდა მას, – დიდები თუ პატარები (აი, „ნორჩ ათინათელებს“ რომ უწოდებს გულნაზი), პოეტები თუ პროზაიკოსები, მუსიკოსები, მეცნიერები... შევნიშნე რამოდენიმე პედაგოგიც და სკოლის დირექტორიც, ასევე – გარკვეული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. მაგალითად – პოეტი თამაზ ცაბუტაშვილი „ქართუ – ჯგუფს“ წარმოადგენდა; ვიცანი ერთი-ორი ბიზნესმენიც...

შემოქმედებითი საღამო თავიდანვე ამადლებული განწყობილებით დაიწყო და ბოლომდე ასე წარიმართა (რამოდენიმე საათს გასტანა). გულნაზიმ პოეტებს კარგი საშუალება მისცა თავის წარმოჩენისა, ამიტომაც თამაზ ცაბუტაშვილი და კახა ბაციკაძე გამორჩეულად გაბრწყინდნენ თავიანთი ლექსებით. კახამ წაიკითხა ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში დაწერილი მისი ლექსი-შედევი „ქარიშხლიანი უდელტეხილი“ და სრულიად გააოგნა დარბაზი. იგი საუკეთესო პოეტად სცნეს, მრავალთაგან რჩეულად. კახას ძმურად გადაეხვია თამაზ ცაბუტაშვილი და თავის პოეზიის საღამოზე მიიწვია პერსონალურად. რომ არა ქალბატონი გულნაზი, არც ის ღონისძიება შედგებოდა და არც ორი შესანიშნავი პოეტის შეხვედრა. კახას იმდღევანდელი აღიარების მსგავსი ცოტა მახსენდება, სულაც – თითებზე ჩამოსათვლელი. ვთქვათ: ჩემს შემთხვევაში ეს იყო გასული საუკუნე ოთხმოცდათექვსმეტი წელი, უნივერსიტეტში ჩატარებული ერთ-ერთი სკანდალური პოეზიის საღამოს ამბავი.

იმავე სადამოხე იყვნენ იგივე კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაია (ზუხბა), რომელთაც ერთი წლის შემდეგ ხვდით წილად ასეთივე აღიარება. მერე იყო, ვთქვათ, ორიათასსამი წელი, როცა მე და ჩემმა ძმამ – ვასო ლომიძემ დავხურეთ პოეტების ერთ-ერთი შეკრება-სადამო. ასევე აუცილებლად უნდა გავიხსენო ორიათასსუთი წელიც, როცა გამოვაქვეყნეთ ჩემი ჯგუფის – „ზღვარის“ წიგნი „თეთრი სიზმარი“ (წიგნს ჩვენივე მუსიკალური სიმღერა-კლიპის სათაური ვუწოდეთ), და ზუხბა განსაკუთრებულად წარმოჩინდა იმ წიგნით, იმ-წლეუანდელი პოეტური სადამოებით...

და აჰა, ორიათასცამეტი წელი, როდესაც ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა ასეთი ზემო მოგვიწყო მეც, კახასაც, თამაზ ცაბუტაშვილსაც და სხვებსაც!

სხვათა შორის, იმ სადამოს ესწრებოდა ცნობილი მეცნიერი გია კვაშილავა და მისი ახლობელი კაცი – მეცნიერი ნუგზარ კვაშილავა, რომელიც არის მამა პოეტ გიგი კვაშილავასი. ეს პოეტი, თავის დროზე, ძალიან დიდი მომავლის მქონე ხელოვნად მიიჩნეოდა. თითქმის ორი წელი, იგი, ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ ეუფლებოდა პოეტურ ხელოვნებას და წარმატებებსაც აღწევდა (არა, პოეზიის სწავლება, მართალია, არ შეიძლება, მაგრამ შესაძლებელია ის, რომ ნიჭიერ კაცში პოეტური მონაცემები გავაძლიეროთ, ადვამადლოთ). საბოლოოდ მან მაინც მიატოვა ხელოვნება. მე გავიხსენე გიგი ჩემს გამოსვლაში. სადამოს დასრულების შემდეგ მამამისმა, ბატონმა ნუგზარმა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: კარგია, რომ ძველ მეგობრებს არ ივიწყებო. მართლაც ვცდილობ, რომ არავინ დავივიწყო.

ორიათასცამეტი წლის მეორე შემოქმედებითი სადამო თებერვლის თვეში გაიმართა სამების ტაძრის ჩემგან არაერთგზის სხენებულ დარბაზში. რაღა თქმა უნდა, სულისჩამდგმელი ამ გრანდიოზული ღონისძიებისა, წამყვანიც, ქალბატონი გულნაზი იყო, და თითქოს მის გარშემო ტრიალებდა ყველაფერი. ესეც დიდებული სადამო გამოვიდა. თანაც, დარბაზიც უფრო დიდი იყო, ასევე – ხალხიც

მეტი მოვიდა. რამდენიმე საათს მიმდინარეობდა ეს შეკრება-ზეიმიც. ბოლოს ხალხი დაიღალა, დამსწრეთა რიგებიც შეთხელდა, როგორც ასეთ დროს ხდება-ხოლმე, მაგრამ დამრჩენნი მაინც ბოლომდე დარჩნენ.

ეს საღამო დამამახსოვრდა, როგორც ქართული კულტურის კონფერენცია. ფორმალურად იგი ეძღვნებოდა ქართველ შემოქმედთა იმ ანთოლოგიას, რომელიც გულნაზის აკადემიამ გამოსცა (პირველი ტომი), თუმცა მხოლოდ ამ შესანიშნავი ქმნილების გამო არ შეკრებილიყო იქ, იმ წმინდა დარბაზში, რამდენიმე ასეული ადამიანი, არა, მათ კიდევ მეტი აინტერესებდათ, – მათ აინტერესებდათ, საერთოდ, რა ხდება ახალი დროის ქართულ კულტურაში, აგერ, გასული საუკუნის ბობოქარი ოთხმოცდაათიანი წლებიდან რომ იღებს სათავეს; მართლა არის თუ არა რენესანსი ჩვენში კულტურის მხრივ, და თუ არის, მაშინ რა სჭირს, პოლიტიკური გადასახედიდან, ქვეყანას, რატომ ბოლომდე ჯერაც ვერ გამართულა წელშიო? თუმცაღა იმედი, მომავლისა, ახლა თითქოს უფრო გამკვეთრდאו – ამასაც ამბობდნენ... ვნახოთ...

საღამოს ესწრებოდა რამოდენიმე აკადემიის პრეზიდენტი; ასევე – კაცი რომლის სახელობის აკადემია არსებობს! – ჯუმბერ ლეჟავა; იყვნენ მწერალთა კავშირის წამყვანი წევრებიც, რეზო მიშველაძე და მაყვალა გონაშვილი. მათ იქვე, საღამოზევე, გადასცეს გულნაზ ხარაიშვილს მწერალთა კავშირის წევრობის მოწმობა... იყო იქ, აგრეთვე, სიმღერები, სამეცნიერო თუ სათავგადასავლო-მოგონებითი (თუნდაც-მემუარული) გამოსვლები, პირდაპირ საწიგნე გამოსვლები, და, რაღა თქმა უნდა – პოეზია, მისი უდიდებულესობა პოეზია – ნომერ პირველი ხელოვნება. პოეტთაგან რამდენიმე დამამახსოვრდა, მათ შორის – იგივე თამაზ ცაბუტაშვილი, ან, ვთქვათ, ქეთი ნათელაძე და მისი მეგობრები. თითქოს ასე განაწილდა ეს: ქეთი და მისი სამეგობრო ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენდა, თამაზი და მისი თანატოლები კი უკვე საშუალო ასაკს მიღწეულ ხელოვანებს. რაღა თქმა უნდა, იქ იყვნენ გაცილებით უფრო ასაკოვანი მოღვაწეებიც.

მეტიც, – სწორედ ისინი წარმოადგენდნენ, მგონი, უმრავლესობას.

ამით იმის თქმა მსურს, რომ გულნაზ ხარაიშვილს შეუძლია ყველა ასაკის ადამიანი ადვილად შემოიკრიბოს გარშემო, დარაზმოს ისინი, ერთი მიზნის, ერთი საქმის ქვეშ გააერთიანოს. ესეც, რაღა თქმა უნდა, არის თვისება ლიდერისა, თვისება დიდი ადამიანისა. ასეთებია, სწორედ, ლეგენდებს რომ ქმნიან, და სწორედაც მათი ქარიზმატული სახება რჩება ხოლმე დრო-ჟამისაგან გაცრეცილ ისტორიის ფურცლებში. ქალბატონი გულნაზი მართლაც რომ მომავლის ადამიანია. სამწუხაროდ, დღეს რთულია მისი ბოლომდე შეცნობა, მისი ჯეროვნად დაფასება. არადა, ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს სახელმწიფო დროულად უნდა დაუდგეს გვერდით. გულდასაწყვეტია, მაგალითად, ის, რომ ქალბატონ გულნაზს თბილისში ბინა არა აქვს და რუსთავიდან უწევს დედაქალაქში სიარული თავისი დიდი იდეების, დიდი გეგმების სრულყოფისათვის; გულდასაწყვეტია, რომ პირადად თვითონ უწევს თითქმის ყველაფრის მოგვარება უკანასკნელ წვრილმანამდე, რომ მიიმე ფინანსური პრობლემებიც სულ მის მხრებზე გადადის... აკადემია, ჟურნალი, წიგნები, შემოქმედებითი სადამოები, – ყველაფერს, ამას, თავაუღებელი შრომა სჭირდება, და გარკვეული ფინანსებიც, ხოლო ბიზნესმენებთან თუ ბანკებთან საქმის წარმოება არაა სახუმარო საქმე. არადა, ეს ქალბატონი ხომ ქართული კულტურის ერთ-ერთი ბურჯია, ერთ-ერთი დედაბოძი, და ღმერთმა არა ქნას, რომ იგი წაიქცეს, თორემ მეტად გაჭირდება მის მიერ დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანა. უნდა დაფასდეს, მეტად უნდა დაფასდეს ასეთი ადამიანები, სახელმწიფო რანგში უნდა იყოს აყვანილი მათდამი ხელისშეწყობა. კულტურა ხომ სულია სახელმწიფოსი! ხოლო კულტურის როგორც სახალხო, ასევე ელიტარული წარმომადგენელი ზურგგამაგრებული უნდა იყოს თვით სახელმწიფოს უმაღლეს პირთაგან, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთაგან. ეს განსაკუთრებით მოეთხოვებათ ზეპურ საერო

აღამიანებს. არადა, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივაც პირიქითაა ყველაფერი: სასულიერო უფრო აქტიურობენ (კიდევ კარგი, ისინი მაინც რომ აქტიურობენ).

მაგალითად: ოთხმოცდათექვსმეტ წელში, როცა აკადემიკოსებმა – ჩიტაიამ, მირცხულავამ და ნადარაიამ აღადგინეს ფაზისის აკადემია (ისინი ამ აკადემიის პირველი და მეორე პრეზიდენტები გახლავთ), საპატიო პრეზიდენტად თვით კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოიწვიეს, და თანხმობაც მიიღეს პატრიარქისგან, რომელმაც შემდეგ, მათ, ამ ღვაწლმოსილ მეცნიერებს, არაერთი დახმარება აღმოუჩინა დიდ საქმეში. იყვნენ აქ ჩარეულნი სხვა პირნიც სასულიერო სამყაროდან.

ქალბატონ გულნაზსაც უმაგრებს მხარს, მაგალითად, იგივე მიტროპოლიტი თადეოზი, რომელიც ჩემს მიერ უკვე აღწერილ სამების საღამოსაც ესწრებოდა.

საერო პირებს კი მართლაც მეტი აქტიურობა მართებთ ხელისშეწყობაში, სამეცენატო საქმეებში...

დიდი დრო არ იყო გასული სამების ბრწყინვალე საღამოდან, როცა, იმავე თებერვლის თვეში, ქალბატონმა გულნაზიმ დაგვიბარა მე და კახა, და მოგვცა დავალება, რომ მისი აკადემია სწორედ ჩვენ წარგვედგინა ფაზისის დიდი აკადემიის შეკრება-საღამოზე დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) ერთ-ერთ დარბაზში. წლევანდელი იანვარ-თებერვლის თვეებს კახა მართლაც საუკეთესო „ფორმაში“ მყოფი შეხვდა. მან გაიბრწყინა როგორც ხელოვნების აკადემიის შენობაში, ასევე სამების ტაძრისეულ იმ ცნობილ დარბაზშიც, და გულნაზ ხარაიშივლს, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი აკადემიის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი აღმაშენებლის უნივერსიტეტშიც გვასახელებდა (მითუმეტეს – კახა აღმაშენებლის გამზირზე ცხოვრობს, ყოფილ პლესხანოვზე, – მართლაც რომ თითქოს ყველაფერი სიმბოლურია ამ ცხოვრებაში). ასეც მოხდა: კახამ სდასუში წაიკითხა ერთადერთი ლექსი – „გრანელი – ღმერთი“, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აკადემიური

საღამოს შემდეგ, მის წინ, ახლოგაცნობის მსურველთა მოზრდილი რიგი დამდგარიყო. ასეთმა ამბავმა თვით ყოვლისმნახველი ცნობილი პოეტი ვაჟა ვერისელიც კი გააკვირვა.

იმავე დღეს (უკვე დამდებოდა), თავისთან დაგვიბარა, ისევ, ქალბატონმა გულნაზმა და იგი უკვე ახალი შემოქმედებითი საღამოს ჩატარებაზე გვესაუბრებოდა!..

მიუხედავად იმისა, რომ ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მე და ჩემს მეგობრებს ასეულობით წარმატებული პოეტური საღამო ჩაგვიტარებია ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მაინც ყოველთვის მოგონებს ენერგიულობა, მასშტაბები, მიზანდასახულობა და გაუტყეხელობა გულნაზ ხარაიშვილისა: მისი ფიქრი, მისი სწორება ყოველწამიერად მწვერვალისაკენ არის მიმართული. მწვერვალი, იგი, ევერესტია ნამდვილი, თუნდაც – ჩვენი იაღბუხი ან – მყინვარწვერი, რომელზედაც აღმართულა წარმოსახვითი, უთეთრესი ტაძარი დიდი ქართული კულტურისა, იმ კულტურისა, რამოდენიმე რენესანსი რომ დაიტია, – რამოდენიმე მსოფლიო ზეაწევა, ცეცხლოვან თუ სისხლისფერ საუკუნეთა მიუხედავად. ქალბატონ გულნაზს აიმ ტაძარში სურს თავისი გულის სანთლის დანთება, და იგი ამას უცილებოლად შეძლებს, რამეთუ დიდებულია მისი ღვაწლი, დიდებულია მისი ხელოვნებაც, განსაკუთრებით – პოეზია.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზია.

ეს ცალკე სამყაროა, ამის განხილვა-გაანალიზება ერთობ რთული მოვალეობაა.

საერთოდაც, პოეზიის განბჭობა ურთულესი რამ არის, მითუმეტეს საქართველოში – პოეზიის ქვეყანაში.

პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ზესელოვნება, და ეს, ქართველებმა, ყველაზე უკეთ შევიმეცნეთ. ამიტომაც საუკუნეთა მანძილზე ვაქციეთ საქართველო, უფრო კი – ჩვენი დედაქალაქი, თბილისი, ნამდვილ სატახტოდ პოეზიისა. აბა წარმოიდგინეთ, აქ მოღვაწეობდა დიდი შვიდეული პოეტური აზროვნებისა, პოეტური გრძნობის – რუსთველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გრანელი... ამ ლეგენდა-

რულ გენიოსთაგან, ამბობენ, მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო თბილისში დაბადებული ადამიანი, მაგრამ ყველა ამათგანი კი, უმეტესწილად, მაინც სწორედ აქ – მაინც საქართველოს პირველ ქალაქში მოღვაწეობდა. ვაჟა-ფშაველა რომ ვაჟა-ფშაველაა, რომელიც ბოლომდე ფშავეში ცხოვრობდა, დღემდე ფშავ-ხევსურეთის სიმბოლოდაც ხომ მიაჩნია ბევრს, ისიც კი ხშირად ჩამოდიოდა მთებიდან თბილისში, მერე რჩებოდა აქ მთელი დღეების განმავლობაში, რომ არ მოსწყვეტოდა უმთავრეს ხაზს და ღარს პოეზიისას: მაშინ ხომ აქ ტრიალებდა ილია და აკაკი, ხოლო მათი თვალსაწიერიდან ამოვარდნა დიდ უკანდაწევას მოასწავებდა.

ყოველთვის ჰქონდა და აქვს თბილისს რაღაც განსაკუთრებული ანდამატი, მტკვრის ვრცელ ხეობაში განთავსებულ, მთებს შორის მოქცეულ ამ თვალს პატიოსანს. დღეს კამათობენ იმის შესახებ, თუ რამდენად კარგია მთელი სახელმწიფოსათვის ერთი ქალაქის ასეთი გაფეტიშება, მაგრამ ის, რომ თბილისი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა არა მარტო საქართველოს, არამედ სრული კავკასიის მთავარ ქალაქს, ვფიქრობ, ეს საამაყოდ უნდა ჰქონდეს ქართველი კაცის ბუნებას, თუ – ჩვენი ერის ისტორიას.

და სწორედაც რომ აქ მოღვაწეობდა დიდი შვიდეული – მეფენი პოეზიისა. იყვნენ სხვებიც, ასევე სახელოვანნი. ზოგ მათგანს იმ გენიოსთა გვერდითაც კი მოიხსენიებენ.

მაგრამ ისინი, რიცხვით შვიდნი (გავიხსენოთ მისტიკურობა რიცხვთა), მაინც სულ სხვანი არიან. ისინი მსოფლიო მწვერვალებსაც ამაყად გასცქერიან. არა ერთებიან თუნდაც ისეთი სახელების ხსენებაზე, როგორებიცაა: ჰომეროსი თუ დანტე, გოეთე თუ ბაირონი, პინდაროსი, ფირდოუსი, ჩატერტონი, ჰენრი ლონგფელო, ბოდლერი, ვერლენი, რემბო, ერედია, ვერჰარნი, ედგარ პო, ნერვალი თუ რილკე...

არა ქართველ გენიოსებს ასეთი უდიადესი სახელებისაც კი არ ეშინიათ!..

ასეთია ჩვენი ერის საოცარი შვიდეული, ჩვენსავე ეროვნულ სიამაყედ რომ ქცეულა, და თუმცა ექვსი იმათგანი

მხოლოდ ორმა დიდმა საუკუნემ შვა, მეცხრამეტე – მეოცე საუკუნემ, მაინც არაინ იცის: ახალი შვიდეული, ასე ვთქვათ, პოეტი-ალმასები, როდის აიკრიბება ახალი (უახლესი) პოეტური საღაროდან თუ – სამყაროდან.

რუსთველი ხომ, რომლის ნამდვილი ბიოგრაფიაც სამარადისო ბურუსში დარჩება (ასეთი ყოფილა უდიდესი ხელოვანის ხვედრი!) ქართველ ქრისტედ არის, ლამის, მინნეული. მეფე-პოეტის სახისმეტყველება ლამის ჩაუნაცვლებია პოეტი-ქრისტეს სახისმეტყველებას, სიმბოლოს დმერთკაცი-სას.

ასეა განდიდებული, ჩვენში, გარდასული საუკუნეების კლასიკოს-პოეტთა სახელები.

ასეთია წინაპირობა.

და ამგვარ ვითარებაში, ცოტა არ იყოს, რთულია წერა. შიში გიპყრობს ადამიანს: არ იცი – რა თქვა ახალი, რაღა იქნება ნოვაცია აქ, ლექსით ამ ყველაფერნათქვამ სამყაროში. ეპიკა გსურს? – შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა... ლირიკა გსურს? – ბარათაშვილი, გალა, გრანელი...

ამათ ხომ სამყარო ამოწურეს!..

მაგრამ გული იმიტომ გულობს, რომ მან სიმღერა მოითხოვოს. ხოლო სიტყვათა სეტყვად მოვარდნილ სიმღერას გულში ვერ ჩაკლავ, ვერ გააჩერებ. გრძნობა გრძნობაა, ხოლო იგი ზოგჯერ ოკეანეს უდრის, მთელს ოკეანეს კი ჯებირებში ვერ მოაქცევ!

მაშ პოეზიაც და პოეტებიც განაგრძობენ არსებობას!

და ბევრნი წერენ.

გამართლებულია მათი ლიტერატურული მოღვაწეობა, რამეთუ ზოგი მათგანი აღწევს კიდევ შესანიშნავ შედეგს.

ცხრაასრვაში, დეკემბრის დღეებში, აკაკი რომ ჯერ თბილისსა და შემდეგ ქუთაისში (მთელს საქართველოშიც) პოეზიის მეფედ გამოაცხადეს, ბევრს ეგონა, რომ პოეზია დასრულდა. ამაზე მეტი აბა რაღა უნდა იყოსო, – ამბობდნენ. ეს, თუ არ ვცდები, პირველი შემთხვევა გახლდათ ცოცხალ ადამიანის ამგვარი გაფეტიშებისა ჩვენში. დიდი

პოეტის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ორმოცდაათი წლისთავს აღნიშნავდნენ და უეცრად ყოველივე რამოდენიმედღიან არნახულ ზეიმში გადაიზარდა. არც გასაკვირია: ილია ახალდაღუპული იყო, – ვერაგულად მოკლეს ერის მამა და, ხალხმა იფიქრა, – მის თანამებრძოლს მაინც დაგუფასოთ ამაგიო.

და ისიც ეგონათ, რომ ილიამ და აკაკიმ პოეზია ამოწურა.

მაგრამ სულ მალე გამოჩნდა ასპარეზზე გალაკტიონი, ასევე – პაოლო, ტიციანი, ტერენტი გრანელი და სხვები.

და ცხრაასოცდაერთ წელს უკვე გალაკტიონის კურთხევა მოხდა. ხოლო სულ მალე მას გრანელი შეეპაექრა.

ამის შემდეგ ათწლეულები გავიდა. ყველა ათწლეულს თავისი გამორჩეული სახელები ჰყავდა ლიტერატურაში.

მოატანა ოთხმოცი-ოთხმოცდაათიანმა წლებმა. მკვეთრად გაისმა მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, აკაკი (კაკო) ბაქრაძის, გიორგი ჭანტუიას, ირაკლი წერეთლის თუ სხვათა სახელები და შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. დაეცა წითელი იმპერია. ახლიდან დაიბადა სახელმწიფოებრიობა ქართული. ახალ სახელმწიფოს კი ხელოვნებაც ახალი სჭირდებოდა.

რალა თქმა უნდა, ხელოვნების სხვა სახეობებთან ერთად, კულტურის მთავარ ტაძარში, პოეზიასაც სურდა დაემკვიდრებინა თავისი ნიშა, თავისი განსაკუთრებული ალაგი, მითუმეტეს, რომ ეს საქართველო იყო – პოეტთა უძველესი სატახტო.

ოთხმოცდაათიანების დასაწყისში ჩვენ არ ვიცოდით, თუ რა ბობოქარი, შეუდარებლად ბობოქარი და სისხლიანი ოცწლეული გველოდა წინ. ოთხმოცდათორმეტ წელს დაემხო ეროვნული ხელისუფლება. დაიწყო ჯოჯოხეთი. ამ ჯოჯოხეთში პოეზია იყო ერთ-ერთი საშველთაგანი. ოთხმოცდაათიანებში და ორიათასიან წლებში ძალიან მომრავლდნენ პოეტები.

ზუსტად არ ვიცი, როდიდან დაიწყო ლირიკის შექმნა გულნაზ ხარაიშვილმა. ერთხელ გვითხრა მე და კახას: პირველი ლექსი როდის დავწერე, არ მახსენდებაო, თუმცა ინტენსიურად მას მერე ვწერ, რაც მამა გაბრიელის საფლავი მოვინახულე, როცა იქ დავანთეო თაფლის სანთელი. ამ თემას შემდეგში კიდევ დავუბრუნდები. ფრიად ჩასაფიქრებელი ამბავია. მისტიკური, ფილოსოფიურ-თეოლოგიური.

საერთოდ, გულნაზ ხარაიშვილი უნდა მივიჩნიოთ მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის პოეტად, რამეთუ, თუმცა სოლიდურ ასაკშია და თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გასულ საუკუნეში გაატარა, აი, საუკეთესო წიგნები კი მაინც ბოლოხანს გამოსცა. მაგალითისათვის: ორიათასთორმეტ წელსაა გამოცემული მისი თითქმის ხუთასგვერდიანი პოეტური ნაშრომი – ლირიკული ნაშრომი „მზის მკლავებში“, რომელსაც ხანდახან „მზის წიგნსაც“ ვუწოდებ, მიუხედავად იმისა, რომ აქ, ამ ლექსებში, დარდის ფერები სჭარბობს, და მზისფერი, ერთის შეხედვით, იწრდილება.

სინამდვილეში, მგონი, არაა ასე.

დავიწყოთ იქიდან, რომ გულიდან წამოსული სევდა, სევდა არა ყალბი, არამედ – გრანელისეული, ანუ დარდი უკიდვანო სამყაროში დაკარგული ეული ადამიანისა, ჩაფიქრება პოეტი-ფილოსოფოსის, უხდება ლექსს.

ჩემი ერთ-ერთი პოემის პერსონაჟზე ვწერდი „იგი, უბრალოდ, ტკივილია, კაცად მოსული“.

აი, გულნაზ ხარაიშვილი კი თითქოს მართლაც რომ ქალად მოსული ტკივილია, ტკივილი სულისა, ამ გავერანებულ, გათითოადამიანებულ სამყაროში. და რაღა გასაკვირია, რომ ამ პოეტის ზოგიერთი ლექსი პირდაპირ ჭრილობაა მოუშუშებელი:

„ვეძებ იმედებს, ვხეციალობ სევდის ყანებში,

სუსხმა და ქარმა დამიღეწა ხეთა ტოტები.

დაძრწის მგლის ხროვა...

ნასახლარებს იქცევს ბრჭყალებში...

ზეცავ, ტკივილით, უბედობით, დაგეტოლები.“

მართლაც ურთულესია აწევა ასეთი უზარმაზარი განცდის. თვით ბაირონის სულის ანრდილიც კი გამახსენდა წამიერად, ანრდილი ამ აზვირთებულ, იმ ყალყზე შემდგარ სულისა, ბრიტანელმა პოეტმა ასე ძალუმად რომ გამოხატა თავის „მანფრედში“...

და მაინც: გულნაზის წიგნში მზის ფერები ჭარბობს. მისი მთავარი წიგნი ხომ სწორედ მზის წიგნია, მზისფერი წიგნია, და ეგვიპთარიც სითბოა და სინათლე იქ:

„მე ვარ ნიავი,

ტყის შრიალით სახეს გიგრილებთ,
რომ არ დაგხუთოთ სიმხურვალემ,

დავკროლავ ახლოს...

გაზაფხული ვარ,

ფეხქვეშ გიფენთ ღამაზ გვირილებს,
სიყვარული ვარ,

სიფაქიზით თქვენს სულში ვსახლობ...“

ამ პოეტისეული სინტაქსი გამართულია და სადა, იგი სპეციალურად არ ართულებს სიტყვათწყობას თუ წყობას წინადადებებისა. ლექსიკასაც სპეციალურად არასოდეს ამრავალფეროვნებს. წერს ისე სადად, როგორაც საუბრობს. ოღონდაც, რაღა თქმა უნდა, ნაწერი (მისი პოეზია) გაცილებით უფრო ღამაზია და პოეტური, – უბრალო საუბრისაგან სწორედ ამით განირჩევა, და, რაც უმთავრესია – გრძნობით, დიდი პოეტური გრძნობით!..

იშვიათია საქართველოში პოეტი ქალი, რომლის შემოქმედებაც ამგვარად მომწონებია. მე, საერთოდ, კაცთა და ქალთა პოეზიას სხვადასხვა სივრცეში განვიხილავ. ამიტომაც, როდესაც გულნაზის ლექსებს ვკითხულობ, ვფიქრობ: აბა ნეტა რომელი ქალი დაწერდა ასე?

და წარმოსდგება ფიქრებში დიდებულ ქალთა სახეები: ანა კალანდაძე, მედეა კახიძე, ესმა ონიანი, ღია სტურუა თუ სხვები, – დიდი პოეტები.

ვიცი, შეკრთება ქალბატონი გულნაზი, როდესაც ჩემი წიგნის ამ ადგილს წაიკითხავს. მას უყვარს, – სხვებს როცა

აქებს, ხოლო როდესაც თვითონ მას აქებენ, თუმცა ესეც ახარებს, მაინც, რაღაცნაირად, თითქოს ზომაზე მეტად დღედება, თითქოსდა არა თვლის საკუთარ თავს ქების ღირსად.

მახსოვს: ერთხელ, ერთ-ერთ შემოქმედებით სადამოხე ვთქვი, რომ გულნაზ ხარაიშივილი არის ქართული კულტურის თამარ მეფე (იგივე თამარ დედოფალი, – რუსთველური საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლო). ქალბატონი გულნაზი წამყვანი იყო იმ სადამოსი. ჩემი სიტყვები რომ გაიგო, ოდნავ გაიღიმა. შეშფოთება უფრო ეტყობოდა სახეზე. იგი თვლიდა, რომ გადავაჭარბე, აშკარად გადავაჭარბე.

მიუხედავად ამისა, ცოდვად არა ვთვლი ასეთ გადაჭარბებებს. ადამიანი, რომელიც მთელი თავისი დღე და მოსწრება დაუღალავად და უანგაროდ შრომობს, ღირსია ამგვარი აღზევებისა, ამგვარი „აპოთეოზის“.

თანაც, მარტო მე ხომ არ ვაქებ ქალბატონ გულნაზს. არა, იგი თითქმის ყველასაგან აღიარებული ადამიანია დღეს. აგერ, თუნდაც დოქტორისა და აკადემიკოსის – ლუარა სორდიას წერილები რად ღირს, მისდამი მიძღვნილი...

სხვათა შორის, ლუარა სორდია არის ფილოლოგი – ამ სიტყვის კლასიკური და საუკეთესო გაგებით, მაგრამ რადგანაც ფილოლოგია ყოველთვის ახლო იყო და არის ყველაზე უმაღლეს და მრავალმხრივ მეცნიერებასთან (თუმცა – არაზუსტ მეცნიერებასთან) – ფილოსოფიასთან, ამიტომ ქალბატონ ლუარასაც აქვს ფილოსოფიური გადახვევანი თავის ნაწერებში...

ფილოსოფია ნაზავია, მაინც, ხელოვნებისა და მეცნიერების (თეოლოგიასაც კი მოიცავს იგი, თეოლოგიას: ერთ-ერთ უმაღლეს სახეთაგანს ფილოსოფიისას), თუმცადა, პოეზიას, და მუსიკასაც, ვფიქრობ, მაინც უთმობს პირველობას, სამაგიეროდ, – კონკურენციას კი უწევს ხელოვნების ამ მამებს თუ მეფეებს. თანაც, ხშირად შეეზავება იგი ხან მის უდიდებულესობა პოეზიას, ხანაც მუსიკას, და სიღრმეს ჰმატებს მათ.

მახსოვს: შემოქმედებითი ჯგუფის – „ზღვარის“ წევრე-

ბი, განსაკუთრებით – მე და კახა, ერთ დროს ყველას ვი-
წვევდით ხელოვნებასა და ფილოსოფიაში საპაექროდ. ახლა
მხოლოდ ფილოსოფიაში პაექრობა გვირჩევნია: დაპირისპი-
რებანი, ხელოვნებაში, უზარმაზარ ენერჯიას, უზარმაზარ
შინაგან ცეცხლს მოითხოვს. ოცდაათ, მაქსიმუმ – ოცდაცა-
მეტი წლამდე, გენიალობის (თუნდაც – შეშლილობის) დროა,
მერე კი განსჯა–გამოცდილება გამოდის წინა პლანზე, ანუ
ადამიანში პოეტს ნელ-ნელა უფრო და უფრო ებრძვის ფი-
ლოსოფოსი.

და მაინც: პოეტი ბოლომდე რჩება პოეტად, რაგინდაც,
მოჩვენებითად, შეიცვალოს იგი.

ნამდვილი პოეტი, აბსოლუტური პოეტი, ყოველთვის რჩე-
ბა პოეტად! ფილოსოფიურ-პიროვნული დაპირისპირებები,
სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, ვერ გადაწონის გულში
მიმალულ ნაღვერდალს დალოცვილი პოეზიისას – უპირვე-
ლესი ხელოვნებისას.

პოეტი სიკვდილამდე ვითარდება, სულ, სულ ვითარდება.
ეს პროცესი კარგად ჩანს თუნდაც ისეთ თანამედროვე პო-
ეტებზე დაკვირვებით, როგორებიც არიან, ვთქვათ, გივი ალხა-
ზიშვილი (ერთი ურთულესი მისტიკოსი პოეტთაგანი), და
ჩვენი ძვირფასი გულნაზ ხარაიშვილი, – ორივე ამათგანმა
კარგა ხანია უკან მოიტოვა ახალგაზრდობის წლები, მაგრამ
შედევრებს დღესაც ქმნიან.

მაინც ჯიუტად ამბობენ ზოგნი, რომ პოეზია ახალგაზ-
რდობის ხელოვნებაა უპირველესად.

თითქოს ვეთანხმები.

და მაინც ასე ვიტყვი: მე, პირადად, ოცდაათ წლამდე
უფრო დიდებული პოეტი ვიყავი, ალბათ, ვიდრე ახლა ვარ,
მაგრამ ახლა უფრო მესმის პოეზია, მისი სული, გული, მისი
არსი, ვიდრე მაშინ მესმოდა.

ასე რომ, ფანატიკოსი პოეტი არასოდეს წყვეტს განვი-
თარებას, უბრალოდ, გარკვეულ ასაკს რომ მიაღწევს, როცა
მიაღწევს გარკვეულ დონეს, იგი (არაერთი მიზეზის გამო),
აღარ მიიჩნევს საჭიროდ პოეტური პაექრობების გამართვას...

მაგრამ დაუბრუნდეთ თემას.

თუმცა შორს არსად წავსუღვართ: ეს წიგნი პოეტს ეძღვნება და სწორედ რომ პოეზიის შესახებ ვლაპარაკობდი. უბრალოდ, გარკვეული ნიუანსები მინდოდა დამეზუსტებინა...

გულნაზ ხარაიშვილი გასაოცარი ოსტატია ერთსტროფიანი ლექსებისა. ცოტა მინახავს ადამიანი, რომელსაც ერთ კუპლეტში ასეთი სახე-ხატვები და გრძნობა დაეტიოს, როგორც, ვთქვათ, აი აქაა დატეული:

„თოვლმა და ყინვამ მომიყინა ხელის თითები,

გავითიშე და სევდამ სულში შემომათოვა...

ცრემლის საბანში გავახვიე ძველი მითები...

მზემ თავის სხივი აღარაფრით აღარ მათხოვა.“

უნივერსიტეტში მრავალი კარგი ლექტორი მასწავლიდა. მათ შორის იყვნენ: რევაზ სირაძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, ლეილა გეგუჩაძე... თუნდაც გრივერ ფარულავას გავისვენებდი... აი, ამ ადამიანებს რომ ზემოთ მოყვანილი კუპლეტი წაეკითხათ (მითუმეტეს – აწგარდაცვლილ დიდებულ პროფესორ რეზო სირაძეს), ისინი აუცილებლად იტყოდნენ მის მიმართ ერთ მშვენიერ ძველქართულ სიტყვას: „სახისმეტყველება“, ანუ – სახეებით ხატვა, პოეტური სახეებით აზროვნება. სახისმეტყველება სხვა განმარტებებსაც იტევს, თუმცა ჩემთვის ახლა ეს განმარტებაა უფრო მართებული.

დააკვირდით: „სევდამ სულში შემომათოვა,“ „ცრემლის საბანში გავახვიე ძველი მითები...“ – აი, ესაა, ზუსტად, მაღალი ხელოვნება სახეებით აზროვნებისა.

ამბობენ: პოეზია, უპირველესად ყოვლისა, გრძნობაა და პოეტური სახეებით აზროვნებაო. მხოლოდ ამ ორ რამეზე იგება, მერე, პოეტური ტექნიკის სხვა ათასი წვრილმანი. დიდმა პოეტმა, ერთის მხრივ, ყველაფერი უნდა იცოდეს; თუმცა, მეორეს მხრივ, მხოლოდ ჭეშმარიტი გრძნობა და პოეტურობაც კი, ხანდახან, კაცს დიდ პოეტად აქცევს. მაგალითები? – რამდენიც გინდათ! გასაგებია, რომ, ვთქვათ, გალაკტიონი ფრიად პოეტური არტისტი იყო (თუ პირიქით – არტისტული პო-

ეტი), მაგრამ იგივეს ნაკლებად ვიტყვით ნიკო სამადაშვილზე, შოთა ჩანტლაძეზე, თემურ ფირცხალაიშვილზე, ბადრი გუგუშვილზე, სერგო თურმანაულზე, რომელნიც მაინცადამაინც არ რანდავდნენ თავიანთ ლექსებს, არ აშალაშინებდნენ ლიტერატურულად და, მაინც რჩეული პოეტები იყვნენ. იგივე ითქმის დიდებულ მერაბ და ირაკლი კოსტავებზეც... საქმე იმაშია სწორედ, რომ ამ ადამიანებს ჰქონდათ დიდი ნიჭი ჭეშმარიტი გრძნობისა და პოეტური სახეებით აზროვნების. მთლად გალაკტიონისეული დახვეწილობა-არისტოკრატიზმი-არტისტიზმი მათ აკლდათ, მაგრამ გულისთქმა კი დიდი ჰქონდათ, ხოლო მათსავე გულის-გულში პოეტური გრძნობა და პოეტური სახეები განუყრელად ცხოვრობდა. გრძნობას კი განსაკუთრებული სული, დიდებული სულიერება სჭირდება.

გულნაზ ხარაიშვილის გრძნობა და პოეტური სახეები ისეთი დიდია, რომ მისი პოეზია სადად აღარ აღიქმება. ესაა უბრალოების, სისადავისა და სირთულის შერწყმა.

ასეთივე გრძნობა მიჩნდება, როდესაც პრიმიტივისტების (და არა მარტო პრიმიტივისტების) მეფის – ნიკო ფიროსმანის სწორუპოვარ ნახატებს ვუმიხერ.

თანამედროვეებზეც ვიტყვი:

არის რაღაც საერთო გულნაზ ხარაიშვილსა, ნუნუკა გურალიასა და მანანა დანგაძის ნიჭსა თუ პოეზიას შორის, ოღონდაც: ნუნუკა და მანანა, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე ქალბატონები არიან, მაინც ერიდებიან, ვთქვათ, იმხელა საზოგადოებრივ საქმეებთან შეჭიდებას, რასაც გულნაზი არასოდეს გაუბრძის. შეიძლება ეს მისი ენერგიულობის, შეუპოვრობისა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობიანობის „ბრალია“, ბრძოლისუნარიანობისაც. გულნაზიმ იცის, რომ ამ უკუღმართ ცხოვრებაში ყველაფერი თვითონ უნდა შექმნას, საკუთარი გულით, საკუთარი ხელებით, დაუსვენრად, მუხლჩაუხრელად უნდა ვიდოდეს წინ ბოლომდე! აი მანანა, მაგალითად, სხვათაგან უფრო ელის დაფასებას, სხვათა ქმედებათა შემხედვარე უფროა თითქოს. რატომაც არა: მას,

ყოველმხრივ გამორჩეულ ადამიანს, მართლაც ყველაფერი ეკუთვნის, მაგრამ... მაგრამ ცხოვრებაში ხომ მუქი ფერები სჭარბობს ფერადებს... გულნაზის კი ეს ყოველთვის ახსოვს. აკი თვით მზისფერ წიგნშიც წერს:

„მზემ თავის სხივი აღარაფრით აღარ მათხოვა“...

და ქალბატონი გულნაზი თითქმის ყოველთვის მზადაა იმისთვის, რომ თვითონ საკუთარი ნებისყოფიანი ბრძოლის შედეგად მოიპოვოს ის – ჰაერში აღიცლიცებული სხივი პატიოსანი...

გულნაზ ხარაიშვილის პოეზია მრავალფეროვანია, მრავალი მოტივია მასში ჩაწნულ-შენივთებული. პატრიოტული მოტივი ერთ-ერთია ამათგან, თუმცა იგი საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი:

„ვინ უფრო გიყვარს? მკითხეს და ვდუმვარ,
თითქოს ვიბნევი, თითქოს ვფიქრდები.

ოი, უფალო, ნეტავ ვინა ვარ?

ვინ უფრო მიყვარს, რატომ ვფითრდები...

სარწმუნოება, მამული მიყვარს,

მიყვარს ტაძრების მე მდუმარება.

მიუვალურსებ ვარდყავილის ცვარს,

ვერ შეაშინებს სულს მწუხარება“.

დავაკვირდეთ, – სარწმუნოება, მამული მიყვარსო.

დიდი ილიას ღვთაებრივი სამებაა, ღვთაებრივი პოსტულატი თუ ფორმულა: ენა, მამული, სარწმუნოება. ცნობილი არის იგი ამგვარადაც: მამული, ენა, სარწმუნოება.

ეს სამებაა სამშობლო – საქართველო და ესვეა ქართველობა ჩვენი.

მაინც რა კარგად იტყოდა ხოლმე ის დალოცვილი, – ილიას დიდებული პოსტულატი დედამიწაზე მცხოვრებ ნებისმიერ პატრიოტს გამოადგება სახელმძღვანელოდ.

და მაინც, – თითქოს სწორედ რომ ქართველზეა, ტკბილ-ქართველზე, ეს სამსიტყვედი ზედგამოჭრილი. ქართველი პატრიოტები (პატრიოტები – ამ სიტყვის ილიასეული გაგებით) მრავალი ათეული წლები იღწვოდნენ და იღწვიან

სწორედაც რომ ამ ფორმულა-პოსტულატის მიხედვით.

ქალბატონი გულნაზი ფრთხილად მიჰყვება ქართველთა დიდი მასწავლებლის გზას, – მამული და სარწმუნოება მასაც უმთავრესად უწამებია, ეს ორი ცნება ამოუდაღავს, ამოუტვიფრავს საკუთარ გულისგულში. აი, ენას კი რაც შეეხება, გულნაზის ტკბილ-ქართული მისსავე ლექსებშია გაშლილი და ატკობს მკითხველს.

უნდა ითქვას: გულნაზ ხარაიშვილის ერთგულება სარწმუნოებასა და მამულისადმი მართლაც რომ ღამის ფანატიზმამდე მიდის. გადმოცემით ვიცი, – როდესაც ორიათასრვა წლის აგვისტოს უმძიმესი დღეები იდგა საქართველოში, როდესაც ქვეყანა ომის ქარცეცხლში აღმოჩნდა გახვეული, გულნაზი, თურმე, მუხლებზე დაჩოქილი მთელს საათებს ლოცვაში ატარებდა ხატებისა და სანთლების წინ, იგი იესოსა და დედაღვთისას სთხოვდა თურმე ერთადერთს, – სამშობლოს გადარჩენას. ერთი სიტყვა რაა, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, იმ ადუღებულ დღეებში, საკუთარი თავის თუ საკუთარი ოჯახის გადარჩენა-კეთილდღეობაზე. არა. მხოლოდ სამშობლოს ავედრებდა, მსურვალე გულით, მამას, ძეს, სულიწმინდას, ღვთისმშობელი მარიამის ღმობიერ მზერას.

კიდევ გვიშველა ქართველი დედების ლოცვამ.

კიდევ გადარჩა, მაშინ, ჩვენი ერი.

ომი. ომი მძიმედ დასრულდა ჩვენთვის. კიდევ ერთ ომში დაგმარცხდით, დიდ, უმძლავრეს სახელმწიფოსთან თუ – იმპერიასთან.

მაგრამ გადარჩენით კი გადარჩა ქვეყანა სრულს განადგურებას. და ჩვენი მეომრების გარკვეული ნაწილის გმირული შემართების გარდა, ჩვენი მანდილოსნების ლოცვის შედეგიც იყო ის გადარჩენა...

ერთი ამბავიც ვიცი გადმოცემით, რომელიც აუცილებლად უნდა მოვყვე აქ, რაგინდ გაიდვალება დამწამონ გულნაზ ხარაიშვილისა. რა ვქნა, – ეს ისეთი ამადელგებელი ეპიზოდია, რომ არ მოვუყვე მკითხველს, უბრალოდ, არ შეიძლება.

თურმე, ერთხელაც, უცხოეთში იყო ქალბატონი გულნაზი. დიდხანს ვერ ძლებს სამშობლოს გარეშე და მაშინაც აქეთ გამოუწია გულმა (სხვათა შორის, როგორი საოცარი მსგავსებაა ორ სიტყვას – გულნაზისა და გულს შორის... აკი ვამბობდი, რომ შეიძლება არც არაფერია ამ სამყაროში შემთხვევითი. დიახ, ცხოვრებაში რამოდენიმეჯერ გამიფიქრებია და მითქვამს შემთხვევითობის მტერი ეს ცნობილი ფრაზა). და აი, მგზავრობს გულნაზ ხარაიშვილი თვითმფრინავით, ცუდი ამინდია, არის საშიშროება თვითმფრინავის უეცარი კატასტროფისა... და გაუფიქრებია, მაშინ, პოეტს: ნეტა საქართველოს საზღვრებში შევადწიოთ, თუ დაღუპვა გარდაუვალია, მაშინ მაინც დავიდუპო, რომ ჩემი ფერფლი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ მიწას დაეყაროს, ხოლო სული ქართულმა ცამ მიიღოსო! მართლაც დიდებული ეპიზოდია ეს ამბავი – პოეტის ცხოვრებისა, მით უფრო, რომ ტრაგედია არ მოხდა და ყველაფერი კარგად დასრულდა. უფაღმა არ გაწირა სამშობლონატრული ადამიანი...

მართალი ვითხრათ, პირადად მე, გულნაზ ხარაიშვილი მაგონებს გარდასული დროის ქართველ მანდილოსნებს, აი, მაგალითად, ისეთებს, მეცხრამეტე საუკუნიდან რომ უმღეროდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, – ჰოი დედანო, მარად ნეტარნო... იმავე საუკუნეში ილია ხატავდა, თავისი კალმით, დაახლოებით ამგვარ პერსონებს (თუ – პერსონაჟებს). გავისხენოთ, თუნდაც, ოთარაანთ ქვრივი, ან, ვთქვათ, იგივე ილიას, თუნდაც აკაკის მიერ შექმნილი, ქართველის დედის თუ ქართველი ქალის მაშინდელი ტიპური პორტრეტები: ეს იყო ამადლებული ხატებანი, რომელნიც ხანდახან გაკრთება ხოლმე ნიკო ფიროსმანის ნახატებშიც, თუმცა – იშვიათად. ფიროსმანის დროს ჩვენი დიდი წარსული იკარგებოდა, ფრთებს კვეცდა, კვდებოდა, ამიტომაც ნიკალას მოტივები იდეალები ნაკლებად იყო. ნიკალასათვის თვითონ ხელოვნება გახლდათ იდეალი და არა კონკრეტული ადამიანები, რომელთაც იგი ოდნავი იუმორით, მაგრამ დიდი სიყვარულით ხატავდა. ფიროსმანი არავის და არაფერს დასცინოდა

მწვავე სარკაზმით, ცინიზმით, თუმცა არც აიდეალებდა (ყოველ შემთხვევაში – თითქმის არასოდეს აიდეალებდა თავისი ნახატების გმირებს).

გაიდეალება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნემ იცოდა თუ იცოდა!

მგონია, რომ ქალბატონი გულნაზი სწორედ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნიდან მოგვევლინა აქ, დღევანდლობაში, და ამიტომაც გვიჭირს, ბოლომდე, მისი შეცნობა ჩვენ, – დღევანდელი ნახევრადმორალური და ნახევრადკეთილი სამყაროს შვილებს.

შეიძლება უფრო შორსაც მიდის ფესვები. იქნება, გულნაზ ხარაიშვილი, თავისი ბუნებით, რუსთველური ეპოქის ადამიანიც იყოს, სულიერად დაკავშირებული იმ დიდ, იმ ზეციურ საქართველოსთან, რომელიც შავ ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული ულამაზეს სამეფოდ, და მართლად გახლდათ მეუფე კავკასიისა.

როგორც ჩანს, ბუნებით მეც იდეალისტი ვარ. არა უშავს, – ამბობენ, რომ ყველა ნამდვილი პოეტიც და თვით უფალი იესოც იდეალისტი იყო, ხოლო თუკი ეს ასეა, მაშინ არც იდეალების ერთგულება ყოფილა დანაშაული და არც პიროვნებათა გაიდეალება...

რუსთავში ჩატარებულ ერთ-ერთ სადამოზე, ჩვენი აკადემიიდან წამოვიდა ასეთი აზრი (ზუსტად არ მახსოვს, თუ ვინ იყო მისი ინიციატორი): ხომ არ გადაგველო დოკუმენტური ფილმი ჯუმბერ ლეჟავას შესახებ. მომეწონა ეს აზრი. იმავეწამს ვიფიქრე, – ხომ არ შეგვექმნა-მეთქი დოკუმენტური (ან: მხატვრულ-დოკუმენტური) ფილმი გულნაზ ხარაიშვილის შესახებაც.

მახსენდება: ორიათასსუთ და ორიათასათ წლებში მე და ჩემმა მეგობრებმა ჩვენივე ჯგუფის – „ზღვარის“ შესახებ შევექმენით ორი პატარა ფილმი: „ზღვარი – ლაივი“ (ზღვარი – Live“) და „ფრაგმენტები ზღვარის ხელოვნებიდან“. მაშინ ამ საქმეს მაინცადამაინც დიდი სერიოზულობით არ მოვკიდებივართ, თუმცა, დრო რომ გავიდა, მივხვდით, რომ

(ჩვენეული გადასახედიდან) ძვირფასი კადრები შემორჩა არქივს.

დროის სვლასთან ერთად ხომ აღამიანიც იცვლება და, საერთოდ, ყველაფერიც... თუნდაც ამ მხრივაც საინტერესო (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ) განვლილ წლების კადრებში მოქცევა.

აბა წარმოიდგინეთ, თუ როგორი საინტერესო იქნებოდა ის, რომ კადრებში იყოს ასახული და დამუშავებული პროფესიონალი რეჟისორის მიერ, თუ როგორ იწყებოდა, ორიათასათწელს, მსოფლიო მოგზაურის – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დაარსება. თუმცა გულნაზ ხარაიშვილს იქამდეც უკვე ბევრი ეღვაწა (სხვას რომ ყველაფერს შევეშვათ, იმას მაინც ვიტყვი, რომ მთელი თაობების აღმზრდელი და მოძღვარია იგი, აკი ამდღაც მიაკუთვნეს დიდი იაკობის სახელობის მედალი), მაინც, ისტორიაში შებიჯება, როგორც ზოგი ფიქრობს, სწორედ იმ წლიდან დაიწყო: იმ დროიდან წარმოჩინდა ის, როგორც ნამდვილი ლიდერი და ტიტანური შექმლების აღამიანი. ახალგაზრდობაში სიმპათიური, ნაზი ქალი, მერე და მერე მებრძოლად, ღამის ამორძალად გარდაიქმნა, რამეთუ მხოლოდ სითბო-სინაზე არა კმაროდა დიდი მიზნების სრულყოფისათვის. აკადემიამ ჟურნალის აუცილებლობა დაისაჭიროვა, ამ ყველაფერმა კი – პოეტთა, პროზაიკთა, მეცნიერთა მოზიდვა. ოსტატთა გვერდით კი უბრალო აღამიანებისთვისაც უნდა გამონახულიყო ადგილი, ანუ იმ დაუცხრომელ მუშაკთათვის, რომელნიც აუცილებელნი არიან წვრილმანი და არა მარტო წვრილმანი საქმეების მოსაგვარებლად... ო, როგორ გააცოცხლებდა, ახლა, რამოდენიმე წლის წინანდელი კადრები, იმ – საწყის შეკრებათა სურათებს!

მერე კადრებში მოექცეოდა აკადემიისა და ჟურნალის გაფურჩქვნა-აღზევების დრო, დრო, როცა უფრო გაიზარდა გარემოცვა, გაფართოვდა სამოქმედო სივრცე, აურამ დაიბნა დიდნი განცდანი და გახშირდა შემოქმედებითი (ხელოვნება-მეცნიერება) საღამო-ზეიმების ჩატარება ქალბატონი

გულნაზის წამყვანობით, მისი მთავარსარდლობით.

ფილმში იქნებოდა, აგრეთვე, მოკლე მიმოხილვა გულნაზის ცხოვრებისა, მისი ღვაწლის, ითქმებოდა მისი ლექსები, გადმოიცემოდა ინტერვიუ მასთან...

მე თუ ვხატავ ამ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ლიტერატურულ პორტრეტს (ან: ლიტერატურულ-პიროვნულ პორტრეტს), კამერის მიერ დაფიქსირებული და პროფესიონალურად დამონტაჟებული კადრები მის სინემურ, ფილმურ პორტრეტს ასახავდა.

ეს ფილმი თუნდაც იმიტომ გაამართლებდა საკუთარ არსებობას, რომ იგი იქნებოდა კიდევ ერთი დოკუმენტური მასალა დიდი ადამიანის შესახებ.

აგდებით არასოდეს უნდა მოვეკიდოთ ასეთ იდეებს. გავისენებდი, მაგალითად, მიშო (მიშა) თუმანიშვილის გაზეთს – „მესამე ათასწლეული“. ბევრი სკეპტიკურად შეხვდა მის გამოსვლას. მართლაც, სულ რამდენიმე ნომერი გამოვიდა. ეს არ აღმოჩნდა კომერციულად მომგებიანი საქმე (არც იყო ამაზე გათვლილი). მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა გაზეთმა უაღრესად საინტერესო მასალა დაიტია. დავასახელებ, თუნდაც, გაზეთის მესუთე ნომერს, რომელიც ორიათასთორმეტი წლის ოცდაექვს მაისს გამოვიდა და მიეძღვნა საქართველოს ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას დაბადების დღეს.

საერთოდ, თარიღი ოცდაექვსი მაისი ცალკე განხილვის თემაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში...

მაგრამ ეს – სხვა დროს...

ახლა კი დავუბრუნდეთ გულნაზ ხარაიშვილის პოეზიას.

პატრიოტულ მოტივზე ვსაუბრობდი. ეს თემა ბოლო ათწლეულებში მკვეთრად გადაეჯაჭვა ჩვენთვის, ქართველთათვის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხს. რაღა თქმა უნდა ყოველსმომცველი პოეტის მზერაში უმტკივნეულესად სწორედ „დაკარგული საქართველო“ აღბეჭდილა:

„აფხაზეთის ომის ცეცხლი ვნახე,

სისხლის ღვარი, ცრემლები და ჯვარცმა.

იქ კვლავ ცივა, ქარი ჭადრებს არხევს,
კვლავ ბატონობს სიკვდილი და ძარცვა.
ყვავ-ყორნებით დაკორტნილი გალი,
მკერდს უშვერდა მტრის ყუმბარებს დახლილს.
ერთოდა სივრცე, წითლდებოდა წყალი,
ზღვა რეცხავდა იქ სისხლიან მახვილს.
სუსხს აფრქვევდა მარტოსული მთები...
ვიხანჯლავდი იმ ტკივილებს გულთან...
ქართველების მოჭრილ თავებს, მტრები,
სტადიონზე აგორებდნენ ბურთად...“

უძლიერესი, მაგრამ ჭეშმარიტად აპოკალიფსური სურათია. ხილვია რაღაც, საზარელი, თუ – ცუდი სიზმარი, ასახული ედგარ პოს სტილში.

არადა, ეს ყველაფერი ხომ მართლა მოხდა.

ეს ყველაფერი რეალობაა,

დაიწყო ყოველივე ოთხმოცდაათიანი წლებიდან (ამბობენ, რომ უფრო ადრეც): ოსი, აფხაზი, რუსი, ქართველი და საქართველო აირია, აიღუფხა ერთმანეთში, აიშალა ქვეყანა, დაიკარგა გარჩევა მტყუნ-მართლისა, წაიშალა სახეები სრულ ვაკხანალიაში, ძმობას მტრობამ სძლია და, მერე მართლაც ის იყო –

„ერთოდა სივრცე, წითლდებოდა წყალი“...

მთელი ამ უგვანო საქმის ფინალი კი აღმოჩნდა ორიათასრვა წლის აგვისტოს ჯოჯოხეთური დღეები, სულ რამდენიმე დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო.

და ისევ ის საბედისწერო სიტყვები, – ოსი, აფხაზი, რუსი... რუსი და ქართველი...

და ისევ სრული განუკითხავობა და უპასუხისმგებლობა, სიბეცე...

ასე ვკარგავდით, ნელ-ნელა, ტერიტორიებს ჩვენი ლამაზი ქვეყნისას, ასე პატარავდებოდა, ბალზაკიადას შაგრენის ტყავივით, საქართველო – ჩვენი სამშობლო.

სხვათა შორის, ბალზაკის „ადამიანურ კომედიაში“

(დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“ არის ნასესხები სათაური, თუმცა – შეცვლილი სახით) ზუსტად არავინ იცის, თუ რამდენი ნაწარმოები შედის. მაგალითად, თუნდაც „შაგრენის ტყავს“ ზოგი მიათვლის ამ ციკლს, ზოგი კი – არა: ეს, მწერალმა, ჯერ კიდევ ადრე დაწერაო. არადა, „შაგრენის ტყავი“ არის ონორე დე ბალზაკის შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალთაგანი.

და უბედურება ისაა, რომ სწორედ იმ საბედისწერო ტყავით კინაღამ სულ დადნა და ხელში ჩაგვაკვდა, ღამის, ჩვენი ქვეყანა.

თუმცა ბოლო ხანს, თითქოს, ნელ-ნელა იცვლება მოვლენები ჩვენს სასიკეთოდ.

ყოველ შემთხვევაში, ქალბატონი გულნაზის პოეზია, პესიმიზმის გარდა, ოპტიმიზმსაც უხვად იტევს, და მომავლის იმედი ჩანს ლექს „აფხაზეთის“ ბოლო კუპლეტშიც:

„მაგრამ ქრება დრო – სატანის კვალი,
ვარსკვლავები განაგრძობენ ციმციმს,
აფხაზეთი – საქართველოს თვალი,
კვლავ ქართულად ამღერდება, ვიცი!“

საერთოდ, ოპტიმიზმი თვისებაა ამ დიდი ქალბატონის, – შეუპოვრობა და ოპტიმიზმი. შეიძლება ამიტომაცაა, ასე რომ გამარჯვებულია მისი საზოგადოებრივი საქმენი, მისი ლიტერატურა. სხვა მხრივ კი... სხვა მხრივ, სიმართლე უნდა ითქვას, – გულნაზ ხარაიშვილი ღრმად ტრაგიკული პიროვნებაა: ჩვენი ქვეყნის ბედია და, ბოლო ოცი წელია ცეცხლისფრად გადაიდება ჩვენი ისტორია; გულნაზის პირადი ცხოვრებაც მძიმე აღმოჩნდა, – ქმრის, შვილისა და ძმის დამკარგავს, კიდევ კარგი, რომ შვილიშვილები მაინც უნათებენ აწმყოს, მომავალს. ესენი არიან: თამარ, ლევან, თეონა, ნანა (სხვათა შორის, ეს სახელი ყოველთვის გამოჩნეულად მხიბლავდა), და ვახტანგ სხირტლაძეები. ღმერთმა აბედნიეროს და ამრავლოს თითოეული მათგანი! ვუსურვებდი მათ, რომ კიდევ უფრო განავრცონ თავიანთი დიდებული ბებიის მიერ შექმნილი ბრწყინვალე მიღწევანი!..

წასულთაგან ყველაზე ხშირად, მაინც, საკუთარ ძმას – ასევე პოეტ ბეჟან ხარაიშვილს იხსენიებს ქალბატონი გულნაზი.

ამ წლის (ორიათასცამეტი წლის) თებერვალი იყო, როდესაც შევატყობინე ქალბატონ გულნაზს ჩემი გადაწყვეტილება, რომ მის შესახებ წიგნის დაწერას ვაპირებდი. იმავე თვეში დავიწყე შექმნა ამ ნაშრომისა. ეს წიგნი თავიდანვე ისე ჩავიფიქრე, როგორც დოკუმენტური (იქნებ: მხატვრულ-დოკუმენტური), ფილოლოგიური და პორტრეტული რომანი. იქნება მეცნიერული რომანი ეწოდოს უფრო მოკლედ, ან, ვთქვათ, მეცნიერული ნაშრომი. მაინც ფილოლოგიურ-პორტრეტული რომანი უფრო მგონია (ან პირიქით: პორტრეტულ-ფილოლოგიური რომანი), რამეთუ ლიტერატურულად არის შესრულებული პორტრეტი გულნაზ ხარაიშვილისა, სიტყვებით დახატული პორტრეტი არის გაშლილი მისი ღვაწლისა და შემოქმედების ფონზე, თანაც – ფილოლოგიური ცდაა მისივე შექმოქმედების განხილვისა. თუმცა... ვნახოთ...

და აი, ერთხელაც, ვეუბნები ქალბატონ გულნაზს: თქვენს შესახებ, თქვენი ღვაწლისა და შემოქმედების შესახებ წიგნის დაწერას ვაპირებ-მეთქი. მას კი, ორი შვილის დედასა და ხუთი შვილიშვილის ბებიას, თითქოს ყველაფერი ავიწყდება წამით, მხოლოდღა ამას მეკითხება, – მაგ წიგნში ჩემი ძმა, ჩემი ბეჟანი თუ იქნება მოხსენიებულიო. თითქოს საკუთარი თავიც დავიწყებოდა, მხოლოდ პოეტი ძმის გაუკვდავებაზე ფიქრობდა, რომელიც ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ოცდაათი წელიც არ შესრულებია.

– თქვენ დიდ ადამიანად მთვლით, – გვითხრა ერთხელ მე და კახას გულნაზ ხარაიშვილმა, – არადა, მე სულ არაფერი ვარ. აი, ჩემი ძმა კი მართლა დიდი იყო და უდიდესიც გახდებოდა, უდროოდ რომ არ წაერთმიათ მისთვის სიცოცხლეო.

მართლაცდა რა არის ოჯახი ადამიანისა: ოჯახი ხომ მშობლებია მისი, დედამამიშვილებია მისი. მერე უკვე ჩნდება ცოლ-შვილი (ან: ქმარ-შვილი). ესენი (და ჭეშმარიტი მეგობ-

ბრები!) არიან უახლოესნი სულნი ადამიანისათვის. უკვე მერეა დიდი სანათესავო-საახლოებლო წრე.

დედმამიშვილობის კულტურა ყოველთვის განსაკუთრებით ხაზგასმულია საქართველოში, ამიტომაც არ გამკვირვებია გულნაზისგან ასეთი სიყვარული, ასეთი გაფეტიშება უმცროსი ძმისა, მითუმეტეს, რომ თურმე კარგახანს სწორედ ბეჟანი ითვლებოდა მათს ოჯახში უმთავრეს პოეტად.

ბეჟან ხარაიშვილი ყოფილა ახოვანი, სახიერი ვაჟკაცი. თურმე საკუთარ ლექსებს საოცრად კითხულობდა (აი ისე, ხანდახან ჩვენი კახა რომ აენტებაო! მანაც იცოდაო ასეთი ანთება! – დიდი ხალისით იხსენებს გულნაზი). ბეჟანს დაუსრულებია საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანის საშუალო სკოლა, ფრიადებზე, და ჩარიცხულა თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბეჟანი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს. საჩხერეში მას პატარა აკაკისაც კი ეძახდნენ თურმე. მერე და მერე ლექსები, საერთოდ, ცხოვრების უმთავრეს საქმედ გადაქცევია.

იგი – პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდა პოეტი, მოკლეს ოცდაცხრა წლისა, ზვიად გამსახურდიას (და საქართველოს!) ერთგულებისათვის...

აი, ასეთია მოკლე ისტორია კიდევ ერთი დიდებული ადამიანისა, რომელიც ყველაზე დიდ ადამიანურ სათნოებას – ერთგულებას შეეწირა...

ბეჟანის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეგობარმა, ლევან ბაბუხარდიამ, გამოსცა პოეტის წიგნი „სადღეგრძელო“, ხოლო მწერალთა კავშირის მოთავეებმა ამ ორგანიზაციის წევრადაც აღიარეს, მისი სახელი შემორჩა ანთოლოგიებში...

ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნებაა მისი სულიერი მასწავლებელი, სულიერი მოძღვარი (აქ არ იგულისხმება მხოლოდ საეკლესიო პიროვნება). მამაკაცისათვის ნამდვილი სულიერი მამა, და ნამდვილი მეგობარი, ძმაცა, ძალზედ ხაზგასასმელი პერსონაა. მოძ-

ღვარობისა და ძმობის ინსტიტუტი ერთ-ერთი უმთავრესი მსახდგრელი იყო ძველ დროშიაც. გავიხსენოთ, ვთქვათ, ძველებერძენ ფილოსოფოსთა ტრიადა: სოკრატე-პლატონი-არისტოტელე. ესენი იყვნენ ანტიკის კლასიკოსები, რომელთა ხაზმაც ბოლოს აღექსანდრე მაკედონელი და მისი თვალშეუდგამი იმპერია წარმოქმნა. როდესაც ვსაუბრობთ ყველა დროის ისეთ უდიდეს პიროვნებებზე, როგორებიც იყვნენ, – იესო, რუსთველი, გოეთე, ბეთჰოვენი, დანტე, თუნდაც – ჰომეროსი და პლატონი, იქვე ხშირად ვახსენებთ სოკრატესაც – პლატონის მასწავლებელს, და არისტოტელეს – იმავე პლატონის მოწაფეს.

მასწავლებელი – მოსწავლე, – აი, ესაა მთავარი ქვაკუთხედი დიდი აზროვნებისა.

მე არ ვიცი, ვინ იყო სულიერი მოძღვარი (იქნებ – მოძღვარნი?) ბეჟან ხარაიშვილისა, მაგრამ ის, რომ ხარაიშვილების ოჯახში უმტკიცესად და განუხრელად მოიკიდა ფეხი ლიტერატურამ, ფაქტია. როგორც ჩანს, ორივენი: და-ძმა გუღნაზი და ბეჟანი, ბავშვობიდანვე მოექცნენ იმ ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც ქართული კლასიკური ლიტერატურა ჰქვია. შემდეგში ლიტერატურული აურა მათ ირგვლივ კიდევ უფრო გაიზარდა. ეტყობა, საინტერესო ხალხი იყო როგორც მშობლები მათი, ასევე – აღმზრდელები (პედაგოგები) და მეგობარ-ამხანაგები. მერე ბეჟანი უკვე თბილისის გარემოცვაში მოექცა, უნივერსიტეტის სამყაროში, სადაც მისი ხელოვნება განვითარდა, დაიხვეწა.

ერთი უბრალო ქართული სოფლის – ჭალვანის საშუალო სკოლამ ჩვენს სამშობლოს აღუზარდა ისეთი დიდებული ადამიანები, პატრიოტები, როგორებიცაა და-ძმა გუღნაზ და ბეჟან ხარაიშვილები;

ამას დაემატა, როგორც უკვე ვთქვი, ბეჟანის უნივერსიტეტული განათლება და...

მოკლედ, მისი ლირიკა ერთი მთლიანი მოზაიკური ეპოსია, ოღონდაც, – წმინდაწყლის ლირიკული სულით აღსავსე, ანკარაა როგორც წყარო მთისა, რომელშიაც ჩავარდნილა

მზის თვალი, ფერადობს, ციმციმობს, ხანდახან თუ მხიარულია და გიჟმაჟი, ხანდახან დაღონდება კიდევ, რას იზამ, – ესაა ცხოვრება ადამიანის, და იგივეა პოეზია.

სხვათა შორის, ბეჟანისა და გულნაზის პოეზიას ბევრი რამ აქვს საერთო. მაგალითად: დაუვიწყარი პოეტური სახეები, პოეტური გრძნობის უტყუარობა, პატრიოტიზმის, სიყვარულის, მეგობრობის მკვეთრი განცდა, თემების მრავალგვარობა და სხვა. როდესაც განვიხილავ ერთ-ერთი მათგანის შემოქმედებას, იქვე თითქოს მეორის შემოქმედებაზედაც ვსაუბრობ.

ოღონდ ერთი ეგაა, – ბეჟანი უფრო დაუდგარი ჩანს, იგი ძიების პროცესშია, აწყდება ჯებირებს, როგორც ზღვა, ჯერ თვითონაც არ იცის – რა უნდა, ჯერ კიდევ არა აქვს გარკვეული – საბოლოოდ რომელ გზას, რომელ ხაზს აირჩევს პოეტურს, იქნებ თვით შექმნის რაღაცას სრულიად ახალს. ხან ლადოს და მირზას გვაგონებს მისი ხმა, ხანაც შოთა ჩანტლაძეს და პოეტ-პროზაიკოს გურამ რჩეულიშვილს (გენიალური მოთხრობის „ალავერდობის“ ავტორს), ხან კი ბეჟანი სრულებით ნოვატორია, აღარავინაა, გარდა საკუთარი პერსონისა, მაშინ იგი ერთადერთობს მთელს სამყაროში.

აი ასეთი საინტერესო ახალგაზრდა კაცი გაიმეტეს, გაწირეს. მას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს თავში, რის შემდეგაც მხოლოდ რამოდენიმე თვე იცოცხლა. თითქოს ფეხზეც წამოდგა, თითქოს რაღაცას კიდევ ცდილობდა, მაგამ მერე უცბადვე დაიღუპა. დიას, აღარ იქნა მისი განკურნება. დააობლა ცოლ-შვილი და საახლობლო-სანათესაო წრე. დააობლა, თავისი უდროოდ წასვლით, საკუთარი შემოქმედება, უსრული დატოვა. გულნაზის მოღვაწეობა-შემოქმედება კი უფრო სრულია და მთებს შორის ჩამდგარი დიდებული ტბასავით დადინჯებულია უკვე. აი, ტბა რომ ზეცას ირეკლავს და ირგვლივ სიღურჯე-სიცისფრის ჩრდილებს ტოვებს, რაღაც ასეთია. ხოლო ბეჟანი მთის მდინარეა, უფრო – ღურჯ-თეთრად აზვირთებული რომ აწყდება ღოდებს...

მაინც კი ერთნი არიან, მსგავსნი არიან და უერთმანეთოდ არ შეუძლიათ.

ბეჟან ხარაიშვილის ლირიკა რომ დააგემოვნოთ, შეაფასოთ, შეიგრძნოთ, აქ მოვიყვან მის ერთ შედეგს. რაღა თქმა უნდა, მის ლირიკაში ჩაუხედავ მკითხველს ოდნავ წარმოდგენასაც ვერ შეუქმნის ერთი ლექსი მთელს იმ სივრცეზე, რომელიც იყო სამყარო ახალგაზრდა პოეტისა, მაგრამ ამ ერთი ლექსით მაინც ეზიარება სული შედეგობას უბრალოებისას, განცდას იმ რუსთველური გრძნობისას, რომელსაც პოეტურობით სავსე სიყვარული ჰქვია. ესაა ნამდვილი ლირიკული სულის ზეიმი. ამ ლექსში უბრალოება და სისადავე მართლაც ჭარბობს, მაგრამ შეხედეთ, – როგორი გრძნობადი სამყარო, როგორი პოეტურობაა დატეული ამ უბრალოებაში:

„სიყვარული იწყებოდა ასე“

„გახსოვს დამე სოფლის განაპირას?

კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,

გეჩქარება? – გკითხავდი და სდუმდი...

– სიყვარული იწყებოდა ასე.

სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით

გეხვეოდა ანგელოზთა დასი,

მონვენება? არა, ცხადი იყო...

– სიყვარული იწყებოდა ასე.

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,

უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე;

ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...

– სიყვარული იწყებოდა ასე.

ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,

კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,

გეჩქარება? – გკითხავდი და სდუმდი...

– სიყვარული იწყებოდა ასე.“

სატრფიალო ლირიკის ამ შედეგურის ავტორმა ოცდაათ წლამდეც ვერ იცოცხლა. ზოგთათვის ეს პატარა დროა, ზოგთათვის კი – მთელი სიცოცხლე, მთელი ცხოვრება ყოფილა თურმე. ასეთი გულმრუდია წუთისოფელი, ასეთი აღმონდა იგი ბეჟანისთვის.

გულნაზ ხარაიშვილს აქვს, როგორც უკვე აღვნიშნე, წიგნი, სათაურით – „სულის არეში“, რომელიც, ძირითადად, მიძღვნილი პოეზიითაა აგებული. ამ ნაშრომის პირველი ლექსები ეძღვნება: პატრიარქ ილია მეორეს, აგრეთვე – მეუფე თაღეოსსა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილს. ამათგან ორი – პატრიარქი და პრემიერი დღევანდელი საქართველოს სიმბოლო გახდა, ხოლო მამა თაღეოზი პოეტურ-რელიგიური ცხოვრების სიმბოლოა (და პოეზიაც ხომ, როგორც უმაღლესი მიღწევა კაცობრიობისა, თავისებური რელიგიაა. აბა გავიხსენოთ ეს პოეტური ნათქვამი, – პირველად იყო სიტყვაო. აქ, სიტყვაში, უფალი ჩვენი იესო ქრისტე იგულისხმება, რომელიც სწორედ რომ პოეზიადაა მოაზრებული, – განა ლექსის ხელოვნება სიტყვათა უდიდესი ხელოვნება არ არის?! – ეს არაა ზედმეტად რიტორიკული კითხვა. პირიქით – ეს ჭეშმარიტებაა).

პირველი სამი ლექსის შემდეგ წიგნში არის სხვა ლექსები და პოემები, რომელნიც სხვადასხვა ადამიანებს ეძღვნება. ვამაყობთ იმით, რომ უკანასკნელ მიძღვნას ჰქვია „ზღვარის ბიჭებო“, და იგი სწორედ მე და კახას მოგვისაჩუქრა ავტორმა.

ერთხელ ვთქვი კიდევ პირდაპირ:

– ამ წიგნში, („სულის არეში“), მიძღვნები თვით პატრიარქით იწყება და ჩვენით სრულდება, აბა ამაზე მეტ პატივისცემას რაღას უნდა მივალწიოთ-მეთქი.

წიგნში არის კიდევ ერთი ლექსი, მაგრამ ქალბატონმა გულნაზმა იგი არა სხვას, არამედ საკუთარ თავს მიუძღვნა. ამ ქმნილების სათაურის გვერდითაა ახალგაზრდა ქალის სურათი. ამ სურათიდან კარგად ჩანს, თუ როგორი მომხიბლავობა, თუ როგორი შარმი ჰქონია გულნაზ ხარაიშვილს

ახალგაზრდობაში. არადა, ზოგიერთებმა ისიც გვითხრეს, რომ ეს ფოტოსურათიც კი ვერ გადმოსცემს, სრულყოფილად, მის მაშინდელ სიბლსო.

წიგნში არის ლექსიც, ბეჟან ხარაიშვილს რომ ეძღვნება. საზარელი, გაუსაძლისი ტკივილია დატეული ამ სტრიქონებში. ლექსს ჰქვია „ჩემი ტკივილი მოურჩენელია,“ და როცა ბოლომდე ჩაეკითხე, მივხვდი, რომ ამ თალხისფერ ლირიკულ ნაშრომში ერთი სიტყვაც არაა ყალბი. მსგავსი ტრაგიკული ქმნილება იშვიათად მინახავს სხვა წიგნებში. ძმების – ბეჟან და ლევან ხარაიშვილების ერთობლივი ხატი თითქოს პირდაპირ გულის სისხლშია ამოტვიფრული.

ეს ლექსიც რიტმიანი და რითმიანია, ისევე, როგორც გულნაზის პოეზიის აბსოლუტური უმრავლესობა. იგი დაწერილია გრძელი, გაბმული სტრიქონებით, შეიძლება ამიტომაცაა, რომ მისი მუსიკა (პოეზიას ხომ აქვს თავისი მუსიკა) რეჟიემივით ჟღერს. ესაა შავი რეჟიემი, აქედერებული უკიდვანოდ დიდი სულის სამყაროში.

რითმა ჯვარედინია, – როგორც ირკვევა გართმვათაგან სწორედ რომ ჯვარედინს ანიჭებს უპირატესობას გულნაზი.

მაგრამ აქ, კონკრეტულად ამ ლექსთან მიმართებაში, ჯვარედინი რითმის ხსენება ჯვრის ასოციაციას იწვევს.

ლექსი „ჩემი ტკივილი მოურჩენელია“ აკროსტიხითაა დაწერილი (მისივე მძიმე ჯვარივით დამძიმებული სათაური იკითხება აკროსტიხშიც). ესეც გულნაზის ქმნილებათა კარგად მოზრდილი ნაწილისათვისაა დამახასიათებელი: იგი, ქალთა შორის, შეიძლება ნომერ პირველი ოსტატიც კი იყოს აკროსტიხისა (სწორედ ისევე, როგორც პირველობს საზოგადოებრივი ღვაწლის საკითხში).

ბოლო ათწლეულების, ეს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული ლექსი, თავიდან ბოლომდე უნდა გადმოვწერო აქ. აი ამ უმძიმეს სტრიქონთა რიგი:

- „ჩ – უმად ვქვითინებ, ვგრძნობ,
- ცრემლები დაშრიტავს თვალებს,
- ე – სისინება ქარი გულს და

იმედებს წაშლის.

მ – ტკივა და, სიცილს, ძალიან გთხოვთ,
ნურც დამავალებთ,

ღ – ნება ღმერთმა, რომ ვიარო
კვლავ დარდის თავშლით.

ტ – კივილით დელავს, ნადვლიანობს
ჩემი ძირულა,

კ – ედელსაც დაშლის ფიქრიანი
სევდის დღეები,

ო – ცით, იმედი ჩემგან რა შორს
გადამწირულა?

ვ – ეშაპს მაგონებს, დაუნდობელს,
დარდის დევები.

ი – ქნება ისევ მოვახერხო
ფეხზე ადგომა...

ლ – ოგინს არ გაეშლი.
გამამხნევებს სულის
საგზადი,

ღ – ებს მოგიტანთ ჩემო ძმებო,
ყოველ ადღგომას,

მ – ინდა გჯეროდეთ, ერთ ლუკმასაც
თქვენსკენ ვაგზავნი.

ო – ხვრით და კვნესით მითენდება
ზამთრის ღამე და. . .

უ – ფალს ვუწოქებ. . . სამოთხეში
გქონდეთ ადგილი,

რ – ეკენ ზარები, თვალებს ახელს
ცაზე მოვარე და. . .

ჩ – უმად ფაჩუნობს, ახლო-მახლო
თქვენი აჩრდილი.

ე – ღვა-ქუხილით ჩამოინგრა
თქვენი ჭერები,

ნ – ექტარი ფუტკრის, ბალღამივით
შხამი გამიხდა,

ე – რთხელ კი არა მილიონჯერ
 მოგეფერებით. . .
 ლ – ევი, ბეჟანი, ლექსის ყანწით,
 მწამს, წინ დაგიხვდა...
 ი – ტირა თქვენზე ზეცის დასმა,
 ტიროდა მთებიც. . .
 ე – ხლაც, ამ წუთში, თქვენზე ფიქრით
 ვათენებ ღამეს,
 ვისხენებთ მე და. . .
 გამითეთრდა დარდისგან თმები,
 რომ არ ვიდარდო, თქვენ
 მირჩიეთ, ისევე,
 რამე“...

უძლიერესი, მაგრამ უმძიმესი ღირიკული ქმნილებაა. ესაა გაუხუნარი, თუმცაღა ტრაგიკული ძველი დიდი სიყვარულისა – დედამამიშვილური სიყვარულისა, ქართული დედამამიშვილობისა საერთოდ. დიახ, ჩემს თაობამდეღ ადამიანებში, ანუ, როგორც იტყვიან, – ჩვენს ძველებში, ასეთი შთამბეჭდავი იყო ეს გრძნობა, და დღეს არ ვიცი როგორ არის ამ მხრივ საქმე. ამბობენ, ახალმა დრომ ნელ-ნელა ყველაფერი გაახუნაო. არ ვიცი. არა მგონია.

მაგრამ ძველად მაინც ყველაფერი უფრო ღამაზი იყო. წინაპართა დრო სხვა სინათლით გამოირჩეოდა, და თუმცა გულნაზ ხარაიშვილი თანამედროვეა და არა წინაპარი, მაინც უკვე დიდი ცხოვრება აქვს გამოვლილი, ამიტომ იმ დიდი ხალხის შუქი მოაქვს ჩვენამდე, აი, ნამდვილი წინაპრები რომ ჰქვიათ დღეს, და თუმცა აღარ არიან, მათი გულსრულობა, სიამაყე, სიღარბაისლე დარჩა, დარჩა მათი სიკეთე, ცდილობს დარჩენას მათეული ცხოვრების სპეტაკი ადათებიც. თუნდაც მარტო ის რად ღირდა, – მათი სტუმარ-მასპინძლობა რად ღირდა, ვაჟამ რომ ისეთი გენიალური პოემა მიუძღვნა (ერთ-ერთი ქმნილება ვაჟას დიდი ტრილოგიიდან: „აღუდა ქეთულაური“ – „სტუმარ – მასპინძელი“ – „გველისმჭამელი“).

სხვა მრავალ წეს-კანონთან ერთად, ჩვენს წინაპართა

ადათებში შედიოდა სიწმინდეც დედმამიშვილობისა: და-
ძმებს შორის გაუხუნარი ურთიერთპატივისცემა და სიყვარ-
ული უნდა ყოფილიყო.

ცნობილი ამბავია, რომ უცხოელებს არ აქვთ ოჯახ-
ის ერთიანობის ისეთი განცდა, როგორც – ქართველებს.
მიუხედავად ამისა, იქაც არის, ვთქვათ, დედმამიშვილური სი-
ყვარულის დიდებული მაგალითები. გავიხსენებდი თუნდაც
გენიალურ თვითმკვლელს – ევროპელ მხატვარს ვინსენტ
ვან გოგს. მისი ნახატები, ისევე, როგორც ნახატები ჩვენი
ფიროსმანისა, ფერებით ალიცლიცებულნი, თითქოს ოცნების
მოხელთებაა პირდაპირ, აი, ისეთი მოხელთება, როგორაც
ჩემს ერთ-ერთ ლექსში ვწერ:

„ვეყურო ამ ნისლს,
ვით თეთრ სიზმარს,
და უფრო მაღალს
მივწვდე ოცნებას,
როგორც მზეთა
ღვთიურ ორქიდეს!..“

ღიახ ასეთი თეთრი და ათასფერადი (ერთდროულად),
ასეთი ღვთაებრივია ვინსენტის შემოქმედება.

მაგრამ ამ კაცს, ისევე, როგორც დიდ ხელოვანთა უმეტე-
სობას, ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა, უბრალოდ, არც
სურდა ცხოვრების ცოდნა, და მისი უმცროსი ძმა – თეო ვან
გოგი რომ არ ყოფილიყო, რომელიც ვინსენტს მთელი სი-
ცოცხლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად პატრონობდა
(მიუხედავად იმისა, რომ უმცროსი იყო), მხატვარი კიდევ
უფრო ადრე დაასრულებდა თავის დღეებს. ჩანს, ვინსენტი
გენიოსი იყო, როგორც ხელოვანი და ადამიანი, ხოლო თეო
(ტეო) გენიოსი იყო, როგორც ადამიანი. არის დედმამიშვი-
ლური სიყვარულის ასეთი მაგალითები ევროპაში, ხოლო
მრავლადაა ასეთნი მაგალითნი საქართველოში.

როგორც უკვე ვთქვი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი-
სახსოვარი, თავისი გარდაცვლილი ძმებისადმი აღვლენილი,
დედმამიშვილური სიყვარულის გაუხუნარი ძეგლია. იგი

ცდილობდა, თითქოს, რომ ხსოვნად დაეტოვებინა, გაეუქმდა დაეებინა მისთვის ესოდენ ძვირფასი იმქვეყნად გარდასული ადამიანები.

ადამიანი თავისი ცხოვრებით ასრულებს რაღაც გეგმას, რაღაც პროგრამას ან მთლიანად, ან ნაწილობრივ მაინც, და მერე მიდის. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთები მაშინ მიდიან, როცა ეს გეგმა, ეს გზა, ჯერ ნახევრამდეც არაა გაველილი. აქ გავიხსენებდი თუნდაც პოეტ ტომას ჩატერტონს – ყველაზე ახალგაზრდა თვითმკვლელ გენიოსს. იგი ძალიან, ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა თავი მოიკლა, და თუმცა მსოფლიოს დაუტოვა თავისი ლექსები და პოემები, მაინც ვერ ითქმის, რომ ამ ბრიტანელმა პოეტმა, იმ უმცირეს ასაკში, სრული ცხოვრება ჩატია. არა. იგი, (ისევე, როგორც ახალგაზრდა ქართველი პოეტები – რატი ნინუა და გოგა არაბული), ადამიანთა საერთო გულცივობამ მიიყვანა ტრაგედიაში. ჩატერტონის საქციელი იყო პროტესტი ჩვენი ცივი, უგულო, უპასუხისმგებლო სამყაროსადმი. და თუკი, ვთქვათ, თვითმკვლელი გენიოსი – გალაკტიონი მაინც სრულს გზას გვიტოვებს თავისივე ცხოვრება-შემოქმედებისას, ჩატერტონის შემთხვევაში ასე არაა საქმე, თუმცაღა მათი პროტესტი მაინც ჰგავს ურთიერთს. ასეთივეა ნახევრადშემღილი ვინსენტ ვან გოგის პროტესტიც ადამიანთა სამყაროსადმი.

მაგრამ ზოგნი ხომ სულ სხვა მიზეზებით მიდიან ნაადრევად. მაგალითად, სუსტი ჯანმრთელობის გამო ვეღარ ახერხებს პიროვნება თავისი ცხოვრების სრულყოფას, ან ადამიანი იღუპება რაიმე სხვა მიზეზით, თუნდაც... თუნდაც სხვა ადამიანების ხელით! აი მაგალითად ისე, როგორც შეწყდა დიდებული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრების ისტორია.

მოკლედ, დღესაც უზარმაზარია სულიერი განცდანი მიწიერი ცხოვრების თეატრში. იქ, ზეცაში, არ ვიცი როგორაა, მაგამ აქ კი ასეა... და თუმცა გვადლევენ სცენაზე გათამაშებული ჰამლეტის, ჰორაციოს, ლაერტის ვნებანი, ვნებანი, ვთქვათ, მეფე ლირისა ან რიჩარდის, ხანდახან ვერა ვგრძნობთ,

რომ სწორედ ჩვენს ირგვლივ გაშლილა ცხოვრების სცენა, რომელიც არანაკლებ დრამატულია, ვიდრე ის, აი, არტისტები რომ გვთავაზობენ.

მოკლედ ვიტყვი, რომ ლექსში – „ჩემი ტკივილი მოურჩენელია,“ დიდი და ჭეშმარიტი გრძნობის გარდა, პოეტური ტექნიკაც მაღალია. აქვე მოვიყვან, ცალკე, რამდენიმე ამონარიდს ლექსის სახისმეტყველებიდან: „დარდის თავშალი“, „დარდის დევები“, „კედელსაც დაშლის ფიქრიანი სევდის დღეები“, „ლევი, ბეჟანი, ლექსის ყანწით, კვლავ წინ დაგისვდა“, – ეს კი უკვე ასოციაციაა ლეგენდარულ „ციფერყანწელებზე“: ყანწელებიც ხომ ძმადშეფიცული პოეტი-რაინდები იყვნენ, რომელნიც აღმერთებდნენ ფერებს – ცისფერსა და ლურჯს, როგორც ყველაზე უფრო პოეტურ ფერებს, ერთერთ სიმბოლოებს პოეზიისას.

დავაკვირდი რითმებსაც. აქაც ზოგი საინტერესოდ მეჩვენა. მაგალითად: „ძირულა – გადამწირულა,“ „წაშლის – თავშლით“, „საგზალი – ვაგზავნი“... ესენი იშვიათი რითმები.

საერთოდ, ქალბატონი გულნაზი სულით ღირიკოსია, მაგრამ მან, როგორც მრავალმხრივმა და ყოვლისმომცველმა ადამიანმა, ეპიკაშიაც სცადა ბედი. მისი ეპიკა ღირიკული ეპიკა უფროა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: გულნაზ ხარაიშვილი რამდენიმე პოემის ავტორიც არის, რაც ქალი-პოეტის კვალობაზე დიდი მიღწევაა (ცნობილია, რომ ქალებს განსაკუთრებით სწორედ პოემების წერა უჭირთ). ჩემს ნათქვამს თუ იმასაც დავამატებთ, რომ გულნაზის ლექსების გარდა, მისი პოემებიც წარმატებულია, მაშინ აღარაა გასაკვირი, რომ მე მას საუკეთესო ქართველ ქალ ხელოვანთა (პოეტთა) შორის აუცილებლად დავასახელებ.

პოემები საერთოდ ოთხგვარია, – გრანდიოზულნი (ათას კუპლეტს რომ სჭარბობს), საშუალო, პატარა, რომელსაც უფრო ღირიკულ პოემას ეძახიან, და... და, უბრალოდ, უვარგისი პოემები. ეს ყოველივე დაახლოებით იმ სიტუაციას ჰგავს, პროფესიონალურ კრივში რომ არის – ჩემპიონები, ნახევრად-

ჩემპიონები (ანუ არასრული ჩემპიონები, – ამათ, უფრო, ნაკლებად ცნობილი ვერსიებით აღიარებულ გამარჯვებულებს ან არაოფიციალურ ჩემპიონებს მიათვლიან), უბრალოდ, ძლიერი მოკრივეები, და ის მოკრივენი, ის მებრძოლნი, რომელნიც სინამდვილეში სულაც არ არიან მებრძოლნი, რომლებმაც, უბრალოდ, თვითონაც არ იციან კარგად, თუ რა ესაქმებათ რინგზე.

ხანდახან ასე კანთიელად წაემგვანება ხოლმე ერთმანეთს პოეზია და კრივი, რამეთუ ორივეგან – აქაც და იქაც, მებრძოლი სულია საჭირო. ოღონდაც, აქ უფრო სიტყვებს ებრძვი, ეჭიდები, და საკუთარ პიროვნებას, რომ გამოკვერო სიტყვათაგან შედეგრი.

გრანდ-პოემები ყველა ხელოვნების მწვერვალია საერთოდ, მაგრამ ყოველი ნამდვილი პოემა მაინც დიდი ნაწარმოებია. წელან ვთქვი: ქალებს უჭირთ პოემების წერა-მეთქი. არადა, ეს მამაკაცთათვისაც საძნელო საქმეა. საერთოდ, დიდი ნაწარმოებების შექმნა დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ესაა ურთულესი ამბავი.

მე და ჩემი მეგობრები კარგა ხანია ლიტერატურაში ვმუშაობთ ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ლექსებსა და მოთხრობებთან ერთად პოემებიც და პიესებიც დავვიწერია. ახლა მახსენდება ჩვენი პიესები – „კაცობრიობის მსაჯულნი“, „ღურჯი სინათლის ბალი“, რომელიც პოეტთა ცხოვრებას ეძღვნება, და „იდეალისტები“, წამებული ქალის – ნაზი შამანაურის ცხოვრებას რომ მიეძღვნა. ეს ნაწარმოებები თუმცა საკმაოდ სწრაფად დავწერეთ, მაინც უდიდესი შრომაა მათში ჩადებული. და თქვენ წარმოიდგინეთ, ათჯერ უფრო მეტი შრომა ჩვენმავე პოემებმა მოითხოვეს: „ზღვარის“ ძირითადმა ოთხეულმა შევქმენით „თეთრი ტრილოგია“, შემდეგში მე „მეორე ტრილოგიაც“ დავწერე, და სხვა ნამუშევრებიც (პოემებიც) გვაქვს. ამას, ყოველივეს, იმიტომ ვამბობ, რომ მოგახსენოთ, – ჩემზე უფრო კარგად ბევრმა არ იცის, თუ რა ტიტანურ შრომას მოითხოვს პოემების შექმნა.

გულნაზ ხარაიშვილის პოემათაგან ცნობილი ორია, –

„მდუღარე ცრემლი“, რომელიც ტრაგიკულად დაღუპულ ბათუ ხარებავას ეძღვნება, და „მკვლელობა საკუთარ სახლში“, რომელიც ქალბატონმა გულნაზიმ დაწერა თინათინ ხაბურზანიასა და ელიკო ლომიძის თხოვნით, და მიუძღვნა ქალბატონი ელიკოს ტრაგიკულად დაღუპულ შვილს – მერაბს. მოკლედ, ორივე – ბათუ და მერაბი, შესანიშნავი ახალგაზრდები, რომელთა იმედიც ბევრს ჰქონდა, მძიმედ გაიმეტა ბედისწერამ. ხოლო გულნაზმა, როგორც ნაზი და სათნო გულის ადამიანმა, პოემებით გააუკვდავა ისინი.

პოემები გართმულია და აკროსტიხით არის შესრულებული. აგერ ოცი წელია (თუ მეტი არა), რაც თავს პროფესიონალ და ფანატიკოს პოეტად ვთვლი, და კარგად მესმის, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ამგვარი პოემების შექნა. პოეზიის ფანატიკოსები ძალზედ აფასებენ ერთმანეთის შრომას.

ორივე პოემა შედის წიგნში, რომელსაც ჰქვია „სულის არეში“, – იმ ნაშრომში, რამდენჯერმე რომ მოვიხსენიე.

ნიჭი და შრომისმოყვარეობა ხომ აუცილებელია პოეტისათვის, ასევე – მიზანდასახულობაც (თუმცა ხანდახან ცხოვრებისეული მიზანი იცვლება, – უფრო და უფრო მეტის მიღწევა სურს საასპარეზოდ გამოსულ კარგ მოასპარეზეს, ხანდახან კი თავიდანვე ერთდროულად ორ-სამ მიზანს დაისახავს ხოლმე. აქვე აღვნიშნავ: ერთ-ერთი მიღწევა-მიზანი, ვთქვამთ, შედეგების ქმნალობა, მრავალშედეგიანობა, ალბათ ყველა პოეტისათვის საერთოა, თუმცა ესაა, სწორედ, უძნელესი მისაღწევი), მაგრამ მეორეს მხრივ, ნიჭი თვითონაც იწვევს ადამიანში შრომისმოყვარეობისა და მიზანდასახულობის სიმკვეთრეს, ზრდას. ნიჭი, გენია, საოცარი და შეუდარებელი რამაა.

და არის კიდევ ერთი რამ – ტანჯვა. ცხოვრებისეული ტანჯვა-წამებანი, ცხოვრებისეული ჯვარცმანი საბოლოოდ ძერწავს პიროვნებაში გენიოსს, რამეთუ იგი უფალთან აახლოებს ადამიანს (მივემსგავსოთ უფალსო – ამბობდა არაერთი ბრძენი).

მიუხედავად ტანჯვის ეგეოდენი გაფეტიშებისა (და ეს, ჩემამდე, დოსტოევსკისაც და სხვებსაც არაერთხელ უქადაგიათ), ხელოვანს მაინც უნდა ჰქონდეს ცხოვრების გარკვეული პირობები, მისთვის ხელსაყრელი პირობები, რომ შეძლოს შედეგების შექმნა.

ასეთი პირობები ჩვენს ქვეყანაში ჯერაც იშვიათობაა.

და მაინც, – ხელოვანნი შრომობენ, ბოლომდე იხარჯებიან, და უმძიმესი, გაუსაძლისი მუშაობის შედეგად აღწევენ მიზანს.

ის ორი პოემა, რომელიც დავასახელე, გულნაზ ხარაიშვილის ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა. გაბედული ექსპერიმენტიც, რომ ორივე პოემაში პროზაული ადგილებიც არსებობს, ჩემთვის, პირადად, მისასალმებელია, მისასალმებელია იმ პოეტისაგან, რომელიც, ერთი შეხედვით, ნაკლებად ექსპერიმენტატორობს და ნოვატორობს. სინამდვილეში გულნაზის პოეზიაში საკმაოდ ბევრი გაბედული მოულოდნელობაა. მაგალითად, მეორე პოემა პირდაპირ პროზით იწყება. მეტიც, – მისი პირველი ნაწილი სრული პროზაა, თავიდან ეს ნაწილი შესავალი მეგონა, მაგრამ კარგად რომ შევისწავლე ნაშრომი, მივხვდი, – იგი, ის საწყისი–პროზა, განუყოფელი ნაწილია მთელის პოემისა, მისი ძირითადი სხეულისა. შემდეგ ეს პროზა სრულიად ძალდაუტანებლად, ბუნებრივად გადადის თოთხმეტმარცვლიან აკროსტიხულ ლექსში და ბოლომდე ასე გრძელდება.

„მდუღარე ცრემლში“ კი, რომელიც, შეიძლება, გულნაზის საუკეთესო პოემაც იყოს, პირიქითაა. მცირე შესავლის შემდეგ პირდაპირ იწყება თოთხმეტმარცვალა აკროსტიხული ლექსი. იქ პროზა ბოლოსკენ ერთვის, არცთუ ვრცლად, ერთ ადგილას, მაგრამ შემდეგ ისევ ლექსით სრულდება ყველაფერი, რამეთუ ქმნილების ლოგიკამ ასე მოითხოვა.

„მდუღარე ცრემლი“ მოცულობით არაა დიდი პოემა, იგი ლირიკული პოემაა. სინამდვილეში სხვაგვარადაა საქმე. შინაარსის მიხედვით ესაა ერთი უდიდესი მისტერია, ხილვა-ზმანება, რომელშიაც გადმოცემულია, ჯერ, ეპოქალური

სურათები ჩვენის ქვეყნისა, ხოლო ამ ყველაფრის ფონზე მეორე ხილვა იწყება.

ღიახ, ჯერ თალხით მოსილი, დაჩეხილი ქვეყანა იკვეთება წარმოსახვაში, თავისი დაკარგული აფხაზეთით, თავისი შვილების გაუტანლობით, სიძულვილით, ერთმანეთის დაპირისპირებით დამძიმებული.

მოკლედ და პოეტურადაა გადმოცემული ჩვენი ისტორია – ბოლო ათწლეულებისა. ხოლო ტრაგიკული ქვეყნის ფონზე ტრაგიკული – შვილდაკარგული ოჯახის ისტორიის რეალი იხსნება.

საოცარია მეორე მისტერია-ხილვა (მთლიანი მისტერიის მეორე ნაწილი), როცა ჩიტად (ტოროლად) ქცეული გარდაცვლილი ადამიანის სული ეცხადება პოეტს. ჩიტი მეტყველებს ადამიანის ენაზე, თანაც იგი ისეთივე კეთილია, წმინდაა, როგორც ადამიანად ყოფნის დროს იყო. ადამიანი-ფრინველი სთხოვს პოეტს, – მოინახულე და ანუგეშე ჩემი მშობლებიო.

ესაა, ალბათ, ყველაზე უფრო საუკეთესო და სულისშემძვრელი ადგილი მთელს პოემაში...

ჩემს მეგობარს, პოეტ გიორგი ზუხბაიას, აქვს ერთი ასეთი ლექსი – „მიუწვდომელი.“ საოცარი ლექსია, საოცარივე სათაურით. ასოციაციური გახსენებაა.

სწორედ რომ მიუწვდომელია და ბოლომდე ჩაუწვდომელი გულნაზ ხარაიშვილის პოემის ის ეპიზოდი, ადამიანი-ფრინველის ამბავს რომ გვიყვება...

როგორ უნდა მივხვდეთ, თუ ვინ არის დიდი ხელოვანი?

ეს, უპირველეს ყოვლისა, გულით უნდა მივხვდეთ გრძნობით. ჩვენმა საკუთარმავე გრძნობამ უნდა გვითხრას სიმართლე, როცა ვეცნობით ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებას.

მოკლედ, ადამიანს ან აქვს გული, ან – არა. საუბედუროდ, უგულო ადამიანები, უსულგულო ადამიანები, საბოლოო ჯამში, იქნებ მეტნიც არიან ამ სამყაროში, ვიდრე გრძნობის ხალხი (გრძნობის ადამიანები), მაგრამ არც ისინი არიან მცირენი, რომელთაც მკერდში მგრძნობიარე გული უცემთ

და უტყუარი ალლო აქვთ შედევრთა შეცნობა-შემეცნებისა.

პოეტური გრძნობა – ამ ორსიტყვედის ზუსტი განსაზღვრება ისეთივე რთულია, როგორც ზუსტი განსაზღვრება თვით პოეზიისა.

არადა, სწორედ პოეტური გრძნობაა ამოსავალი, როდესაც ხელოვნების ნებისმიერ სახეობას აფასებ, რამეთუ რაც კარგია, ის პოეტურია. უფრო დაგონკრეტდები, – რაც კარგია და ამაღლებულია, ის პოეტურია. მშვენიერება პოეტურობაა.

პოეტურია „მღუღარე ცრემლი“ და მისივე ის საოცარი ეპიზოდი, როდესაც გარდაცვლილი ადამიანის სული ცდილობს საიქიოდანაც კი დაამშვიდოს საკუთარი მშობლები.

მეორეს მხრივ, სამყაროში არაფერი მოინახება უნაღლოვ. ახალი კარგად განმეორებული ძველიაო, ამბობენ.

ვფიქრობ, უნაღლოვ არც ქალბატონი გულნაზის მიერ დახატული ის გასაოცარი ეპიზოდი იქნება, იმდენად ვრცელია მსოფლიო ლიტერატურა და თუნდაც ჩვენი – მშობლიური ლიტერატურა. მაგრამ ყველა ოსტატს (თუ – დიდოსტატს) ყველა პროფესიონალს (თუ – სუპერპროფესიონალს) თავისი სტილი აქვს, თავისი ხელწერა. ყველა თავისებურად გამოკვერავს ხოლმე შედევრს გარკვეული მასალისაგან. ოსტატნი თვითონვე არიან მობიდარნი (ქურუმნი) თავიანთივე ხელოვნებისა. დიდი ხელოვნება დიდი რელიგიაა, სწორედ, და ყველა ქურუმი-ხელოვანი თავისებურად ემსახურება მას.

გულნაზ ხარაიშვილსაც საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა აქვს. ამიტომ მის მიერ წარმოსახული ის დაუვიწყარი მისტერია-ხილვაც სულ სხვა გზებით, სულ სხვანაირად მიდის მკითხველის გულთან, ვიდრე სხვა ოსტატთა მიერ ასახული მსგავსი მისტერიები. აი, რომელი რომელს სჯობია, ეგ უკვე სხვა თემაა. მე ასე ვიტყვოდი, – ყველა ღამაზია თავისებურად. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება არაა შეჯიბრებითობის სამყარო (სპორტისაგან განსხვავებით, სადაც სწორედ რომ შე-

ჯიბრებითობა, სწორედ რომ ერთმანეთთან ბრძოლა-ჭიდილი ქმნის თავისებურ, ასე ვთქვათ, სპორტულ ხელოვნებას).

არადა, გასაკვირია: შეჯიბრებითობა ხელოვნებაშიც ყოველთვის იყო, ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, სწორედ იმ ჰომეროსისა, რომელსაც ხელოვნების (პოეზიის) მამას უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ პოეზია უფრო ადრეც უხვად იქმნებოდა (რად ღირს თუნდაც ნახევრად - მითოლოგიური ორფევის გახსენება, ამ ლეგენდარული პოეტი-მუსიკოსისა, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა არგონავტებთან ერთად. იგი თავისი დროის პირველ პოეტად ითვლებოდა. კიდევ უფრო ადრე იყო, ვთქვათ, „გილგამეშინის“ უცნობი ავტორი. ამ გენიალური პოემის პირველი ვარიანტი დიდი ხნით უსწრებდა როგორც ორფევის (ორფეოსის) „არგონავტიკას“, ასევე ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეასაც“, რაღა თქმა უნდა).

ჰომეროსი ეპოსის ოსტატი იყო, თავისი დროის პირველი ოსტატი. ეპოპეა მისი ნამდვილი სტიქია გახლდათ.

მაშ, ეპიკა ვთქვით.

ხოლო ლირიკის უძლეველ (მარადგამარჯვებულ) ჩემპიონად, ანტიკურ სამყაროებში, პინდაროსი ჩაეწერა (იგივე პინდარე). მისი გამარჯვებების ზუსტი რიცხვი არავინ იცის. დიახ, ამ პოეტის გამარჯვებანი უსაზღვროა, ხოლო მისივე ყაიმნი თუ დამარცხებანი – მონაჭორი, ან არასერიოზული რამ ღლაბუცი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილ პოეტურ რკენასთან. რეალურად კი ყოველთვის იმარჯვებდა პინდარე.

შეჯიბრებითობა მერეც, მერეც სულ მოჰყვებოდა ფეხდაფეხ ხელოვნების ისტორიას. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ფრანგ სიმბოლისტთა ეპოქაში;

და ჩვენთან – საქართველოში.

ახლაც ხშირად მესმის: ილია-აკაკი-ვაჟა, – და ვინ არის მათში საუკეთესო?

„განდეგილის“, „თორნიკე ერისთავისა“ და „აღუდა ქეთულაურის“ ავტორი, – მართლაც გაუხუნარი სამეპაა.

ხოლო დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ბარათაშვილ-გალაკტიონ-გრანელის საკითხი.

აი რუსთველს კი, პოეზიის (ხელოვნების) მეფეს, დღემდე ვერავინ უპირისპირდება ჭეშმარიტი დაპირისპირებით.

რატომღაც ცალკე დგას დიდებული ეპიკოს-ლირიკოსი გურამიშვილი.

რაც შეეხება ყანწელთა ლიდერებს – პაოლოს და ტიცინანს, მათ, უფრო, ბარათაშვილს, გალაკტიონსა და გრანელს უპირისპირებენ.

ასე მოკლედ გავიხსენეთ მეფეები განვლილი დროისა...

მაგრამ ხელოვნების დაპირისპირებანი ჩვენში დღესაც აქტუალურია. მოქმედი ხელოვნები ცდილობენ თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას. ასეთთა ყველაზე უფრო მკვეთრი წარმომადგენელია კახა ბაციკაძე, რომელმაც თავის თავში ჯერაც ბოლომდე ვერ დათრგუნა აზარტულობა და ამბიციურობა.

აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს ჩემი დოკუმენტური წიგნის (რომანის) მთავარი გმირის – გულნაზ ხარაიშვილის შემთხვევაში. იგი თავმდაბალი, კეთილმოსურნე ადამიანია, რომელიც არავის აგრძნობინებს საკუთარ უპირატესობას. არა, ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ თითქოს საკუთარი სიდიადე არ იცის: ყველა დიდი ადამიანი გრძნობს საკუთარ სიდიადეს (ადრე ვფიქრობდი, რომ ასე არ იყო. მეგონა, მაგალითად, რომ ბარათაშვილმა არ იცოდა საკუთარი თავის ფასი, საკუთარი სიმაღლე. ო, რა მწარედ ვცდებოდი!), მაგრამ ზოგი ახერხებს ამის დაფარვას.

აი, კახა ჯერ ისევ ახალგაზრდაა;

ქალბატონ გულნაზს კი ცხოვრების დიდი სკოლა აქვს გავლილი. ადამიანებთან, მითუმეტეს ხელოვნ-ადამიანებთან ურთიერთობებში, იგი ბევრად უფრო ძლიერი პოლიტიკოსია, ვიდრე ჩვენ ვართ – შემოქმედებითი ჯგუფ „ზღვარის“ დაუდგრომელი წევრები. თუმცა რაც დრო გადის, უფრო და უფრო ბევრ რამეს ვსწავლობთ გულნაზისა და მისი მსგავსი ადამიანებისაგან.

ბოლო წლებში საკუთარ თავსაც და სხვებსაც, „ზღვარის“ წევრთაგან, ავუკრძალე სერიოზულ პოეტურ დაპირისპირებებში მონაწილეობის მიღება. მე, როგორც ასაკით მათზე უფროსს, საკმაოდ მიჯერებენ. მოიწყინა კახამ, რომელსაც ადრე უამრავი პოეტური პაექრობა ჰქონდა მოგებული (ვთქვათ, – აფაქიძეს, უსტიაშვილს და ბევრ სხვა ნიჭიერ ადამიანს, პოეტს, ალბათ დიდი ხანი ეხსომება, თუ როგორი ოსტატია კახა ბაციკაძე პოეტური შეჯიბრებებისა). იგი ძალზე იშვიათად, ახლაც „აბაღანსებს“ ხოლმე რომელსამე ზედმეტად ამაყ ხელოვანს (პოეტს, მუსიკოსს...), მაგრამ ნელ-ნელა მაინც ცდილობს (ვცდილობთ) შეეგუოს იმას, რომ თავმდაბლობაა სწორედ ადამიანის ერთ-ერთი უპირატესი სათნოებათაგანი, მითუმეტეს – თავმდაბლობა ხელოვნებაში.

აი, ფილოსოფია სხვა რამეა. ის მაინც არაა წმინდაწყლის ხელოვნება. მასში მეცნიერება სჭარბობს. იქაურ კამათში, დაპირისპირებებში, შეიძლება ჭეშმარიტებას მიაკვლიო.

ნამდვილი ხელოვნება კი მაინც სხვა სამყაროა.

და ან რა ყრია ამ უძლეველობაში?

მაგალითად, გენიალური იყო პინდარე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, სულაც არ მიმაჩნია იგი ყველა დროისა და ხალხის პირველ ლირიკოსად. მითუმეტეს, რომ იმ დროისათვის ნამდვილი ლირიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იყო.

ან, აგერ, როკი მარჩიანოს – დიდი ჩემპიონისა და უძლეველი პროფესიონალი სპორტსმენის მაგალითი ავიღოთ, – გამოჩნდა ვინმე ბრაიან ნილსენი, თუმცა დიდებული ვაჟკაცი, მაგრამ ნახევრად-ჩემპიონი, ევროპელი, რომელმაც გაიმეორა მარჩიანოს მთავარი რეკორდი, ასეთი მიულწეველი რომ ეგონათ. არადა, მოკრივე ბრაიან ნილსენის ტიტულს ბევრი დღესაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. (გავიხსენებდი როკის ერთ საეჭვო გამარჯვებასაც).

მოჭადრაკე პოლ მორფი, მძლეოსანი რეი იური და სხვები, სხვები... ეს ის ხალხია, რომელნიც საკუთარ უძლეველობას შეეწირნენ.

სამუდამოდ დაავადდა (განუკურნებელმა სნეულე-
ბამ შეიპყრო) მუჰამედ ალი, – ყველა დროის უპირველესი
მოკრივე. იგი თუმცა უძლეველი არ იყო, მაინც ასეთად მი-
იჩნეოდა. თანაც, თავისი პროფესიის ყველა ადამიანს სჭარ-
ბობდა პოპულარობით.

პირველობამ შეიწირა მოჭადრაკე ბობი ფიშერის სული-
ერი მდგომარეობა, რომელიც თვით პელეს და მუჰამედ ალს
(ფეხბურთისა და კრივის ლეგენდებს) ეცილებდა „სპორტის
მეფის“ სტატუსს. ჭადრაკის მოცარტი მართლაც გამაოგნე-
ბელი ადამიანი იყო, მისი სპორტული ფანატიზმი ხელოვ-
ანთა ფანატიზმის დონეს აღწევდა;

მაგრამ უპირველესი სიმბოლო უძლეველობისა, ალბათ,
არის მაკედონელი მთავარსარდალი ალექსანდრე (ისკან-
დერი), – ძველი სამყაროს ერთი უდიდესი რეალობა – მითი.

და რა მოიგო საბოლოოდ მან? სულ ოცდაცამეტი წელი
იცოცხლა, ეს იყო და ეს. მისი სული იმითდა თუ დამშვიდ-
დება, რომ სწორედ ამდენივე წელი დაჰყო ადამიანთა შორის
იესო ღმერთკაცმა...

ღმერთკაცი ვახსენე და –

აქვე წამომავიწყდა გულნაზ ხარაიშვილის წიგნი „ღმერ-
თკაცი და თოლია.“ სანამ გულნაზის პოეზიას დავუბრუნდე-
ბი, მინდა ამ პატარა წიგნზეც ვილაპარაკო.

„ღმერთკაცი და თოლია“ ყველაზე გახმაურებული პრო-
ზაული ნაწარმოებია გულნაზ ხარაიშვილისა. ყოველ შემ-
თხვევაში, ჯერ-ჯერობით ასეა.

წიგნს, ღმერთკაცის შესახებ, მე ზღაპრული ტიპის მო-
ზაიკურ რომანს დავარქმევდი, მოცულობით უფრო დიდი
რომ იყოს. იგი სამოც გვერდამდეა, ხოლო რომანი, სულ
ცოტა, ას გვერდს მაინც უნდა აღემატებოდესო, ამბობენ.
მოკლედ, ეს არის თერთმეტი ზღაპრის კრებული, მაგამ ამ
ზღაპარ-მოთხრობებს აერთიანებს ღმერთკაცის პერსონა,
რომელშიაც ზოგმა, უბრალოდ, დიდბუნებოვან ადამიანთა
კრებითი სახე, გარკვეული სიმბოლო დაინახა, ზოგმა კი ეს
პერსონაჟი პირდაპირ დაუკავშირა ჩვენს პრემიერს – ბატონ

ბიძინა ივანიშვილს. ეგებ ამ ფაქტმაც გამოიწვია მოთხრობათა ამ ციკლის გახმაურება, – წარმატებული ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, ბოლოს გაპრემიერებული ბიძინა ივანიშვილი ხომ ყველაზე უფრო ცნობილი სახეა თანამედროვე საქართველოში.

წიგნი გამოცემულია თბილისში, ორიათასშივინ ვწელს, ასე რომ, როცა იგი შექმნეს და გამოსცეს, მაშინ ივანიშვილი ქვეყნის წამყვანი პირი სრულიადაც არ იყო. ამ კუთხით თუ შევხედავთ, წიგნი წინასწარმეტყველურიც აღმოჩნდა, – რამოდენიმე წლის შემდეგ ბატონი ბიძინა თანამედროვეობის სიმბოლოდ იქცა.

მოგეხსენებათ, ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანების დასაწყისში, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, აკაკი ბაქრაძის და სხვათა ღვაწლით, საფუძველი ჩაეყარა ახალ საქართველოს.

ოთხმოცდათორმეტი წლის პუტჩის გამო შეჩერდა ქვეყნის განვითარება-წინსვლა და მოვლენები გვარიანად აირია. ზვიადის დაღუპვას მოჰყვა მეორე და მესამე პრეზიდენტების მმართველობის წლები, მაგრამ ერთხელ არეული ქვეყნის დალაგება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა იმასთან შედარებით, ვიდრე ეს ზოგს ეგონა.

ორიათასშივიდი წლიდან დაიწყო ახალი მოძრაობა, რომელიც ორიათასთორმეტი წლიდან თითქოს ახალ რევოლუციაში – ლურჯ რევოლუციაში გადაიზარდა.

ასე იყო თუ ისე, ქვეყნის სათავეში მოვიდა ჯერ-ჯერობით უპრეცედენტოდ პოპულარული პრემიერ-მინისტრი, რომელსაც სურს, რომ საქართველო განვითარების ახალ გზას, ახალ სივრცეებს აზიაროს.

არ ვიცი, ივანიშვილის სახის ამოცნობა რამდენად სწორია გუგუნაზის მოთხრობებში. ამგვარად ვიტყვოდი, – ჩემის ფიქრით, არის და არც არის ასე. რაღა თქმა უნდა, დიდი ბიზნესმენის (მილიარდერის), მეცენატისა და პოლიტიკოსის სახე გარკვეულწილად გამოიყენა მწერალმა, მაგრამ მისი პერსონაჟი უფრო, მაინც, განზოგადებული სახე

მგონია, რომელიც უზარმაზარი გულის მქონე, წარმატებულ, ძლიერ პიროვნებას წარმოადგენს, და არის სიმბოლო ნამდვილი ერისკაცობისა.

რაც შეეხება თვითონ ზღაპარ-მოთხრობებს, ისინი დიდი ოსტატობითაა დაწერილი და სწორედ რომ უთეთრესი მტრედის ხუნდებივით (ბარტყებივით) არიან ყველანი ერთად შეყუჟუნნი პატარა წიგნში. თუმცა ერთი კია: ყველა მათგანს ეტყობა, – მათ ავტორში მწერალს პოეტი ჭარბობს. დიახ, ესაა უფრო პოეტური პროზა, მაგრამ ამაღაც არის მშვენიერი. გულუბრყვილოდ პოეტური, ფერადი და გასაოცრად ლამაზია გულნაზ ხარაიშვილის მოთხრობები. უკლებლივ ყველა ისინი კეთილად მთავრდება, რის გამოც იმედით ავსებს მკითხველს, უჩენს რაღაცისა თუ ვიღაცის რწმენას, ასევე – საკუთარი თავის რწმენასაც. ცხოვრებისეული პერსპექტიულობის გრძნობას. ეს წიგნი ოპტიმიზმის ზეიმია, განსხვავებით გულნაზის პოეზიისაგან, რომელიც გაცილებით უფრო რთული ფერთა პალიტრით გამოირჩევა, ვიდრე ეს ნაშრომი, მაგრამ...

მაგრამ წიგნი ღმერთკაცზე ხომ, ძირითადად, ბავშვებისთვის არის დაწერილი (თუმცაღა, როგორც მეუბნებიან, ნებისმიერი ასაკის ადამიანი მას სიამოვნებით კითხულობს), ხოლო ბავშვებს სწორედაც ნათელი ფერები უფრო უყვართ, და სისადავე, სილაღე. ამ მხრივ ღმერთკაცის ამბავი მართლაცდა ზუსტად, შესაფერისადაა გადმოცემული.

მოკლედ, ესაა გულნაზ ხარაიშვილის კიდევ ერთი წარმატებული ნაშრომი, რომელმაც მე, სხვათა შორით, თვით დიდი ანტუან დე სენტ ეკზიუპერის „პატარა უფლისწულიც“ კი მომაგონა, თუმცა ეკზიუპერი მაინც უფრო რთულად წერდა. აი, „ზღაპარ-მოთხრობა“ მის ქმნილებას უფრო შეეფერება. იგი გარეგნულად სადაა, თუმცა თითოეულ აბზაცში უამრავი რამაა ნაგულისხმევ-ჩატეული. ეკზიუპერი თავისი ნიღბის მიღმა სრულიადაც არ იყო გულუბრყვილო მწერალი (ისევე, როგორც ანრი ალენი). ანტუანი იყო ღრმად ტრაგიკული ინდივიდი, და მისი პატარა უფლისწული არის, ძალიან

მოკლედ რომ შევაფასოთ, უკვდავი ძეგლი ადამიანთა მარტოობის შესახებ. ერთ ბავშვს წაგუკითხე ეს ზღაპარი. მან მითხრა: „ძალიან მომეწონა, მაგრამ დავღონდი“. ეს ერთის მხრივ კარგია, – ეკზიუპერი ბავშვს და მოზარდს ფიქრს ასწავლის, მაგრამ...

გულნაზ ხარაიშელის კი სხვა მიზანი ჰქონდა. იგი იმისთვის არ წერდა ღმერთკაცის ამბებს, რომ მერე მის წიგნს ბავშვი დაედღონებინა. პირიქით, მას სიხარული სურდა პატარებისათვის და ამას მიაღწა კიდევ. ხოლო თუკი მის ზღაპრებში აქა-იქ მაინც შეიმჩნევა სევდიანი ფერები, ეს უფრო ის ეპიზოდებია, როცა რეალობა შემოიჭრება ხოლმე ზღაპრულ სივრცეში. საბოლოოდ, მაინც, ყველა მის ზღაპარში სიკეთე ზემოებს.

ეკზიუპერი გენიოსი იყო. იგი ისე წერდა, როგორც ამას საკუთარი გენია კარნახობდა.

გულნაზ ხარაიშიელს არ აქვს პრეტენზია გენიოსობაზე. მას, უბრალოდ, ძალიან უყვარს ხელოვნება და ამიტომ წერს. რომ არ დაწეროს, არ შეუძლია, და ამიტომ წერს! გულნაზის სიძლიერე მის სიმართლეში, მის მგრძნობელობაშია. ამიტომაც არის იგი წარმატებული, პოეტურ და წარმატებული.

აი, ახლა გონებაში გამიელვა კიდევ ერთმა სახელმა – ჰანს ქრისტიან ანდერსენი. იგი ისეთი პროფესიონალი, ისეთი ოსტატი იყო, რომ მეზღაპრეთა მეფეც კი შეარქვეს. მაგრამ ანდერსენი გაცილებით უფრო უბრალოდ წერდა, ვიდრე ეკზიუპერი. მისი ზღაპრები ეკზიუპერისაზე უფრო გულუბრყვილოა, ცოტა უფრო ნაკლებ ქვეტექსტებსაც შეიცავს, თუმცა გაჯერებულია უზარმაზარი, შეუდარებელი ადამიანური სითბოთი და პოეზიით; სევდა იქაც არის, მაგრამ იქ მაინც სიკეთე მძლავრობს.

ანდერსენი ვერაფრით გაიმეტებდა დასაღუპად ისეთ იდეალურ, პოეტურ გმირს, როგორიცაა პატარა უფლისწული, მთელი კაცობრიობის სევდას რომ დაატარებს საკუთარი გულით ეს პატარა არსება, თვითონ რომ ერთიციდაა და

გული კი მთისხელა აქვს!

შეიძლება ამიტომაც, ანდერსენი ვერასდროს შექმნიდა ისეთ შედეგებს, როგორც არის ეკზიუპერის ლეგენდა-ზღაპარი.

და მაინც, – სწორედ ანდერსენს შეერქვა მეზღაპრეთა მეფე და ეს შემთხვევითი არაა.

ეკზიუპერი ზღაპარს ნამდვილი პროზისათვის ქმნიდა.

ანდერსენი კი ზღაპარს იმისთვის წერდა, რომ იგი სწორედ ზღაპარი ყოფილიყო. ანდერსენისთვის ზღაპარიც ნამდვილი, დიდი პროზის ნაწილი იყო.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ეკზიუპერი და ანდერსენი – ორივე გენიოსები იყვნენ.

გულნაზ ხარაიშვილი, როგორც ზღაპართა შემქმნელი, ანდერსენის გზას უფრო ადგას, თუმცა იგი, საერთოდ, (ეს უკვე აღვნიშნე), საოცრად თავმდაბალი ადამიანია და მეტისმეტად მოკძალებულია გენიოსთა სამყაროსადმი. მიუხედავად ამისა, პარალელი მაინც აშკარაა: იგი ზღაპარს წერს, როგორც ნამდვილ ზღაპარს, როგორც გულუბრყვილობასა და სიკეთეზე აგებულ ქმნილებას, ღამაზ ქმნილებას, ბავშვებისათვის განკუთვნილს. მისი ზღაპრები არც ზედმეტად დამღლელია და არც ზედმეტად დამაღონებელი. ესაა თერთმეტი სურათისაგან შექმნილი ფერადად პოეტური გამოფენა, სიტყვითი მხატვრობა თუ ბგერწერა, რომელიც ატკობს მკითხველს.

მაგრამ მაინც არის ერთი „ნიუნანი“: როგორც კი მკითხველებმა დმერთკაცის სახე-პერსონაჟში ბიძინა ივანიშვილი ამოიცნეს, ყველაფერი შეიცვალა; ჭეშმარიტად, მხოლოდ ბავშვები არ კითხულობენ ზღაპრებს; დიახ, ზღაპრებს უფროსებიც კითხულობენ; და წიგნი ნელ-ნელა გახმაურდა. კოალიცია „ქართული ოცნების“ ასპარეზზე გამოსვლამ კიდევ უფრო გაზარდა მისდამი ინტერესი. ტექსტსაც მეტი დატვირთვა მისცეს. ღამის პოლიტიკურ მანიფესტად გამოცხადდა ბავშვებისათვის დაწერილი ერთი უბრალო, კეთილი, ძალიან ღამაზი წიგნი...

მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა...

მე კი პოეზიას დავუბრუნდები, ანუ იმ ხელოვნებას, რომელსაც გულნაზ ხარაიშვილი პირდაპირ აღმერთებს.

არაერთხელ მითქვამს, რომ პოეზია, მუსიკასთან ერთად, საწყისია ყოველი ხელოვნებისა, ისევე, როგორც ფილოსოფიაა ყველა სხვა მეცნიერებათა საწყისი. პოეზია მამაც არის და მეფეც, ერთდროულად. იგი, ალბათ, ერთადერთია, რომელსაც უპირატესობა აქვს მუსიკასთან მიმართებაშიც კი. ეს იმიტომ, რომ პოეზია სიტყვათა ყველაზე პოეტური ხელოვნებაა, ხოლო სიტყვა უმთავრესი რამაა ადამიანის აზროვნებისათვის.

აი, ასეთ მაღალ ხელოვნებას ვქმნი და ვსწავლობ მთელი ჩემი ცხოვრება, ვქმნი და ვსწავლობ-მეთქი, რამდენადაც ძალმიძს. მე მთელი სიცოცხლე მას დავუთმე, ბოლო ოცი წელია ხომ ინტენსიურად, საბოლოოდ ვცდილობ ჩავწვდე მის არსს, მის ნამდვილ სულს, მისსავე ნამდვილ რაობას.

ჯოჯოხეთური სამუშაოა, თითქმის უპერსპექტივო.

მაინც ვცდილობ.

პოეზია ისაა, რაც მთელს ცხოვრებას გაკარგინებს და უკვდავებას კი განიჭებს, მაგრამ ეს უკვდავება მიწიერი არაა, იგი ზეციური რამ ზმანებაა, სიზმარი რამე უსაგნო, ცისარტყელაზე უფრო ღამაზი, მაგრამ, ალბათ, არაფერში გამოსაღებო.

მოკლედ, პოეზია ცხოვრების დაკარგვაა, თუმცა პოეტი არა ნანობს მის გზაზე დგომას. არა ნანობს იმიტომ, რომ ნამდვილი პოეტი იდეალისტია.

რუსთველმა საღვთო და სიბრძნის დარგი უწოდა პოეზიას.

ესე იგი, რუსთველს მიაჩნდა, რომ ბრძნობაა იდეალისტთის თავგანწირვა. თვითონ ხომ იესოსავით აბსოლუტური იდეალისტი იყო, და მაშ რაღა გასაკვირია, რომ იდეალების, ზეცის ადამიანი უფრო გახლდათ იგი, ვიდრე მიწისა. ის იყო აბსოლუტური პოეტი, გრძნობის კაცი.

მაშ, როგორც ხედავთ, სიბრძნე, ადრე, ცივ გონებასთან

სრულიადაც არ ასოცირდებოდა (ისე, როგორც დღესაა, – აი, ლამის სიცივის, ყინულის იმპერიად რომ გადავაქციეთ ადამიანთა საცხოვრისი პლანეტა). არა. ადრეული ბრძენი გრძნობადი პიროვნებაც უნდა ყოფილიყო, ესე იგი – პოეტიც, და რაგინდ თვითონ უარეყო ეს (მაგალითად პლატონი თითქმის არ აღიარებდა თავის უზარმაზარ პოეტობას, პოეტურობას, მხოლოდღა ფილოსოფოსის სახელს აფარებდა თავს), სიმართლე მაინც სიმართლედ რჩებოდა, – პოეტი ბრძენთან და ბრძენი პოეტთან ასოცირდებოდა.

პოეტი, უმეტესად, დაუდგრომელი პიროვნებაა. ამდაც არის რომ ადრე ბრძენის შეშლილობანიც არავის აკვირვებდა მაინცადამაინც.

დღეს კი...

დღეს, ხანდახან, ნამდვილი შეშლილების შეშლილობას ვეღარ ატყობენ, ხოლო ბრძენებს ხანდახან (თან – არცთუ იშვიათად) შეშლილებად ნათლავენ.

ადრე პოეტი იყო ბერიც, რაინდიც, მოძღვართმოძღვარიც, რომელიც განაგებდა კიდევ სახელმწიფოს (უფრო – არაოფიციალურად). იგი განხლდათ კაცი, აღჭურვილი განსაკუთრებული სულიერ-ფიზიკური ძალით (მითუმეტეს – სულიერი ძალით), რომელსაც უსმენდნენ მეფეები, ხოლო ხელმწიფეთათვის უზარმაზარი პატივი იყო, თუ მათს შვილებს პოეტი მოძღვრავდა. მაგალითად, მაკედონიის მეფემ ფილიპემ თავისი შვილის აღმზრდელად მოიწვია პოეტი – ფილოსოფოსი არისტოტელი, „პოეტიკისა“ და კიდევ სხვა გენიალური ქმნილებების ავტორი, პოეტური ფილოსოფიის მეფის – პლატონის ნამოწაფარი.

ღიას იყო ასეთი დროც.

მერე, ნელ-ნელა, ყველაფერი შეიცვალა. პოეტებმა დაკარგეს სულიერი წინამძღოლობა ჩვენს პლანეტაზე და ცხოვრებაც გაუფერულდა.

მოკვდა ანტიკური ხანა – კაცობრიობის პირველი უზარმაზარი აღზევება, ევროპული და მსოფლიო ტრიუმფი.

ძველებერძენისათვის და ლათინელისათვის ჰომეროსი, ჰე-

სიოდე, ვერგილიუსი, ოვიდიუსი და ჰორაციუსი ნახევრად-ღმერთები იყვნენ.

და პოეტმა-ფილოსოფოსმა არისტოტელმაც ხომ მეფე ფილიპეს აღუზარდა ვაჟი – ალექსანდრე მაკედონელი, მერე რომ თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო, თავისი დროის მსოფლიო.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ნელ-ნელა, პოეტებმა, და-კარგეს თავიანთი შეუდარებელი გავლენა.

მიუხედავად ამისა, პოეტი მაინც ნიშნავდა (და ნიშნავს) განსაკუთრებულ ადამიანს. ამიტომაც თუ იყო რომ როგორც კი პოეტები იბრუნებდნენ სულიერ მეფობას ერებზე, მაშინვე ისევ ათასფრად აელვარდებოდა ხოლმე ჩვენი სამყარო.

აგერა, მოვიდა შუასაუკუნეები და გამოჩნდა დანტე ალიგიერი იტალიაში. არ გაახარეს, შეუტყის, ცხოვრება მოუწამლეს...

დანტე თითქოს დამარცხდა...

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მის პოეზიას, მის იდეებს გაუმარჯვია.

და სწორედ ალიგიერის ხელოვნებაზე დაფუძნდა რენესანსი – მეორე დიდი, უდიდესი ტრიუმფი ევროპისა და მსოფლიოსი.

აქვე უნდა ვთქვა, რომ უდიდეს ქრისტიან პოეტთაგან დანტეს უშუალო წინამორბედი ჩვენი რუსთველი იყო. ეს ჯერ კიდევ ფილოსოფოსმა შალვა ნუცუბიძემ შენიშნა. და აღმოაცენა, ამაზე, აღმოსავლური რენესანსის თეორია. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში უხშირესად ისმოდა ნუცუბიძის, შანიძის, კეკელიძის, ყაუხჩიშვილის, ჩიქობავას სახელე-ბი... ნუცუბიძის და ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიები ერთ დროს მეტად პოპულარული იყო ჩვენში.

მაგრამ დავუბრუნდეთ უშუალოდ პოეტებს.

დანტე ალიგიერისა და იტალიურ-მსოფლიო რენესანსის შემდეგ ისევ პოეტთა ხელში მოექცა სულიერი სადავეები კაცობრიობისა. თავიანთი დროის პირველ პოეტებად აღი-არებულმა გოეთემ და ბაირონმა შეაზანზარეს ევროპა, ანუ

– მსოფლიოც: ხომ ევროპაა გული დედამიწის.

და შორს სადღა მივიღვართ, განა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ არ გადაარჩინა სრულს გაქრობას ჩვენი ერი? დიახ, ილია მართალი რომ არა, რომელსაც, აკაკისთან ერთად, საქართველოს არაოფიციალურ მმართველად აღიქვამდა ბევრი, ილიას ნახევარსაუკუნოვანი მუხლჩაუხრელი შრომა და ბრძოლა რომ არა (მას ნამდვილად ჰქონდა აკაკიზე უფრო მეტი შეძლებაც და ენერჯიაც), დღეს სახელმწიფო საქართველო ალბათ არც იარსებებდა. აკი შეეწირა კიდევაც ის ღვთისნიერი კაცი თავის უდიადეს საქმეს...

აი ასეთნი იყვნენ პოეტები.

ვიხსენებდი ყოველივე ამას, ვსწავლობდი და ვიხსენებდი, ვუღრმავდებოდი ამ ზოგადსაკაცობრიო, ამ საუკუნოვან თემებს.

პარალელურად ვცდილობდი, რომ მეც რაიმე გამეკეთებინა და ვქმნიდი შემოქმედებით ჯგუფებს.

ეს იყო ოთხმოცდაათიან წლებში.

სამწუხაროა, რომ მაშინ არ ვიცნობდი ქალბატონ გულნაზ ხარაიშიელს, – ბევრ ინტრიგას ამარიდებდა იგი, ბევრ მახეს დავაღწევდი თავს, რომლებშიაც ხანდახან ვებმეზობოდი ხოლმე, ჩემი ნაკლებამოცდილებისა და მოშურნეების თუ, უბრალოდ, არაკეთილმოსურნე ადამიანების წყალობით.

მაინც წარმატებული აღმოჩნდა ჩემი ჯგუფები – „მირაჟი“ და „ზღვარი“. არც ერთის, არც მეორის წევრთა ზუსტი რაოდენობა არ ვიცი. სხვადასხვა დროს ამ დაჯგუფებებში ბევრი ადამიანი მოიაზრებოდა. „ზღვარში“ მაინც ექვსეულს გამოვარჩევდი, უფრო კი – ოთხეულს. ჯგუფის ლიდერობაში მე და კახას არავინ შეგვცილებია. ჯერ მე ვიყავი ლიდერი, ახლა კი საპატიო ხელმძღვანელად უფრო მოვიაზრები. უკვე კარგა ხანია, რაც პირველობა კახას გადავაბარე. მასთან ერთად, ძალზე მცირე ხნით, თანალიდერები (თანახელმძღვანელები) იყვნენ ჯერ ზუხბა, მერე – ვასო, ანუ ჩემი ძმა. კახა ბაციკაძე ნამდვილი ფანატიკოსი აღმოჩნდა ხელოვნებისა, ხოლო ყოველი ჩვენთაგანის ერთგულება იქნებ

სანიმუშოც კი იყო ერთმანეთისადმი და საერთო საქმისადმი. მითუმეტეს, რომ ჩვენი ოთხეული „ზღვარელობამდეც“ ერთად მუშაობდა ლიტერატურაში, ხელოვნებაში – საერთოდ.

ერთად გამოვიარეთ ოთხმოცდაათიანი წლები, მერე – ახალი საუკუნის პირველი ათწლეული და...

და აი, მერე ის იყო, რითიც ეს წიგნი დავიწვე: ორიათას-თორმეტი წელს თბილისის (თუ – სრულიად საქართველოს) მთავარ ტაძარში მე და კახამ პოეტი გულნაზ ხარაიშვილი გავიცანით.

ქალბატონი გულნაზი.

აი პოეტი–უნვერსალი: ის ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, ცდილობს ერის მაჯისცემა იგრძნოს და სათავეში ჩაუდგეს გარკვეულ პროცესებს, თუნდაც – პროცესებს ხელოვნების საერთო აწევა–აღზევებისა, რაც, მერე, მთელი ერის აღზევებადაც უნდა გარდაისახოს.

მისი დიდი გამოცდილება და ორგანიზატორული ნიჭი აძლევს მას იმის შესაძლებლობას, რომ არ ჩაიკეტოს რაღაც ჩარჩოებში, არ დაწვრილმანდეს და საქმენი მისი ანარეკლი მაინც იყოს ძველთა – უდიადესთა საქმეებისა.

გულნაზ ხარაიშვილის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი საღამოები, რომელთა სათვალავი უკვე ამერია, სწრაფად მოედო თბილისს. მართლაც განუზომელი ენერჯის პატრონი აღმოჩნდა.

აი, მაგალითად, წლევეანდელი (ორიათასცამეტი) წელი ავიღოთ: იანვარი, თებერვალი, ახლა კი, როცა ამ ფრაზებს ვწერ, მარტია, და ქალბატონ გულნაზს თვე არ ჩაუგდია რომ რამოდენიმე საღამოს ორგანიზება არ გაეკეთებინა. თვით მარიამ წიკლაურიც, იკა(ია) ქადაგიძეც და კატო ჯავახიშვილიც კი ვერ აწყობენ, ალბათ, იმდენ და ისეთ მრავალფეროვან შემოქმედებით საღამოებს, როგორსაც ეს ასაკოვანი ქალბატონი ატარებს. არადა, სამივე ჩემს მიერ დასახელებული პოეტი ქალი გამოირჩევა არა მარტო თავიანთი ხელოვნებითი ღვაწლით, არამედ – პიროვნული ენერ-

გიითაც.

თითქოს ახლახანს დაიწყო წელიწადი, და გულნაზ ხარაიშვილმა მოაწყო აკადემიის ჟურნალისადმი მიძღვნილი საღამო, აკადემიის ანთოლოგიისადმი მიძღვნილი საღამო, კიდევ სხვადასხვა ხელოვნებით-მეცნიერებითი ღონისძიებანი, ხოლო აგერ, სულ ახლახანს, მთავარ ტაძარში (იმ ცნობილ დარბაზში) ჩაატარა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ქალბატონ ასმათს და მის ხელოვნებას. ეს ქალბატონი, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო მქარგველია (მხატვარი-მქარგველი) ჩვენი ქვეყნისა. მის საღამოს მე, კახა და ვასკა დავესწართ. ესეც ერთი დიდი ზეიმი იყო, ზეიმი, და მას ჩვენი გულნაზი მეთაურობდა, ადამიანი, რომელმაც „ზღვარის“ მთელი შემოქმედებითი ნიჭი გამოიყენა თავისი ღონისძიებების წარმატებათა განმკვეთრებისათვის, ხოლო ამით ჩვენი წარმატებებიც მეტად წარმოაჩინა და გაამკვეთრა.

უნდა გამოვტყდე, წინა დღეებში დაგვიბარა და ბავშვებით დაგვარიგა:

– იცოდეთ, აუცილებლად მოხვალთ საღამოზე. სერგი, შენ სიტყვას იტყვი, და ლექსებსაც წაიკითხავ, თუ ამას ისურვებ: ვიცი შენი ამბავი, – არ გიყვარს საკუთარი ლექსების კითხვა... ხო, ვიცი, ვიცი... არადა, სხვების ქმნილებათა წასაკითხად იქ დრო არ გექნებათ... კახა, შენ კი აუცილებლად უნდა წაიკითხო ლექსები, აუცილებლად!..

ჩვენი მრისხანე და ამბიციური პიროვნებები სრულიად იცვლება მის წინ. საერთოდ, გარკვეულწილად გვახასიათებს მოკრძალება ასაკით უფროსი ადამიანებისადმი, მაგრამ აქ მხოლოდ ასაკში არაა საქმე. ქალბატონი გულნაზი მიეკუთვნება ნამდვილ პიროვნებათა იმ მცირე ჯგუფს, რომელთაც აშკარად აქვთ გავლენა ჩვენზე. მან ეს პატივი დაიმსახურა თავისი დიდადამიანური თვისებებით. ამიტომაც მის დავალებათა უმეტესობა ჩვენგან უსიტყვოდ სრულდება. გულნაზი გახლავთ, სწორედ, ის ადამიანიც, რომელმაც დაგვარღვევინა აღთქმა, რომ ყოველთვის მხოლოდ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ გაერთიანებათა (ვთქვათ – „ზღვა-

რის“) წევრები უნდა ვყოფილიყავით და სხვა გაერთიანებებისა თუ ორგანიზაციებისა კი – არა. უშუალოდ მისი ინიციატივით გავწევრიანდით, ვთქვათ, ორ აკადემიაში, და გულნაზის თხოვნითა თუ მოთხოვნით, რამდენჯერმე მწერალთა კავშირშიც მივედით. ვადიარებ, – აკადემიები მართლაც ძალიან გამოგვადგა. მათი წყალობით უამრავ დიდებულ ღონისძიებაზე მოვხვდით, ზოგან – მთავარი გმირების რანგშიც კი... აი, მწერალთა კავშირთან თუ როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობა, მაგას კი უკვე მომავალი გვიჩვენებს...

დავუბრუნდეთ წლევეანდელი მარტის თვეში გულნაზ ხარაიშვილის მიერ გაძღოლილ პირველ საღამოს, – ქალბატონი ასმათის საღამოს.

შევედით ვრცელ, გაჩახჩახებულ დარბაზში. დარბაზი თითქოს სამ ნაწილადაა გაყოფილი. შუა ადგილას სკამები განულაგებიათ. წინ ტრიბუნაა და პრეზიდენტის წევრთა ადგილები. კედლებზე კი ასმათის (მართლაც დიდებული სახელი ჰქვია, – სახელი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი პერსონაჟისა) ნახატებია გამოფენილი. ნახატები თუ ნაქარგები: როგორც გენებოთ ისე უწოდეთ, – ორივე შემთხვევაში ხელოვნებითი სიმართლე თქვენს მხარეს იქნება.

და მოდის ამ ნახატებიდან ფერები, ფერების ოკეანე, ფერების სიმფონია, რომელიც ერწყმის ტაძრის კედლების იდუმალებას. ეს ხომ ქვეტაძარია, ანუ – მთავარი ტაძრის ქვედა ნაწილი, ანუ ის, ის რაც არის არა მიწის ზევით, არამედ – მიწის ქვეშ (მოგეხსენებათ, ხომ, სამების ტაძრის ორმაგი სტრუქტურა). ამიტომ თუა, რომ აქ იდუმალება განსაკუთრებით ხელშესახებია.

და აი, ახლა კიდევ გამიჩნდა ეს შეგრძნება: ნელ-ნელა უფრო და უფრო მიიღო ამ წიგნმა დოკუმენტური რომანის (თუ: დოკუმენტურ-მხატვრული რომანის) სახე.

იმ სატაძრო საღამოსა და ნახატთა აურის საიდუმლოებაში ხომ მთლად რომანის პერსონაჟებით მიმოდინდნენ რეალური ადამიანები.

საღამო დაიწყო მეუფე თადეოზის ლოცვა-კურთხევით. მის ლოცვას მთელი დარბაზი აჰყოლოდა, ტაძარი სულეთის ოკეანედ ქცეულიყო თითქოს. მერე იყვნენ სხვადასხვა გამომსვლელები. ქალბატონი გულნაზი ფრთხილად, დაკვირვებით აკონტროლებდა მთელს პროცესს. იგი გამოცდილი დირიჟორით უძღვებოდა ღონისძიებას.

იქ იყვნენ ბევრნი, ცნობილნი თუ უცნობნი სახენი. იქ იყვნენ, ვთქვათ, ვაჟა ოთარაშვილი, ერეკლე საღლიანი, დავით შემოქმედელი, ჯემალ ინჯია, თამარ ჯაჭვამე, ლამზირა შეყილაძე და სხვანი, მათ შორის, – ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარიც – რეზო ადამიაც... დამეთანხმებით: ასეთი ღონისძიების მთავარსარდლობა არაა ადვილი.

სხვათა შორის, ორიათასთორმეტი წელს, როცა ერთ-ერთი პირველი სატაძრო საღამო ჩაატარა გულნაზის აკადემიამ, წამყვანი, მისივე სურვილით, მე ვიყავი, და ყველა აღიარებს, რომ ამ საპასუხისმგებლო მისიას კარგად გავართვი თავი (მე ხომ მქონდა ასეთი საქმეების დიდი გამოცდილება). მაგრამ, საერთოდ, იმ დარბაზებში, რომლებშიაც მე მიმყავდა საღამოები, ახალგაზრდები უფრო ჭარბობდნენ, ხოლო აკადემიათა მიერ ორგანიზებული საღამოების უმეტესობაზე, უფრო, მაინც, ხანშიშესული ადამიანები ჭარბობს. თუნდაც ამიტომ მიმანჩნია, რომ ამგვარი ღონისძიებანი, სჯობს, ძალიან გამოცდილმა პიროვნებამ წარმართოს, აი, ვთქვათ სწორედ ისეთმა, ქალბატონი გულნაზი რომ არის.

მაგამ ახლა ისე არ გამიგოთ, თითქოს ასმათის საღამოს ახალგაზრდები აკლდა. არა, როგორ გეკადრებათ, პირიქით, – თვით ღონისძიების მუსიკალური გაფორმებაც კი, როგორც ჩანს, სწორედ მათ დაავალეს, და ტაძრის კედლები გაიჟღინთა ფანდურისა და საღამურის ხმებით. საღამური ხომ ისედაც ღვთაებრივი საკრავია, ხოლო ამ ღვთის სახელში კიდევ უფრო მეტი ზეგავლენის ძალით აღვსილიყო, თითქოს, იგი.

რატომ გამოვარჩიე ეს საღამო, რატომ ჩაიბეჭდა, ასერიგად, ჩემს გულსა და გონებაში? –

იმიტომ, რომ აგერ უკვე წელიწადია, რაც მოვიაზრები,

როგორც აკადემიის ნაწილი, ხოლო ჩემი ლექსი მხოლოდ იმ დღეს გაჟღერდა პირველად აკადემიისათვის, თუ – იქ დამსწრეთა უმეტესობისათვის. ისინი, ასე საჯარო წაკითხვით, კახას ლირიკას კი იცნობდნენ, მაგრამ მე საკუთარ ლექსებს სახალხოდ იშვიათად ვკითხულობ: მათი წაკითხვა ჩემს თავთან მარტოდ დარჩენილს უფრო მიყვარს, ან – უახლოეს ადამიანთა გარემოცვაში როცა ვარ, მაშინ.

იმ დღეს მოკლე სიტყვა ვთქვი, ხოლო ჩემს შემდეგ კახა მივიდა ტრიბუნასთან. მე კარგად მახსოვდა თუ რა დაავალა მას ქართული კულტურის დედოფალმა (დედა-დედოფალმა): დიას, ასეა, – კახას უნდა წაეკითხა საკუთარი ლექსები, ხოლო მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ორიდან ერთი, – ან „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, ან „გრანელი-ღმერთი.“

მაგრამ იმ დღეს ქალბატონი გულნაზის დავალება კახამ ოდნავ შეცვალა: „გრანელი-ღმერთი“ მეორე ლექსად წაიკითხა, ხოლო პირველად მან გააჟღერა ჩემი ქმნილება „უმანძილობა“, და...

ღონისძიება იყო ჩაფიქრებული, როგორც სადამო-გამოფენა, ანუ ადამიანების ნაწილის ყურადღება რომ ტრიბუნისაკენ იყო მიმართული, ნაწილი ნელი სეირნობით ათვალიერებდა ნახატ-ნაქარგებს, რათა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაეწერათ თავიანთი აზრი (იმ წიგნში ჩვენც დავაფიქსირეთ ჩვენი სათქმელი).

მაგრამ კახა ისეთი ენერგიით, ისე დამუხტულად კითხულობდა, რომ თვით სურათთა დამთვალიერებელნიც კი მისკენ შემობრუნდნენ და ადგილზე გაიყინნენ. წარმატება აშკარა იყო ორივე ლექსისა. რამოდენიმე ადამიანმა (მათ შორის – რეზო ადამიამ) ეს ლირიკული ქმნილებები შედევრებად აღიარა უყოყმანოდ, იქვე.

ეს ამბავი სადამოს ბოლოსკენ მოხდა, ხოლო თვითონ სადამო ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

აქვე მახსენდება ერთ-ერთი საუბარი ნუნუკა გურაღიასა და მიმოზა ცანავას შორის, სულ სხვა ღონისძიების შემდეგ

რომ გაიმართა (სხვათა შორის, იმ ღონისძიებასაც ბევრი ცნობილი სახე ესწრებოდა, მაგალითად: გივი სიხარულიძე, კობა არაბული, მიშო თუმანიშვილი, ნიკა ჩერქეზიშვილი, თენგივ ავსაჯანიშვილი და სხვები). ნუნუკა ამბობდა: ლიტერატურას, და ზოგადად – ხელოვნებას, აუცილებლად უნდა ჰყავდეს რამდენიმე პატრიოტი, – თვით ხელოვნების, ლიტერატურის პატრიოტი, რომ უფრო და უფრო გახშირდეს ასეთი სადამოებო. მიმოზა ეთანხმებოდა, თან კი ეუბნებოდა: პატრიოტი, ანუ სამშობლოსათვის გულადგერებული ადამიანი, თავისთავად იქნება ხელოვნების მოტრფიალეც, ანუ – მისი პატრიოტიცო.

გულნაზ ხარაიშვილის შემთხვევაში პატრიოტიზმი და ხელოვნების განცდა მართლაც რომ ისეა შენივთებული ერთმანეთს, თითქოს ეს ორი არსი საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყოს ერთ არსად.

მკითხველი შენიშნავდა, რომ ჩემს დოკუმენტურ თუ მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებაში ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობს თხრობა და ფილოლოგიური წიადსვლანი. აგერ, ახლა ის დროა, ისევ ლიტერატორ-ფილოლოგის მანტია მოვისხა და ქალბატონ გულნაზის შემოქმედებას დავეუბრუნდე კონკრეტულად.

რამდენჯერმე უკვე ვახსენე მისი საუკეთესო (ჯერ-ჯერობით) ლიტერატურული ნაშრომი – პოეტური წიგნი „მზის მკლავებში,“ აი სწორედ ის დიდი, მასშტაბური ქმნილება, მე რომ მზისფერი წიგნი შევარქვი. თითქმის ყველა პოეტს, ლიტერატორს, საკუთარ შემოქმედებაში აქვს ერთი ნაშრომი, რომელიც განსაკუთრებით უყვარს. ასეთი რჩეული-ქმნილება გულნაზის შემთხვევაში, ვფიქრობ სწორედ მზისფერი წიგნია.

„ისევ ამ დროის ქარს გავეჯობრე
და აღმა-დაღმა დავეხეტები,
ხან თუ ფოფინა ველს დავაბიჯე,
ხან მოლიცლიცე წყალს ვაკვირდები.
ღამაში არის, როგორ კამკამებს,

ჰა, დავიჭირე ფსკერზე იმედიც,
ო, რა მაღლი აქვს, ტანჯვას მაკმარებს,
რადგანაც მასთან რწმენით მივედი...“

ეს ათმარცვლელი სტრიქონები მზისფერი წიგნიდანაა.
რა შეიძლება ითქვას?

მე ყოველთვის მაცლებდა მშვენიერება უბრალოებისა და ამ უბრალოებაში უცებ გარეული პოეტურ-ფილოსოფიური შემეცნებითობა. მოულოდნელობის ეფექტი კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას.

„მიყვარს ყველაფერი სადა“ – იტყოდა გალაკტიონი, ჩვენი პოეზიის უგვირგვინო (თუნდაც–გვირგვინოსანი) მეფე, იტყოდა ასე უბრალოდ ამ არაუბრალო ფრაზას.

უბრალოების გენიალობას ყველაზე უკეთ ალბათ მაინც აკაკი ჩაწვდა. მას ამ გზისათვის არც როსმე გადაუხვევია. იყო რა საოცრად პოეტური, უბრალო, ტკბილქართული ენით ქსოვდა თავის ლიტერატურულ შედეგებს. გალაკტიონს თუკი უყვარდა ყველაფერი სადა, მისთვის სირთულე და მაღალარტიტული მანერა შინაგანი მოთხოვნილება იყო. გალაკტიონმა განაუთარა გზა ბარათაშვილისა და აკაკის, ოღონდ ამ ორთაგან მხოლოდ აკაკი გახლდათ უბრალოების ნამდვილი მალმერთებელი, – გენიალურად უბრალო.

აკაკისეული სულისმიერობა, როგორც ჩანს, დღესაც აქტუალურია. ეს, განსაკუთრებით, იმერეთსა და ქართლ-კახეთში შეიგრძნობა, ასევე – გურიაშიც. ამ კუთხეებში სახალხო მელექსეები ხშირად მეტყველებენ აკაკის ენით. რაღა თქმა უნდა, ქართლ-კახეთი აღმოსავლეთია და მაინც უფრო მძიმეა. აი, დასავლეთისთვის კი აკაკი დღესაც ყველაზე მისაბამ პოეტად რჩება.. ქალბატონი გულნაზი დასავლეთიდან არის, ამიტომაც უბრალოება, სისადავე, მისი ლექსისთვის არსებითი შტრიხია. ახლა ისე არ გამოგოთ, თითქოს ყველა დასავლეთელი ასე წერდეს, უბრალოდ, მათ ადვილად შეუძლიათ ღრმა აზრის სადად თქმა. მათი „ფრთიანი სიტყვა“ მსუბუქად მიდის მკითხველის ცნობიერებამდე.

მოკამკამე წყლის ფსკერზე დაჭერილი იმედი, – ხომ მსუბ-

უქად არის ნათქვამი. ერთის შეხედვით, მხოლოდ ღამაზი ლიტერატურული ფრაზა გეგონება, პოეტური ხატვა, და იმის იქით იქნებ არც წახვიდე.

მაგრამ რა სიმბოლო იმალება ამ მოკამკამე წყლის ფსკერზე?

რა იგულისხმება იმ იმედში, რომელიც ტანჯვას მხოლოდ მაშინ გაკმარებს, თუ მასთან რწმენით მიხვალ?..

და უცებ ატყობ, – ამ, ერთი შეხედვით, სადა სტრიქონების მიღმა, როგორი ფილოსოფიურ-რელიგიური ველი გაიშალა, როგორი ზოგადსაკაცობრიო საკითხებია ჩაკირულ-ჩადუღაბებული ტექსტში.

ასედაც არის:

სიღრმეთა გარეშე ვერ იარსებებს ზღვა–ოკეანე.

სიმაღლეთა გარეშე ვერ იარსებებს ხელოვნების მთაგრეხილი...

მახსენდება გასული საუკუნის სამოციანი წლები. ზუსტად სამოცდარვა წელი იყო, როცა ბრიტანეთში სამი როკ-ჯგუფი ჩამოყალიბდა: „ლედ ზეპელინი“, „დიფ ფარფლი“, „ბლექს საბათი“. იმავე დროს ამერიკაში ჯგუფი „დორზი“ მოღვაწეობდა. ეს სწორედ ის მუსკოლექტივები იყო, რომელთაც დახვეწეს, გაართულეს მუსიკალური პოეზია, ანუ მარტივ, სადა საესტრადო სიმღერებს სხვა სიღრმე, სხვა სულიერ-ფილოსოფიური განფენილობა შეჰმატეს.

ჩემი წიგნებიდან, რატომღაც, ყველაზე ნაკლებად „ქართული როკის ისტორია“ მიყვარს, თუმცა იქ მაინც არის საინტერესო გვერდები. მათ შორისაა ის გვერდებიც, სადაც ვწერ ჩვენი როკ-ჯგუფების – „ოკეანის“, „ბლუზ-მობილის“, „მძიმე ჯვარის“ შესახებ. ესენი, სამივე, ოთხმოცდარვა წელს ჩამოყალიბდა თბილისში, ზუსტად ოცი წლის თავზე დიდი ბრიტანული სამჯგუფეულის მოვლენიდან (თუმცა ოთხმოცდაცხრა წლიდან იყვნენ პოპულარულნი). და კარგი პარალელია, – საქართველო ყოველთვის ცდილობდა ფეხი აეწყო მსოფლიო მოვლენებისათვის.

მაგრამ დიდებულ ქართულ როკ-ტრიუმვირატს ტე-

ქსტების ისეთი სიღრმე მაინც არა ჰქონდა, როგორც დიდებულ ბრიტანულ როკ-ტრიუმიერატს.

სამაგიეროდ ტექსტების დახვეწილობით გამოირჩეოდნენ შემდეგი და შემდეგი დროის ქართული შემოქმედებითი ჯგუფები: „ზღვარი“, „ტრიოლეტი“, „ავტოები“ („კარდისფერი ავტობუსი“) და სხვანი. ისინი ცდილობდნენ ისევე ყოფილიყვნენ ქართულ პოეტურ სცენაზე, როგორც ალი-ფრეზერი-ფორმენის სამეული რინგზე. ზუსტად არ ვიცი, თუ როგორ გამოსდიოდათ (თუ – გამოსდით) მათ ეს, მაგრამ მიხარია კი, – ამ პროცესების მონაწილე ვარ.

მთელი ეს წიაღსვლანი იმიტომ დაეწერე, რომ მკითხველს შეეგრძნო: სინამდვილეში სიმარტივე არ არსებობს. კარგი მარტივი, ესაა, უპირატესად, მსუბუქად, სადად ნათქვამი რთული, თორემ ხელოვნებაში სრული სიმარტივე არ გამოდის (აი, სრული სიმარტოვე კი სხვა საქმეა! მარტობა, ხშირად, ბედისწერაა დიად სულთა), რამეთუ თვითონ პოეტური გრძობა, პოეტური სამყარო არის რთული მოვლენა.

აგერ, ავიღოთ სიმარტივე-სირთულის ერთ-ერთი ნიმუში:

„როს შენ გხედავ,

ირგვლივ ყველა ღამაზია,

და დღისით კი

შარიშურობს ჭადარი,

ჩემი გული

დარდით სავსე დარბაზია,

ჩამისახლდა ნადველი და ავდარი.

მზის მკლავებში გაფანტულია

ღრუბლის გუნდი...“

ესაა ამონარიდი გულნაზ ხარაიშვილის სატრფიალო ლირიკიდან, მართლაც რომ ისეთი უბრალო და ისეთი რთული სტრიქონები, როგორიც არის თვითონ სიყვარული.

განაღა მართლა როგორ ხდება, რომ როცა ვიდაცა გიყვარს, მთელი სამყარო ღამაზდება, თითქოს, შენს გარშემო...

მეუბნებიან, რომ ჩემი ფილოლოგია ფილოსოფიასა ჰგავს. მართლაც სწორედ ეს მომწონს: პოეტურ-ფილოსოფიური,

მაძიებელი გონების მიერ დანახული სამყარო.

პოეზია, მუსიკა, ფილოსოფია, – ესაა, ალბათ, ყველაზე უფრო გამორჩეული სამეული, თავისებური სამება ადამიანის აზროვნებისა. მხოლოდ ამით შემდეგაა ფერწერა, პროზა და კიდევ სხვა მონაპოვარნი კაცთა.

„ჩემი გული დარდით სავსე დარბაზია“ – გვეუბნება პოეტი. ეს ფრაზა, პირველ ყოვლისა, პოეზიაა, შემდეგ კი – თავისებური ფილოსოფია. ესაა ღამაში მელანქოლიით შეფერადებული ლიტერატურული ფერწერა, რომელიც უნდა მივათვალოთ დაუვიწყარ პოეტურ სახეთა რიგს...

ამ საუკუნის პირველ ათწლეულში იყო ასეთი პოეტური ჯგუფი – „სამკაული“ რომლის ერთ-ერთი წევრი, გიორგი ზანგური, სწორედ სატრფიალო ლირიკით გახდა ცნობილი. სხვათა შორის, გიორგიც იმ ასორმოდამეერთე საშუალო სკოლაში სწავლობდა, ჩვენს დედაქალაქში, რომელშიაც უფრო ადრე, ვსწავლობდით მე და ჩემი ძმა. გიორგი სკოლის წლებიდანვე წერდა. შემდეგში მსახიობის ხელოვნებამ გაიტაცა, არტისტულმა ცხოვრებამ, მაგრამ პოეზია არ მიუტოვებია. პირიქით: გაიცნო რა ლიტერატორები (მათ შორის – რატი ამადლობელი, ღამა ბულაძე, დავით (დეფი) გოგიბედაშვილი და სხვები), მალე შემოქმედებითი ჯგუფის წევრიც გახდა. მისი „სამკაული“ და კიდევ სხვა ლიტერატურული კოლექტივი „ვარდისფერი ავტობუსი“ ერთი ხანობა თითქოს ემეტოქებოდნენ ერთმანეთს. იმ პერიოდში იყო მიშო (მიშა) თუმანიშვილის „ტრიოლეტიც“, იმავე პერიოდში არკვევდა ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი იმას, იყო თუ არა რეზო გეთიაშვილი დიდი პოეტი...

მოკლედ ბევრი სხვადასხვა ამბავი ხდებოდა.

ლიტერატურა უკვე დუღდა.

მე თან ვაქებდი და თან ვაკრიტიკებდი ახალ ქართულ რენესანსს ხელოვნებაში, და ვაკრიტიკებდი ახალ ქართულ ცხოვრებას. რაღა თქმა უნდა, ირეალობა, ანუ ხელოვნება უფრო ღამაზია, ვიდრე რეალობა – ცხოვრება, და ჩემს პოეზიაშიც გასაკვირი არაფერია. რაგინდ რეალისტური იყოს

ხელოვნება, იგი მაინც არაა რეალობა. ის არამიწიერი სიმადლეა.

მაგრამ, აი, გიორგი ზანგურის სასიყვარულო ლირიკა სწორედ რომ მიწიერი უფროა, მიწიერი, ეროტიკული მეტისმეტადაც კი, და თუმცა პოეტს აქვს იმდენი ოსტატობა, რომ ეს პოეტურ რეალში მოაქციოს, იგი მაინც ბევრმა ისე აღიქვა, როგორც ეროტიზმის მეზაირალტრე.

სულ სხვაა, ამ შემთხვევაში, სასიყვარულო ლირიკა გულნაზ ხარაიშვილისა. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მისი სამწერლო სტილი ამ მხრივ არასოდეს გადასცდება ხოლმე ჩარჩოებს. მისთვის სიყვარული სრულიად განსაკუთრებული რამაა, ამაღლებული, პოეტური მოვლენა, ნაზავი რაიმე სიზმარ-ცხადისა, რომელიც ღმერთს კაცად აქცევს და კაცს კი ღმერთად. აქ სიყვარული წარმოდგენილია, როგორც სევდისა და სიხარულის ზღვა, ოკეანე, რომელშიაც სევდა მაინც მეტობს, ეგებ იმიტომაც, რომ პოეტური სევდაა მშვენიერება სამყაროსი, ხოლო უდიდეს სიყვარულს იშვიათად აქვს ბედნიერი ფინალი.

„მე გადამღალეს ამ ფიქრებმა,
ცრემლის ტალღებმა,
სიზმარი მიყვარს, – შენ გნახულობ
და გრძნობით ვთბები,
თუ შენ არ გითხრა არაფერი
ჩემმა თვალებმა,
ზღვაში გავცურავ და კუნძულზე
მარტო დავრჩები“.

მშვენიერი, მაგრამ ტკივილიანი სტრიქონებია. ლექსს უხდება სევდა, მითუმეტეს – სევდა პოეტურად ნათქვამი. თანაც, დარდი ხომ თვითონვე, თავისთავად არის ნაწილი პოეზიისა.

ხოლო კიდევ უფრო მეტი სულიერი ტკივილი ჩანს პოეტის სხვა ლექსში:

„სტრიქონს არ დავწერ,
არ გაჩუქებ ტკბილსიტყვაობას,
შენ ისიც გეყოს,

რომ მთლიანად გული წამართვი.
უნდა იწამო,
ვეღარ ვუძღვებ სულის ტყვეობას,
და საიდანღაც ცივი ხმები
მესმის წარმართის.“

დიდი ძალაა ჩატეული ამ სტრიქონებში, დიდი სულიერი მუხტი, ხოლო სიტყვათა ეს დამუხტულობა ეფუძნება ჭეშმარიტ გრძნობას. პოეტის უპირველესი ოსტატობა კი სწორედ მის სიმართლეშია, სწორედ გრძნობის ჭეშმარიტებაში, სინაღდეში. თუ სიტყვა გატყდა, თუკი სადღაც გაიპარა სიყალბე, დამთავრებულია საქმე, – ლექსი უკვე აღარ გამოვა.

გულნაზ ხარაიშვილი არასოდეს არის ყალბი. იგი ყოველთვის მართალია და სწორედ მისი სიმართლეა საფუძველი მისივე ლექსების ძლიერებისა. პოეტური არტიზტიზმი – ეს არაა თამაში. აქ, პოეზიაში, როლის თამაში ძალზედ პირობითი ნათქვამია. ნიღაბსაც სულ სხვა დატვირთვა, სულ სხვა სიმბოლოები აქვს. პოეტური არტიზტიზმი ჭეშმარიტების ძიებაა მხოლოდ, როგორც, ზოგადად, ცხოვრებაში, ასევე, კონკრეტულად – სიყვარულში.

როგორც ყოველი ნამდვილი პოეტის შემოქმედებას, ქალბატონი გულნაზის პოეზიასაც აქვს მისი დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად: ესაა სიმარტივე, სისადავე ყოვლისმომცველი, ანუ სიმარტივე, რომელიც სირთულესაც მოიაზრებს საკუთარ თავში. როგორც უკვე ვთქვი, ლამაზი სიმარტივე არ არსებობს, იმიტომ, რომ ასეთ რაიმეში სირთულეც მოიაზრება. მშვენიერება რთულიაო, – ბრძენნი გვასწავლიდნენ. მერე: გულნაზის პოეზია არიდებულია თვალშისაცემ ნოვაცია – ექსპერიმენტებს. აქ ძიებანი, სიახლენი შეფარულია სიტყვათა ტყეში. გულნაზ ხარაიშვილი, როგორც ჩანს, კლასიკური ქართული ლექსის მოტრფიალეა და იგი ბოლომდე მისდევს ამ ხაზს. შემდეგ: ქალბატონი გულნაზი ნებისმიერი ზომის (ნებისმიერმარცვლოვანი) სტრიქონის ფლობაში ძლიერია, იგი წარმატებულია როგორც ჩვეულებრივ ლექსში, ასევე –

აკროსტიხში. განსაკუთრებული ნიშანნი კი მისი ლირიკისა, ზოგადად – მისი პოეზიისა, ეს გახლავთ: გულნაზ ხარაიშვილი არის ჭკუშმარიტი ოსტატი (დიდოსტატი) პოეტური სახეებისა, ხოლო გრძნობა მისი არის უტყუარი, მკვეთრად ნამდვილი, ძალუმი.

და მაშ რაღაა ლექსი, თუ არა – გრძნობა?

გრძნობა საძირკველია ხელოვნების ტაძრისა. სწორედ მასზეა ამოშენებული, შემდეგ, ათასი სხვადასხვა ცოდნითა და დიდი შრომით, ლურჯი თუ ცისფერი ტაძარი სრულის ხელოვნებისა. ეს ქმნილება ისე შეუშენებიათ ცასთან, მაღლობზე, რომ გარჩევა ჭირს კიდევ ლურჯი სალოცავისა და ზეცის (სხვათა შორის, მე და კახას ხშირად გვიფიქრია, რომ რეალურად აგებულებო ერთი ამგვარი ტაძარი საქართველოში).

როდესაც ვაანალიზებდი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიას, გამაკვირვა ერთმა ფაქტმა: მის ნაწერებში რამოდენიმეჯერ გადავაწყვიდი სიტყვა „ღმერთებს.“

გულნაზი, როგორც უკვე ვთქვი, საოცრად მორწმუნე აღაძიანია. ამიტომაც ის, რომ ღმერთი ერთია, მაგრამ ერთ მთელშია გაერთიანებული სამი არსი, მან კარგად იცის. მაღაღმერთი, ძეღმერთი ანუ სიტყვა ღმერთი, და სულიწმინდა: ესაა ზოგადქართული, ზოგადმართლმადიდებლური სახე-ხატი ერთი ღმერთისა.

და მაშ რაღაა სიტყვა „ღმერთები?“

და მაშ რაღაა, ის რომ მას საიდანაც ცივი ხმები ესმის წარმართის?

თავიდან დავიბენი.

მერე, უცებ, გამახსენდა დიდებული ნიკო სამადაშვილი: „ის ღმერთებს იქით გადაფრინდება.“

და მივხვდი, რომ გულნაზ ხარაიშვილი, მსგავსად ნიკო სამადაშვილისა, ცდილობს არა მარტო ქრისტიანული, არამედ წარმართული დროის, ანუ უძველესი დროის ისტორიულ გადარჩენასაც ჩვენი ქვეყნისათვის. ესაა მისვლა ფესვებთან, მისვლა იქ, საიდანაც ქართველობა დაიწყო.

დიახ, საქართველო მსოფლიოს უძველეს სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნება, და უძველეს ერებს შორის არის ერი ქართული.

ქართველობა, ვიცით, რომ ქრისტიანობამდეც ანუ ერთდმერთობამდეც არსებობდა, დიდი ხნით ადრე. გავიხსენოთ: სახელმწიფოებრიობა ჩვენთან, პირველად, თავისი მყარი სახით, დასავლეთ საქართველოში წარმოიშვა, დღევანდელი იმერეთ-გურია-სამეგრელოს და სხვა იქაური კუთხეების ტერიტორიაზე. ეს თავისი დროის უძლიერესი სამეფო იყო. მას შეგვიძლია ვუწოდოთ ან „ადრეული კოლხა,“ ან „აია“, – თავისი დედაქალაქიდან აიადან გამომდინარე, რომელიც ალბათ სადღაც იქ იყო, სადაც დღევანდელი ქუთაისია, მდინარე ფაზისზე (რიონზე). ამ ყოველივეზე, დღეს, მეცნიერები კამათობენ. არის სხვადასხვა აზრები, ბევრ რამეზე ვერ შეჯერებულან, მაგრამ ის კი ყველამ ვიცით, რომ აიეტი (აიას მეფის) და მედეას დრო ბევრად წინმსწრებია მეფე-ფარნავაზისა და ერთ-ერთი მამასახლისის – ქუჯის დროისა.

წარმართი გახლდათ ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მამა – აიეტი, ბერძენთა მეფე მინოსთან ერთად რომ მბრძანებლობდა თავისი დროის მსოფლიოზე (მინოსი მისი სიძე იყო – ამბობენ), აიას რომ აღიარებდა მთავარ ქალაქად და რამდენიმე დმერთს რომ თაყვანსა სცემდა ერთდროულად (მათ შორის უმთავრესი ყოფილა მზედმერთი, ბერძნების გამო ჰელიოსის სახელით რომ შემორჩა მსოფლიოს)

და წარმართი იყო ფარნავაზიც, რომლის დროიდანაც, ჩანს, აღმოსავლეთ საქართველო წამოვიდა წინა პლანზე. ფარნავაზს ტახტი მცხეთაში ედგა. ისიც რამოდენიმე დმერთს ეთაყვანებოდა.

აიეტი იყო პირველი დიდი მეფე დასავლეთ საქართველოსი.

ხოლო ფარნავაზი აღმოსავლეთ საქართველოს (ზოგთა ფიქრით – სრულიად საქართველოს) პირველი დიდი მეფე იყო.

აქბოლო აბზაცებში,ახალი არაფერი თქმულა. უბრალოდ, ეს იყო გახსენება იმისა, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას დიდხანს ჰკვებავდა წარმართული სამყარო, საუკუნეები რომ დაიტია, და რომელზედაც ხაზის გადასმა ჩვენი ფუძისტორიის დასამარება იქნებოდა.

სწორედ ამას გვახსენებდა არაერთი პოეტი წარსული დროისა, მათ შორის – იგივე ნიკო სამადაშვილი, რომელიც უკვე დავასახელე.

სწორედ ამას გვახსენებს, დღეს, თუნდაც ისეთი ნამდვილმორწმუნე, ისეთი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი პოეტი, როგორცაა გუღნაზ ხარაიშვილი...

იცვლებოდა დრო.

იცვლებოდნენ საუკუნენი.

კერპები მაინც დიდხანს იდგნენ ქართლში. მათ შორის, როგორც ცნობილია, არმაზი, გაცი და გა იყო მთავარი. მაგრამ ქრისტიანობამ – ყველაზე უფრო პოეტურმა რელიგიამ ჩვენში ისევე დაამხო არმაზის ღვთაება-კერპი, როგორც ძირითადი ევროპისათვის – ზევსი და ძმანი მისნი შეიწირა.

ჩვენ, ქართველნი, მენტალურად, ალბათ, დღემდე არა ვართ ძირითადი ევროპა. ამ მხრივ ჩვენ, უფრო, ევრაზიული მოვლენა ვართ, ოღონდაც რამოდენიმე ფაქტორმა (მათ შორის – ქრისტესადმი სიყვარულმა) ევროპული სულიერება უმეტეს შეგვძინა.

ხოლო როდიდან შემოდის ჩვენში ეს მსოფლმხედველობა, რომლითაც შემდეგში გაიჟღინთა მთელი ქართული კულტურა ზოგადად, და მთელი ქართული პოეზია კონკრეტულად?

ზუსტად არავინ იცის.

ამბობენ, რომ თვით იესოს მოწაფემ (ანდრია პირველწოდებულმა, – წმინდა პეტრეს ძმამ) იქადაგა, პირველად, ჩვენში, ეს დიდი რელიგია, – რელიგია ქრისტესი.

ჩანს, საქართველოს აღმოსავლეთი უფრო ადრე გაქრისტიანდა.

ჩანს, ადარც დასავლეთი ჩამორჩა და...

მეცნიერნი, უფრო, ასე შეთანხმდნენ: წარმართობისა და ქრისტიანობის ქართულ სამანად მირიანისა და ნანას დროა მიჩნეული, – მეოთხე საუკუნე.

მაგრამ შემდეგშიაც არ დაკარგულა წარმართული კულტურა. იგი, უბრალოდ, შეერწყა, შეერია, შეენივთა ქრისტიანულს.

შეიძლება აიეტის სამეფოში ერთი კი არა, რამოდენიმე მთავარი ქალაქი იყო, რამეთუ წარმართული კულტურა, რომელიც შემდეგ, ოღონდ უკვე საკმაოდ სახეცვლილი ფორმით, ეგრის-ქართლის (ქუჯი-ფარნავაზი) საქართველოს მოედო, მკვეთრად მრავალფეროვანი მოვლენა იყო. იბერიას განაგებდა წარმართული კულტურა. ქრისტიანობამ, უკვე – გვიან, ბევრი, ბევრი რამ შეითვისა მისგან. ადრეული კოლხა (თუ – აია), მერე უკვე – დიაოხი და კოლხა, კოლხეთი, ეგრისი, – ეს ტერმინები, სახელები სამუდამოდ შემორჩა ქართველი კაცის აზროვნებას. ხოლო საქართველოს უფრო მთიან მხარეებში (კუთხეებში) წარმართობა და ქრისტიანობა დღესაც გვერდიგვერდ თანაარსებობს.

„დიდ ღმერთებთან

მაქვს გადაშლილი, მდიდრულად, სეფე,“ –

ათქმევინებს, ქალბატონი გუღნაზი, თავისი ერთ-ერთი პოემის პერსონაჟს: ადამიან-ფრინველად მოვლენილს სულს კაცისას. როგორც ფრინველი, უტყვია ზმანება იგი, მაგრამ როგორც ადამიანს, მას საუბარი ძალუძს.

ხოლო „ღმერთები“, ეს სიტყვა, აერთიანებს სწორედ ორ სამყაროს – ქრისტიმდელსა და ქრისტეს შემდგომ პერიოდს. აქ ხვდება ერთმანეთს ორი ისტორია: დრო წარმართული საქართველოსი ანუ მრავალღმერთული ქვეყნისა, რომელმაც შექმნა თუნდაც უძველესი დამწერლობა, შუმერულ დამწერლობას რომ უნათესავეებს არაერთი მკვლევარი, და დრო ქრისტიანული საქართველოსი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისა, რომელიც ერთს ღმერთს აღიარებს და რომელმაც ნელ-ნელა შეცვალა და სხვა სიმაღლეზე აზიდა ის უძველესი დამწერლობაც, ის უძველესი კულტურაც – მთლიანად.

ქრისტეს რჯული, იესოს მოძღვრება, უკვე დიდი ხანია ქცეულა საფუძვლად ჩვენი არსობისა. იგი, მქადაგებელი უმაღლესი სათნოება-გულმოწყალებისა, ყველაზე ახლო აღმონდა ქართველი ადამიანის ბუნებასთან.

ხოლო სათნოების გასაოცარი სურათ-ხატია ლექსი „ყვაილი ხრამში“, რომელიც მე, პირადად, ახალი სამყაროს გამოსხმაურებად აღვიქვი ვაჟა-ფშაველას სამყაროსთან.

„გედის სიმღერას დაგუგდე ყური,
ჩამოვისვენე მდელოზე იქვე.
გვერდზე ბიბინებს ჯეჯილი პურის,
მწყრის ბარტყები კი ხტებიან პირქვე.
შლეგ ნაკადულებს თვალი მოვაველე;
და დავინახე ყვაილი ხრამში;
დიახ, ვიყავი მისი მოვალე,
ფროთხილად, ფესვებით, გადავრგე წამში.
თურმე მხედავდა ლამაზი შველი,
თვალებით მითხრა: შე მადლიანო...
თუკი მცენარეს გულით უშველი,
მე რაღას მერჩი ადამიანო?...“

ამ ლექსში გადმოცემული სათნოება გაცდენია ადამიანთა სამყაროს და მთელს სამყაროზე გავრცელებულა. გულნაზის ხედვა აქ იმდენად უახლოვდება შვლის ნუკრის ნაამბობის ვაჟასეულ ხედვას, რომ სულიერ მონათესავეობაზეც შეიძლება ლაპარაკი.

როცა ამ ხაზებს ვწერდი, უცებ გამახსენდა ჩასაფრებული კრიტიკოსები და ვიფიქრე: არ ატყდნენ, არ დაიწყონ იმაზე ლაპარაკი, – ქვეყანა დაიქცა, რადგან სერგი ლომაძემ გულნაზ ხარაიშვილი შეადარა გენიალურ ვაჟა-ფშაველასო!

თუკი მე გულნაზის სტროფებმა ვაჟასეული სამყარო გამახსენა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს ორი პოეტი შევადარე-შევუთანაბრე ერთმანეთს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცი მოშურნე ადამიანთა ბუნება. კაცთა მზაკვრობა ბევრჯერ დამხვედრია წინ, ხოლო ჩემი ნაწერები ბევრჯერ წაუკითხავთ ისე, როგორც

არ უნდა წაეკითხათ. კარგიც, ცუდიც, ბევრი მინახავს. ცუდს უმძლავრია. ამიტომაც ვფრთხილობ.

მე არ ვამბობ, რომ ჩემს ნაწერთა გაკრიტიკება (თუნდაც – მძაფრად გაკრიტიკება) არ შეიძლება, მაგრამ უნაკლო განა რა არის?

ან, მე თუ გულნაზის ნაწერმა, რაღაც წამით მაინც, ვაჟა მომაგონა, ვაჟასეული მშვენიერება განმაცდევინა, განა ეს დანაშაულია?

ეგ კი არა, ერთი უწიგნური ხევსური პოეტის სტრიქონებმა, ერთხელ, თვით რუსთველი გამახსენა, და განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე იმ ხევსურ პოეტ-მთქმელსა და გენიალურ ქართველ პოეტ-ღმერთკაცს ერთ სიმაღლეზე განვიხილავ, ერთნაირად ვაფასებ?!..

ყველაზე უფრო, ადამიანურ სათნოებათაგან, ერთგულეობა მხიბლავს თავისი პოეტურობით; ხოლო ყველაზე უფრო, ადამიანურ ზაკეათაგან, შური მძულს. ახსენი, თუ რატომ.

რუსთველი ვახსენე და აქვე ვიტყვი, რომ ყველაზე მეტი თქმულება, შოთა რუსთაველის შესახებ, მესხეთსა, გურიასა და ქართლში გამოგონია. ეს არცაა გასაკვირი, – ამბობენ, რომ იგი მესხეთის რუსთავიდან იყო, თუმცა ქართლის რუსთავიც და თბილისიც განსაკუთრებით უყვარდაო, ამ ადგილებში იყო ყველაზე ხშირად, და სწორედ თბილისში შექმნაო „ვეფხისტყაოსანი“. მაშ, სამი ქალაქი იჩემებს მის მშობელქალაქობას. ხოლო გურიას რაც შეეხება, იგი გეოგრაფიულად ახლოა მესხეთთან. აჭარა-გურიის მთები ნაწილია მესხეთის ქედისა. ამ ქედის კალთებზე თუ მის დაბლობებში განფენილი მოსახლეობიდან ბევრ თქმულებას ამოკრებთ ჩვენი გენიოსის შესახებ. ამ თქმულება-ღეგენდებიდან ზოგი გვიყვება იმას რომ, თითქოს, რუსთველი მის სიცოცხლეშივე პოეტთა მეფედ უდიარებიათ, თუმცა შემდეგ ვიღაც-ვიღაცეებს საშინელი შური გასჩენიათ პოეტისადმი, და ამ მტრობის გამო მას სამშობლო-საქართველოც კი დაუტოვებიაო.

ადამიანთა შურმა შეიწირა, ასევე, ჯერ – ტერენტი გრანელი, შემდეგ – გალაკტიონი.

შურმა შეიწირა ცისფერყანწელთა ლიდერებიც.

ყოველ შემთხვევაში, შურმა, როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი მაინც ითამაშა აქ ჩამოთვლილ პოეტთა დაღუპვაში...

და გრანელს სრულს სიმარტოვე-სიდატაკეში ამოხდა სული, სანახევროდ შეშლილს;

და თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა;

და პატიმრობის პერიოდში ამტყდარი ბუნტისას მოკლეს ტიცვიან ტაბიძე (ამ დიდი ადამიანის შესახებ ბევრი საბუთი თუ ჭორი არსებობს. საბუთი, დოკუმენტი, ამ შემთხვევაში, ხშირად, ჭორს ჰგავს, ხოლო ჭორი – დოკუმენტს. მე, ტიცვიანის აღსასრულის შესახებ, უფრო სანდოდ, ერთ-ერთი ჭორი ჩავთვალე, რომელიც სიმართლეს მივამგვანე);

და, პაოლო იაშვილის მსგავსად, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონმა, ოღონდაც პაოლომ ტყვია არჩია, გალაკტიონი კი ცამეტი მეტრის სიმაღლიდან დაენარცხა მიწას...

შურისგან ვერვინ დავიცავით. მან შეიწირა დიდებული ხალხის სიცოცხლე.

რაღა თქმა უნდა, არა მსურს, რომ ჩემმა წიგნმა იგივე წყეული გრძნობა აღძრას ვიღაც-ვიღაცეების გულში, გონებაში, ისეთი სათნო ქალბატონისადმი, როგორიც არის გულნაზ ხარაიშვილი. ამიტომ ვამბობ, რომ გულნაზს სრულებითაც არა აქვს პრეტენზია გენიოსობაზე. არც მე ვადრი მას გენიოსებს.

მაგრამ როდესაც ბოლო ორმოცდაათწლეულის რომელსამე ღირებულ ქართველ ლიტერატორზე საუბრობ, აუცილებლად წამოგაგონდება ჩვენი დიდი კლასიკოსებიც, რამეთუ მათ დანატოვარს ეფუძნება ყველაფერი ის, რაც შემდეგ შეიქმნა.

გულნაზ ხარაიშვილს, როგორც განსწავლულ-განათლებულ ადამიანს, ღრმად შეუსწავლია ქართული კლასიკური ლიტერატურა.

იგი წარმატებით საზრდოობს ამ მასალით, თავისი შემოქმედების საძირკვლად სწორედ ეს მასალა აურჩევია, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მისი ქმ-

ნიღებების წაკითხვისას ხანდახან ჩვენი კლასიკოსების სახეებიც მომაგონდება ხოლმე...

ნამდვილ პოეტს, ჭეშმარიტ ხელოვანს, საკუთარი ნიჭი, შრომისმოყვარეობა და თვით ცხოვრება ქმნის. მიუხედავად ამისა, განუზომელია აღმზრდელთა როლი. აღმზრდელი კი არიან, რაღა თქმა უნდა მშობლები, მასწავლებლები... აღმზრდელია თვით გარემოცვა მისი, გარემოცვა, რომელიც პიროვნებად აყალიბებს ადამიანს, მას ადამიან-შემოქმედად აქცევს. განსაკუთრებულია, ამ შემთხვევაში, სულიერი მოძღვარის როლიც, რომელიც ან სასულიერო პირია მართლაც, ან ვინმე სხვა, განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, რომელიც გარკვეულ წლებში წარმართავს ხელოვანის ცხოვრებას. ამგვარი ავტორიტეტის ზეგავლენა ხანდახან რამოდენიმე წლით, ხანდახან კი ათეულობით წლებითაც განიზომება. დიახ, არის ხოლმე ისეთი ადამიანებიც ცხოვრებაში, ვერასოდეს რომ ვეღარ ამოიღებ გულგონებიდან. მეგობართან ერთად, სულიერ მოძღვარს, ალბათ, ყველაზე მეტი ზეგავლენა აქვს ინდივიდზე, პიროვნებაზე, ხოლო თუ მეგობარი მოძღვარიცაა შენი (ცხოვრებაში ასეთი ამბებიც ხდება), იგი, შეიძლება, პირადად შენთვის, სრულიად შეუდარებელ მწვერვალად იქცეს. გავიხსენოთ, რომ მეფე ალექსანდრე თავისი ცხოვრების ყველაზე უფრო განსაკუთრებულ ადამიანად არისტოტელს თვლიდა, რომელიც ამ მეფის მეგობარიც იყო და მოძღვარიც, მისი აღმზრდელ-მასწავლებელი. ალექსანდრე მას საკუთარი ოჯახის წევრებზე, თვით დედ-მამაზე უფრო წინაც კი აყენებდა ხოლმე.

მაგრამ მშობლები მაინც პირველი სიყვარული არიან ადამიანისა. ბავშვი საკუთარ დედ-მამას შეიცნობს უწინარესად ყოვლის. გარკვეულ ასაკამდე ადამიანს არავინ ჰგონია უფრო დიდებული, უფრო ძლიერი, ვიდრე – საკუთარი მშობელია. საწყის წლებში სწორედ იგია იდეალი პატარა ადამიანის.

გადის დრო. ბავშვი იზრდება, ეცვლება შეხედულებებიც. მაგრამ სიყვარული რჩება.

და ამ სიყვარულის ლიტერატურული ძეგლია, პატარა, მაგრამ დაუვიწყარი ძეგლი, გუდნაზ ხარაიშვილის ლექსი – „დედავ, ძვირფასო“... პოეტმა იგი მიუძღვნა გარდაცვლილ შშობელს, რომლის ხატებაც გამოჰყოლია მას მთელი ცხოვრების განმავლობაში. ლექსი სულ ორ კუპლეტს შეიცავს, მაგრამ ისეთი სითბოთი, ისეთი ღრმა გრძნობით არის დაწერილი!.. როგორც ჩანს, დედაშვილური სიყვარული სამუდამოდ დარჩება ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ თემად. ჩვენთანაც და მსოფლიო ლიტერატურაშიც, მსოფლიო კულტურაშიც ასეა, რამეთუ უკვდავია ზოგად-საკაცობრიო თემები.

„დედავ, ძვირფასო, სული მანუქე,
შენით ვიხილე მე ზღვა-სამყარო.
ფეხზე მაცმევედი ღამაზ ფაჩუნებს...
გძებნი... სადმე რომ გადაგეყარო.
შენი გენი მაქვს, მით ვდარბაისლობ,
შენს ფესვებზე ვარ კვირტად მოსული.
ღამის სიზმრებში შენთან ვსაუბრობ,
ღღისით დავდივარ დარდწამოსხმული. . .“

ნუთუ ერთი ადამიანი მაინც იქნება ისეთი, დედამიწაზე, რომელიც იტყვის, რომ ამ სტრიქონებში ჩადებულნი გრძნობა დიდი და ჭეშმარიტი არაა, და – ღამაზად არაა თქმული სათქმელი?

ნუთუ რაიმეს ვაჭარბებ, ვაზვიადებ?

ნუთუ ის, რაზედაც მე ვწერ, ჭეშმარიტი პოეზია არაა?

„ღღისით დავდივარ დარდწამოსხმული,“ – განა რომელ მეტაფორა-სახისმეტყველებას ჩამოუვარდება თუნდაც ეს გასაოცარი ნათქვამი.

მადლობა უფალს, რომ თანამედროვე პოეტებიც ახერხებენ დაუვიწყარი პოეტური ფერწერის შექმნას.

აგერა, გივი აღსაზიშვილის ნახატი:

„ახლა ეს თოვლი ჩემი ღოცვაა,

ფანტელებით რომ ამბობს ბუნება...“

და ნახატი ტარიელ ხარხელაურის:

„ვიცი – ჩემი გზა საითაც მიდის,
შენ საით წახვალ ხმელთა, ფოთოლო...“

მახსენდება კიდევ ბევრი სხვა სახე-ხატვა, თუნდაც აი, ნუნუკა გურალიას ის სტრიქონები, რომელშიაც დახატულია შემოდგომა, უკვდავებაში გადასვენებული ქართა მიერ...

და აი, გულნაზ ხარაიშივილის ეს საოცარი ფრაზაც, გარდაცვლილ მშობელს რომ ეუბნება პოეტი:

„ღამით სიზმრებში შენთან ვსაუბრობ,
დღისით დავდივარ დარდწამოსხმული...“

ახლა მარტია, მარტის მეორე ნახევარი. გუშინდელი შემადრწუნებელი თეთრი ქარების შემდეგ, როგორც ჩანს, საბოლოოდ გატყდა ზამთარი.

თებერვალში დავიწყე წერა და აგერ, თვეზე მეტია, დაძაბულად ვმუშაობ ამ წიგნზე.

ზამთრის ყველა თვე თეთრია, და თეთრია თებერვალიც, თებერვალი – მყარი თვეა, დრო ნელი პროგრესისა.

მარტი კი მერყევია, ახალგაზრდა ქალის ბუნებასავით მერყევიაო – ამბობენ.

მაგრამ ახლა უკვე აღარ მერყეობს მარტი. დათბა. ნამდვილი გაზაფხული სწორედ ახლა დაიწყო.

და მეც ვატყობ, რომ უკვე მოვიტოვე უკან დიდი სირთულეები ამ წიგნის შექმნის პროცესში. არა, წინ კიდევ ბევრი დაბრკოლება მეღის, მაგრამ ამ ნაშრომის დასრულებისათვის რომ ძალა მეყოფა, ეს უკვე ნამდვილია.

ვწერ ამ დოკუმენტურ რომანს ხან თბილისის გარეუბანში (დიდ დილოში), ხან ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში – აღმაშენებელზე (ყოფილ პლესანოვზე). რაღაც ანთებულად ვმუშაობ. აგერ მთელი კვირებია, თითქმის ყოველთვის გულნაზ ხარაიშივილის ღვაწლზე, მის შემოქმედებაზე ვფიქრობ, ვაღაგებ აზრებს, – რა დავწერო, როგორ დავწერო... მადლობა ღმერთს შთაგონება არ გამომეღია. პირიქით.

ახლა გარეუბანში ვარ და გადათეთრებულ მწვერვლებს გავცქერ (ამ დღეებში უკანასკნელად მოთოვა, როგორც იტყვიან ზამთარმა კუდი მოიქნია, მერე წავიდა).

და უკვე ვიცი, რომ კიდევ ერთ მწვერვალზე ავალ, – ეს წიგნი აუცილებლად შედგება...

ახლა, უცვბის განვლილი გზაც წამომავონდა, რომელზედაც ერთად მივაბიჯებდით მე და ჩემი მეგობრები: წიგნები, მუსიკალური ალბომები, მუსიკალური კლიპები (ზოგი კლიპის შექმნაში სხვებიც დაგვეხმარნენ), პატარა ფილმები, ნახატები, პოეტური საღამოები, საღამო-კონცერტები და კონცერტები... ბევრი, ბევრი რამ შემიძლია ჩამოვთვალო.

ჯერ ოთხი ათეული წელიც არ მიცხოვრია და რომ ვაკვირდები განვლილ გზას, მიხარია, რომ გარკვეული, მყარი საქმენი უკვე მაქვს გააკეთებული.

მაგრამ ის მწვერვალები, რომელნიც გავიარე, არ მაკმაყოფილებს.

არა, ეს არაა იგი, რისთვისაც ვიცხოვრე. არა, არ არის!

მე ახალ მთებს გავცქერი, სულ სხვა მთებს, მწვანედ, ლურჯად და თეთრად რომ ჩანან რეალობაში თუ წარმოსახვაში.

აი, სადღაც იქ არის უმაღლესი მწვერვალი... სადღაც იქ...

იქ ცხოვრობს ჩემი არსებობის ევერესტი, იქაა უმაღლესი პოეზია.

და ვინ იცის, – მივალწევ კი ოდესმე ყველა მწვერვალთა ზემოთ მდგომ მწვერვალს?..

ისევ გადავშალე წიგნი ქალბატონი გულნაზისა. ვიპოვე ლექსი, რომელიც ზუსტად ეხმიანება ჩემს ფიქრებს:

„მხოლოდ პოეტი თუ გამოიგებს,

გული რად მტკივა...

სხვა არასოდეს

არ დამიდგეთ, ვინმე, თავდებად;

მე მაქვს მიზანი, –

ჩემი ფეხით მწვერვალზე მივალ...

თუ ვერ მივალწევ...

ჩემი სიცოცხლეც დამთავრდება...“

მწვერვალი სიმბოლოა ცხოვრებისეულ და შემოქმედებით სიმაღლეთა. ეს, რაც ამ სტრიქონებშია გადმოცემული,

არის სიმბოლური აზროვნების კლასიკური ნიმუში. სიმბოლური აზროვნება სიმბოლიზმში არ უნდა აგვერიოს. ნამდვილი სიმბოლიზმი მხოლოდ ერთი ეტაპი იყო ასეთი აზროვნებისა, თუმცაღა – ფრიად განსაკუთრებული ეტაპი კი.

სიმბოლიზმმა თავისი განვითარების მწვერვალს საფრანგეთში მიაღწია, საიდანაც, როგორც ცნობილია, იგი მთელს განათლებულ-მაღალგანვითარებულ მსოფლიოს მოედო. ევრაზიაში განსაკუთრებით იბობოქრა მან.

ფრანგებს ბევრ რამეში ბაძავდნენ რუსები, ამიტომაც ფრანგულ-რუსული სიმბოლიზმი უამრავი შედეგის შემცველი ლიტერატურული მოვლენაა.

და მაინც, – ფრანგებთან ერთად, ყველაზე ღირებული სიმბოლისტური ნაწარმოებები, ქართველმა პოეტებმა შექმნეს სწორედ. მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონი, გრანელი და ყანწელები (პაოლო, ტიციანი, კოლაუ, ვალერიანი, კარმელი, აფხაიძე, ლეონიძე და სხვები) მხოლოდ ნაწილობრივ იყვნენ სიმბოლისტები, ამ მიმდინარეობას მათ მაინც წარუშლელი კვალი დაატყვეს.

მაგრამ სიმბოლიზმი დრომ შეიწირა, ხოლო სიმბოლური აზროვნება კი – ვერა, რადგანაც ის მარადიული მოვლენაა. მაღალი პოეზია, ფაქტიურად, არ არსებობს ასეთი აზროვნების გარეშე.

მწვერვალის გასიმბოლოება უძველესი სახისმეტყველებაა. ასეთ სახეს შეხვდები ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, კინოხელოვნებაში... რა ვიცი... ყველგან...

მაგრამ ეს ერთდაიგივე თემა სულ სხვადასხვანაირად წარმოჩინდება ხოლმე სხვადასხვა დროის თუ განსხვავებული რანგის ხელოვანის შემოქმედებაში.

მარადიული თემები უჭკნობი, უძლეველი თემებია. რამდენჯერაც არ უნდა ჩავუღრმავდეთ მათ, ყოველთვის ახალ-ახალ ნიუანსებს აღმოვაჩენთ. არასოდეს გვბეზრდება, არასოდეს იცვითება ისინი. ესაა სიახლე სიძველისა. ესაა უკვდავება.

უკვდავია მწვერვალის სახე-სიმბოლო.

და შეერია იგი გულნაზ ხარაიშვილის პოეტურ სამყაროსა. ჩემი მიზანი მწვერვალზე ასვლაა – ამბობს. მისი გზა მართლაც მწვერვალისაკენ მიდის, ანუ – უკვდავებისკენ. (ეს სიტყვაც სიმბოლურია, და რაღა თქმა უნდა, ესეც მრავალნაირად შეიძლება გაგიაზროთ). ხოლო თუ ვერ მივადწევო იმ გასაოცარ სიმაღლეს, უკან მაინც არ დავიხევ, შევეწირები ჩემს შერკინებასო მთასთან!

გასაოცარია:

ხომ ასეთი თბილი ქალია, თავმდაბალი, მოკრძალებული; და, უეცრად, როგორ მამაკაცურ შემართებას ავლენს, როცა ცხოვრების მიზანს ეხება საქმე;

როგორი მიზანდასახულობა, უდრეკი ნება თუ – ნებისყოფა, გაუტყეხელი სული, უღვევი პიროვნული ძალა კრთის მის სტრიქონებში! თითქოს პოეტში გაცოცხელბულა ბუნება ამორძალთა, ანუ იმ ტომებისა, რომელნიც ოდესღაც არსებობდნენ და გვენათესავეობდნენ ჩვენ. მოგეხსენებათ, ესენი მეომარ ქალთა ტომები იყვნენ. შემერებთან, ეგვიპტელებთან, ტროელებთან (ესენი, შემდეგ, ლათინებს, იტალიკებს და სხვა ხალხებს შეუერთდნენ, მოკლედ, რომაელებად ჩამოყალიბდნენ) და ზოგ სხვა უძველეს ხალხთან ერთად, დიას, ამორძალებიც ჩვენი მონათესავენი იყვნენ, უფრო ახლო-მონათესავენიც კი, ვიდრე აქ ჩამოთვლილი ერები.

მწვერვალზე ასვლა თუ, ხელოვნებაში, სიმბოლურ სახეს იძენს, სპორტში (კონკრეტულად – ალპინიზმში) იგი რეალურია. იქ მას სიმბოლურ-სიურეალისტურ-მირაჟიზმული გააზრებანი არა სჭირდება.

მაგრამ ზოგ მთამსვლელსაც რომ სწორედ უცნაური, ფანატიზმამდე მისული შემართება აიტანდა ხოლმე! გავიხსენოთ, თუნდაც, რეინოლდ მესნერი, ან თენისინგი და ხილარი...

მაგრამ შორს სად მივდივართ, აგერ, ჩვენი მიხეილ (მიშა) ხერგიანი გავიხსენოთ, ხან ალპინიზმის ღომს რომ უწოდებდნენ და ხანაც კლდის ვეფხვს!

სხვათა შორის, ეს სწორედ იგი მიშა ხერგიანია, რომელსაც

დაუვიწყარი სტრიქონები უძღვნა მეუფე თადეოზმა.

ხერგიანი მთაშივე დაიღუპა (იტალიის მთებში). ეს იგივეა, პოეტი რომ სტრიქონთა წერისას აღესრულოს!

მართლაც რომ ლამაზად წავიდა ცხოვრებიდან ალპინიზმის მეფე (თუმცა... თუმცა ზოგი იმასაც ამბობს, – თოკი გადაუჭრეს და კლდეებში ამან დაღუპაო. არ ვიცი. ამის საბუთი არ არსებობს).

რაზე გამახსენდა, ახლა, მიშა ხერგიანი?

არა, მხოლოდ სიმაღლეებს არ მოუგონებია, ჩემთვის, იგი.

ერთხელ, თურმე, ერთი მწვერვალი მოეწონა ძალზე და უთქვამს:

– აი, იმ მწვერვალზე უნდა ავიდე.

– რას ამბობ, – შეეპასუხა მეგობარი, – შენ ხომ ბოლო კვირეებში არ გივარჯიშია და ფორმაში არ იქნებიო.

– მაინც უნდა ავიდე. ფორმაში ვიქნები თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ან ცოცხალი ან მკედარი იმ მწვერვალზე რომ ვიქნები, აი, ეგ კი ვიციო, – ღიმილით უთქვამს მიშას.

მრავალი ადამიანი შთაუგონებია ხერგიანსა და მის ცხოვრებას (ერთ-ერთი მათგანი, როგორც ამბობენ, ცნობილი რუსი მომღერალი ვლადიმერ ვისოცკიც ყოფილა). პირადად მეც არაერთი ლექსი დამიწერია მისი პიროვნებით შთაგონებულს. და აი, გულნაზ ხარაიშვილის იმ ერთ-კუპლეტა ლექსში სწორედაც ხერგიანისეული შემართება, მისი სულიერი ძლიერება დავინახე. ვაღიარებ: ამორძალეებთან პარალელს ეს პარალელი მირჩევნია. მთამსვლელთა მეფის განწირული სულისკვეთება, ჭეშმარიტად პოეტური სულისკვეთება თითქოს საუკუნოდ დავანებულა ქალბატონი გულნაზის პიროვნებაში.

და იგი არის –

თავმდაბალი და ამაყი – ერთდროულად;

უბრალო და დარბაისელი – ერთდროულად;

სუსტი და ძლიერი – ერთდროულად;

რაც მთავარია, – პოეტური,

უადრესად პოეტური...

ჩემი ეს ნაშრომი ნელ-ნელა უფრო და უფრო მომწონს, თუმცა განა იმიტომ, რომ უზადოა. არა. ნაკლი რას არა აქვს!

უბრალოდ, ეს რაღაც ახლებური და საინტერესო ნაწარმოები გამოდის. იმისი განსახდვრაც კი მიჭირს, თუ რა ნაშრომია კონკრეტულად. ასე ვთქვათ, შერეული რომანია: დოკუმენტურ-მხატვრულ-პორტრეტულ-ფილოლოგიური... რა ვიცი, კიდევ რა ვთქვა... ფილოსოფიურიც, ალბათ... მოკლედ, ყველაფერი ერთად შევაზავე ამ ქმნილებაში. საბოლოო ჯამში, ძალიან უცნაური, მაგრამ ძალიან საინტერესო დოკუმენტურ-მხატვრულ-მეცნიერული ექსპერიმენტი გამოდის. თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ამ საქმეს. ვთვლი, რომ ეს არის ჩემი მნიშვნელოვანი რომანი, სრული ქმნილება პოეტსა და პოეზიაზე. აქ უამრავი თემაა ერთმანეთში არეული, მაგრამ ყველაფერი, მაინც, პოეზიის ირგვლივ ტრიალებს. სხვანაირად რთული წარმოსადგენიც იყო, რამეთუ მეც პოეტი ვარ. ყველგან, ყველაფერში, რაც კი მშვენიერია, უპირველეს ყოვლისა პოეზიას, პოეტურობას ვხედავ. ესაა ხვედრი ფანატიკოსი პოეტისა.

დიახ, თუმცა მრავალმხრივ პიროვნებად მიცნობენ, სინამდვილეში მაინც პოეტი ვარ მხოლოდ.

მე არა ვარ პროზაიკოსი.

არც – მეცნიერი.

ვიმეორებ, – პოეტი ვარ მხოლოდ, და მიხარია, რომ ჩემი პროზაც, ამ შემთხვევაში, პოეტს მიეძღვნა.

სიუჟეტი ძალიან ბუნდოვანი აქვს ჩემს ნაწარმოებს. ისეთი სხვადასხვა თემების, პლასტების, ნიუანსების ერთობლიობაა, რომ შინაარსის მოყოლა თითქმის შეუძლებელია.

მაინც მოიქსოვა მკრთალი სიუჟეტი: ხელოვანის (პოეტი-ხელოვანის) და საზოგადო მოღვაწის სვლა მწვერვალისკენ. გზა მიდის მაღლა – მთისაკენ.

და მგზავრიც, რომელიც ბოლომდე მუხლჩაუხრელად მიჰყვება ამ გზას, ბუნებრივია, მთაზე მიდის, მწვერვალზე ადის.

ხოლო თუ როგორ ხდება ეს პროცესი, მე ვაჩვენებ ამას მისი ცხოვრებით, მისი ხელოვნებით...

ეგებ გაამართლოს-მეთქი ამ წიგნმა;
ეგებ ზოგთათვის ცხოვრების თავისებურ სახელმძღ-
ვანელოდაც კი იქცეს;

რა ვიცი...

მე კი მართლა გულით ვწერ, მართლა დიდი მონდომებით,
თუნდაც იმიტომ, რომ ჭეშმარიტად გამიტაცა ამ ღვთისნიერი
ადამიანის – გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრებისა და შემო-
ქმედების კვლევაში.

მაშ იკვებება, ნელ-ნელა, ჩემი რომანი, თავისი პლუს-მი-
ნუსებით; იკვებება პროზა პოეზიის შესახებ.

მაშ, შერეული რომანი.

ორიათასცამეტი წლის რამოდენიმე თვე, – როცა მე
მასზე ვმუშაობდი... ასე გავიხსენებ ამ დროს...

კარგად, ფერადად გავიხსენებ ამ დროს, ალბათ... ალბათ...

მაგრამ თვით პოეზიაში, – გულნაზ ხარაიშვილის პოეზი-
აში კონკრეტულად, ყველაფერი ფერადი არ არის. აბა ჩახე-
დეთ ამ სტრიქონების სასტიკ სინაცრისფერეს, ღრმა ტრაგი-
კულობას:

„არ მეშინია სიმარტოვის, –

ლექსი მყავს მგზავრად.

ნემსში გავძვრები, დავაპურებ, –

ხელს რომ იშვერენ.

თუმც საშოვარი გაძვირდა და

ხანაც სულ გაქრა...

თუ გამიჭირდა, შეგაწუხებ, –

ღმერთო, მიშველე!“

ასეთ სტრიქონებს, მაგალითად, ოთარ ჩხეიძე, ნამდვილ
რეალიზმს უწოდებდა. არაო, არაო, – იტყოდა, – სოციალ-
ისტური რეალიზმი კი არა, ნამდვილი რეალიზმიო. იგივეს
გაიმეორებს, ალბათ, როსტომ ჩხეიძეც.

მარქსისტულ-ენგელსურ-ლენინურ-სტალინურ-სოციალ-
ისტური არაო;

თუმცა, აი, სოციალური საკითხები კი აქ არის გაჟღერ-
ბული.

მწვავე თემები სააშკარაოზე გამოტანილი, და ასეც უნდა იყოს. მუქ რეალობას ვერ დაემალები. მას უნდა შეებრძოლო, იგი უნდა შეცვალო.

მესმის, – ძალიან მარტივად ვამბობ ძალიან რთულად შესასრულებელს.

მაგრამ სხვა გზა არაა: ოდესმე ხომ უნდა დალაგდეს ცხოვრება, ოდესმე ხომ უნდა დაიბრუნოს ჩვენმა ქვეყანამ კუთვნილი ადგილი დიდებულ ევროპულ ერთა რიგში.

უმუშევრობა-უსახსრობის პრობლემა მეტად აქტუალური გახდა ბოლო დროის საქართველოში. წლების განმავლობაში ეს ასე გრძელდება. ამ ყველაფერმა, – ადამიანთა მძიმე მდგომარეობამ ლიტერატურაშიც მკვეთრად შემოაღწია. ახალი ქართული ხელოვნების რენესანსს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო დადებით მხარეთაგან ერთ-ერთია მწვავე რეალობაზე, ნამდვილ რეალიზმზე თვალის არდახუჭვა. არც გულნაზ ხარაიშვილი არიდებს მხერას პრობლემებს, მძიმე პრობლემებს. იგი არც გაურბის მათ. პირიქით: აქვს საკუთარი თავისა და ღმერთის რწმენა-იმედი.

და მაინც, – უმძიმესია პოეტის ზოგიერთი სტრიქონი, სტროფი.

სხვადასხვა პრობლემებს მარტოობის მარადიული თემაც ემატება, თემა სულიერი მარტოობისა, რომელსაც, თურმე, პოეზიით ებრძვის პოეტი: ღექსი მყავს მგზავრად და ამიტომაც არაფრის მეშინიაო.

მარტოობა რომ ზოგადსაკაცობრიო და მარადიული თემაა, იქნებ, მეფე-თემაც მსოფლიო ლიტერატურისა, ეს დასტურდება. უამრავი უცხოელი გენიოსი მუშაობდა ამ საკითხზე. რა აღარ დაიწერა მის გარშემო ხელოვნებასა და მეცნიერებაში. მაინც რჩება ეს უღიადესი პრობლემა გადაუჭრელ, ამოუხსნელ საიდუმლოდ.

საერთოდ, სამყარო, განსაკუთრებით კი – პოეტური სამყარო, ბევრ საიდუმლოს მაღავს, ამოუხსნელ, გამოუცნობ, შეუცნობელ ბევრს რასმეს; დიდ საიდუმლოებებს მაღავს

თვით პოეტური ხელოვნებაც.

მარტოობის პრობლემა პოეტურმა ხელოვნებამ თავის რჩეულ თემად აქცია იქაც – უცხოეთშიც, აქაც, ჩვენთან, – საქართველოშიც. ჩვენში ამ საკითხის ერთ-ერთი მესაძირკველ ბარათაშვილია, დიდი ქართული ლირიკული ტრიუმფირატის პირველი წევრი (ბარათაშვილი-გალაკტიონი-გრანელი). მისი „სული ობოლი“ და შეუდარებელი ლექსი „მერანი“ ამ თემაზეა ამოშენებული.

ბარათაშვილმა თავის დროზე კარდინალურად შეცვალა ქართული პოეტური აზროვნება, დააბრუნა რა იგი მსოფლიო სტანდარტებში. ნიკოლოზ ბარათაშვილს მე და კახა განვიხილავთ, როგორც ლირიკის რუსთველს, თუმცა ამ ხედვოდებაში მას მაინც ჰყავს მეტოქეები. დიას, ლირიკაში ტრიუმფირატი მეფობს (ან - უგვირგვინო მეფეები მაინც არიან).

ბარათაშვილისეულ სულით ობლობას შემდეგში უამრავი პოეტი შეეხო თავისი კალმით თუ სიტყვით. სულიერი მარტოობა, – ყველაზე მკვეთრი სნეულება ბოლო საუკუნეებისა, ქართული ლიტერატურისთვისაც ერთ-ერთი დომინანტი თემა გახდა.

მე და ჩემს მეგობრებსაც ბევრი გვიწერია ამ თემის შესახებ. მაგალითად: აგერ, ახლა მახსენდება, ზუსტად, ჩემი ძმის მიერ შექმნილი პატარა ლექსი „მარტოობა“, (მეორე სათაურით – „აფრები“), რომელშიაც გადმოცემულია უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი ადამიანის სევდა. კუნძული სიმბოლურია. როგორც ჩანს, ადამიანთა უმეტესობა სწორედ რომ უკაცრიელ კუნძულზე ატარებს მთელს თავის ცხოვრებას, ოღონდაც, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ბევრი ვერ ხვდება ამას. კაცნი ისე კვდებიან, რომ უკიდევანო ზღვას მიშტერებული თვალები ვერასოდეს ხედავენ თეთრ აფრებს. ცარიელია სამყარო-სივრცე. არ ჩანს მაშველი გემი. არ ჩანს სულიერი მეგობარი. უმეტესობა – კი, მაგრამ ყველა ვერ ეგუება ამას.

ქალბატონი გულნაზი სულიერ მარტოობას პოეზიით უმკლავდება. პოეზია, როგორც მკურნალი, წამალი სულისა,

სრულიად გამორჩეული მოვლენაა მის ცხოვრებაში.

– მე, იგი, ყველასა და ყველაფერზე უფრო მეტად მიყვარს. საერთოდ, სიყვარულში ყოველთვის ძალიან ერთგული ვიყავი. პოეზიას ვერასოდეს ვუღალატებ. მას, როგორც ღმერთს, არ ეღალატება, – ეს გულნაზ ხარაიშვილის სიტყვებია.

მაშინვე ჩავეკითხეთ მე და კახა:

– კი მაგრამ, შვილები? ნუთუ შვილზე უფრო ძვირფასიც არის თქვენთვის ლექსი? შვილიშვილზეც?

იგი ძალიან, ძალიან ჩაფიქრდა. აღარაფერი უპასუხია. აღარც ჩვენ ჩავეკითხეთ. არ ღირდა. ისედაც ნათელი იყო უკვე ის, რაც ჩვენ გვანტერესებდა, – ქალი პოეტიც შეიძლება, თურმე, რომ იყოს ფანატიკოსი თავისი საქმისა, – პოეზიის. და როცა ადამიანი მთელი გულით ემსახურება გარკვეულ საქმეს, მთელს სიცოცხლეს უძღვნის მას, მაშინ არის პიროვნების სიცოცხლეში ისეთი დროებანიც, როცა სულაც აღარ აინტერესებს მას, – გამორჩეულია თუ არა, განსაკუთრებულია თუ არა. დარწმუნებული ვარ, გულნაზ ხარაიშვილს რომც არც სჯეროდეს საკუთარი განსაკუთრებულობა, იგი მაინც ვერ მიატოვებს ლექსის წერას, რამეთუ პოეზია უკვე კარგა ხანია, რაც სამუდამოდ შეენიჭათა მის სიცოცხლეს. ლექსების გარეშე გულნაზის ცხოვრებას აზრი აღარ ექნება.

ამიტომაც იგი სიკვდილამდე დარჩება პოეტად.

პოეზია გახდა მისი მარადისობა.

და რა კარგია, რომ მკვეთრად ღირებულებაც არის ქალბატონი გულნაზის შემოქმედება, ფუჭად არაა ჩავლილი მისი შრომა!..

მართალი გითხრათ, იყო დრო, როცა ვამბობდი, – რომ პოეზია არაა ქალის საქმე. კაცმა კიდევ უნდა ისმინოს, და კიდევ უნდა წეროს, ქალმა კი მხოლოდ უნდა ისმინოს-მეთქი, არაერთხელ მითქვამს. ერთ ლექსში დავწერე, რომ მსურს „მივწვდე ოცნებას, როგორც მზეთა ღვთიურ ორქიდეც“. მერე მეგობრებს ვეუბნებოდი: აი, ქალს კი ეს არ ძალუძს, ოცნების

ასეთი წვდომა-მეთქი.

მერე არაერთხელვე ვაღიარე, – ჩემი შეფასება ზედმეტად მკაცრი იყო.

არა, რაღა თქმა უნდა, ქალი ისე ვერასოდეს დაწერს, როგორც რუსთველი წერდა.

მაგრამ რუსთველისებური გენიალობა ხომ ქალს კი არა, აღარავის აქვს საერთოდ. ასეულობით წლები გავიდა და მისი შემცველელი დღემდე ვერ გვიპოვნია. თვით გალაკტიონი, რომელსაც მის თანამედროვე პოეტებთან არცერთი პოეტური დაპირისპირება არ წაეგო (თუმცა ამბობენ, რამოდენიმე მაინც შეძლო თანაბარ დონეზე შემეტოქებოდაო. მაგალითად, თურმე გრანელთან ერთ-ერთი დაპირისპირებისას ორივე გამარჯვებულად აღიარეს, – თუ ეს ამბავი მხოლოდ ლეგენდა არაა. თვითონ გრანელი კი ამბობდა: ვუთმობ გალაკტიონს გვირგვინს, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ჩემზე მეტი იყოსო), ხელმოცარული დარჩა, როცა „ფეფხისტყალის“ დარი ნაწარმოების შექმნა სცადა. გალას „მშვიდობის წიგნმა“ ვერ შეცვალა შოთას პოემა. თუმცა აქვე ვიტყვი, – გალაკტიონ ტაბიძე იყო ათიანი და ოციანი წლების ვარსკვლავი, ბოლომდე კი შეინარჩუნა პოეტური ძალმოსილება, მაგრამ „მშვიდობის წიგნზე“ მუშაობის წლებში ძველებური პეწი მის ხელოვნებას თითქოს მაინც აკლდა.

მოკლედ, არაა აუცილებელი რომ პოეტი ქალი მაინცა-დამაინც რუსთველს, დანტეს, შექსპირს, გოეთეს და ბაირონს, გალაკტიონს და გრანელს გაეტოლოს სტრიქონთქმნადობაში.

სამაგიეროდ, უკვდავად დარჩება ემილია დიკინსონიც, სილვია პლათიც, ფილის მაკკინლიც, საფოც, კასიოც, სხვებიც.

საქართველოსთვის კი მარგალიტებია ანას, ესმა ონიანის, მედუა კახიძის, მარიკა ბარათაშვილის (გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის შორეული ნათესავი?), საფო მგელაძის, მარიჯანის, ლია სტურუას და სხვათა – ქალ პოეტთა სტრიქონე-

ბი.

აი, სწორედ ამ ადამიანთა სულიერი მონათესავეები არიან ჩვენეული – სამამულო პოეზიის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან გუდნაზ ხარაიშვილი, ნუნუკა გურალია, მანანა დანგაძე, მარიამ წიკლაური, კატო ჯავახიშვილი, თეა თაბაგარი, ნატა ვარადა, ქეთი ნათელაძე და სხვები.

მთავარი ის კი არაა, რომ ხელოვნების მეფე იყო, ვთქვათ, რუსთველის, გოეთეს ან პოეტი-დრამატურგის შექსპრის მსგავსად;

მთავარი ის კი არაა რომ ახალი რუსთველი ან პოეზიის მოცარტი გიწოდონ;

მთავარი ის კი არაა, რომ მხედართმთავარ-პოლიტიკოსთა მსგავსად, – ალექსანდრე მაკედონელისა და სულა დიქტატორის მსგავსად, მუდამ გამარჯვებული რჩებოდე, და ლიტერატურული ფრონტი ნამდვილ ბრძოლის ველად აქციო...

არა...

თუ პოეტი ხარ, უბრალოდ, ნამდვილი უნდა იყო, ჭეშმარიტი.

მეტი არაფერი.

გულიდან უნდა მოდიოდეს სათქმელი, თორემ...

აბა, სულ გენიოსები ჩემმა მტერმა იკითხა!

მე რომ რუსთველისა და გალაკტიონის ტექსტებს, საკმაოდ ხშირად, ლადოს, მირზას ან, ვთქვათ, ჩანტლაძის, ფირცხალაიშვილის, გუგუშვილის, კოლაუს ტექსტები არ შევანაცვლო, ის თვალშეუდგამი სიმადლეებიც მომბეზრდება ალბათ.

რაც შეეხება ქალურ პოეზიას, ისიც წარმატებით ჩაენაცვლება ხოლმე გენიოსთა ნაშრომებს. მას აქვს თავისი მკვეთრი ადგილი. დიდი რამ დააკლდებოდა მთლიანს სამყაროს პოეზიისას, ქალს რომ ლექსი არ დაეწერა.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ის მაინც ხომ ფაქტია, რომ ქალის პოეზია აშკარად განსხვავდება მამაკაცის პოეზიისაგან, და ამიტომაც იგი სულ სხვა ფერებით ამდიდრებს ლიტერატურას. არ მიყვარს, როცა ქალი ნაძალადევად ცდილობს მამაკაცურ ტექსტს დაამსგავსოს თავი

ვისი ნაწერიც. არა, ეს არ ვარგა. ბუნებრივობა ყველაფერს სჯობია, რამეთუ მასში არაა სიყალბე.

აგერ, ბატონო, აი, ესაა წმინდად ქალური ტექსტი:

„მიხარია... მიხარია... მიხარია...“

დედა ვარ! შვილებსა ვზრდი. მიხარია...

წარსული?... ჩემებიც იქ არიან;

სიცოცხლე?... ერთი ღამის სიზმარია...“

გასაოცარი სტროფია, სადაც ერთადაა შედუღებულნი უზარმაზარი სიხარული და უზარმაზარი სევდა. საერთოდ, გულნაზ ხარაიშიელი დიდოსტატია ასეთი შეზავებებისა. სიცოცხლე-სიკვდილის (თუ სიკვდილ-სიცოცხლის) ეს ქალური ფილოსოფია, რაც ამ ოთხსტრიქონედშია გადმოცემული, არასოდეს შეემატებოდა ლიტერატურას, რომ არ ყოფილიყო ხელოვნებაში ქალური საწყისიც. ადამი მომპოვებელი, შემოქმედი იყო, ხოლო ევა – შემნახველი. მაგრამ როდესაც ინახავ ცოდნას, ნელ-ნელა შემოქმედიც ხდება.

წარმოდგენილ ოთხ ხაზში პირველი ორი სტრიქონი მთლად ქალურია. ესაა მარტივად თქმული ფილოსოფია სიცოცხლისა. ქმარ-შვილის ერთგულება, დედობა, – აი უმაღლესი ფუნქცია ქალის. იგი, როგორც დედა, არის სიცოცხლის საწყისი. ჩემთვის, როგორც მამაკაცისათვის, ამის თქმა ადვილია, მაგრამ ამ თემას ბოლომდე ვერასდროს ჩავწვდები. კაცისთვის სიკვდილ-სიცოცხლე ერთი სივრცეა, ამიტომაც იგი არასტაბილურია, მეამბოხე, ხშირად ქმნის ომს, ანუ – სიკვდილს. ქალს კი სტაბილურობა ურჩევნია. ვფიქრობ, მას ბევრად უფრო უყვარს სიცოცხლე, ვიდრე მამაკაცს.

ქალის ძლიერება ესაა.

მაგრამ ესაა ქალის სისუსტეც.

მამაკაცი უმაღლესია თუნდაც იმიტომ, რომ მისი მადიებელი გონება ცდილობს ყველაფრის შეცნობას. მან ნაწილობრივ შეიცნო სიცოცხლე, ნაწილობრივ – სიკვდილი, და ღმერთკაცობისაკენ – უმაღლესი იდეისაკენ ნაბიჯი გადადგა.

ქალმა კი ნაწილობრივ შეიცნო სიცოცხლე, ალბათ

„ნაწილობრივზე“ მეტადაც შეიმეცნა-შეიყვარა იგი, მაგრამ მას თითქმის საერთოდ არა სურს სიკვდილის შეცნობა.

არადა, სიცოცხლე და სიკვდილი ძმებია, თან ისეთი ძმები, რომ უერთმანეთოდ ვერც იარსებებენ. და თუ ამათგან თუნდაც ერთი მათგანის შეცნობა არ ძალგძის, მაშინ მეორის ჭეშმარიტი ჩაწვდომაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

და ქალი იძულებულია მიმართოს ბაძვას. იგი ბაძავს მამაკაცს ბევრ რამეში. ამ პროცესში მიაგნო მან სიკვდილის სამყაროსაც.

ესაა საუკუნოვანი პროცესი. ალბათ ჯობდა მეთქვა: მრავალსაუკუნოვანი-მეთქი.

და ზემოხსენებული ლექსის პირველი ორი ხაზი ხატია სიცოცხლის. მე, კაცს, მიჭირს მისი სრული აღქმა, თუმცა ვგრძნობ ამ სტრიქონთა უბრალოებით მოტანილ დვთაებრივ სიმშვენიერეს (შვილებსა ვზრდიო... ქალი კი, რომელიც შვილსა ზრდის, ღვთისმშობელს ემსგავსება ხოლმე).

შემდეგი ორი ხაზი, რაგინდ ქალურ ღირიკა-ფილოსოფიად დავახასიათო მთელი სტროფი, უფრო ზოგადია მაინც (წმინდად ქალურ ბუნებას, ამ ლექსს, რაღა თქმა უნდა, პირველი ორი ხაზი ანიჭებს). ბოლო სტრიქონებში სიკვდილის თემა შემოდის, ხოლო სიცოცხლე მოკლე სიზმარს არის შედარებული.

ჩვენს პოეზიაში სიკვდილის თემის მეუფენი ბარათაშვილი და გრანელი იყვნენ. მათი სულიერ-ფიზიკური სიჯანსაღე გაანადგურა შავმა მელანქოლიამ, რომელიც ადამიანთა საერთო უსუღღუღლობამ და უპასუხისმგებლობამ დამართა ერთსაც, მეორესაც. განუკურნებელმა სულიერმა სენმა შეიწირა ორივე. უზარმაზარმა სევდამ დაასამარა სამამულო პოეზიის ეს ვარსკვლავები თუ ლეგენდები.

ბარათაშვილმა ერთ ლექსში – „მერანში“ იმდენი ძალა ჩატია, რამდენიც დიდ უცხოელ პოეტებს პოემებში ძლივს აქვთ ჩატეული (მაგალითად გენიოსთა პოემები – „მანფრედი“, „ფარისი“).

პოეტი და სიკვდილი ერთმანეთს ვერა შორდებიან, ხოლო

როცა „სულო ბოროტოს“ კითხულობ, ხედები, – ამ ლექსის დამწერი განწირული კაცია, იმას აღარაფერი ეშველება.

გრანელი კი პირდაპირ აღიარებდა, – ჩემი ცხოვრება, ეს არისო „მემენტო მორი“, ანუ – გახსოვდეს სიკვდილი.

სიკვდილ-სიცოცხლის თემაც უკვდავ თემათა რიგს განეკუთვნება, რაღა თქმა უნდა. ვის აღარ უფიქრია ამ საკითხზე. აგერ, გაიელვა მოგონებაში ჩემი პირველი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ჯგუფის წევრების – რატი ნინუასა და გოგა არაბულის სახეებმა;

ორივეს საოცარი მზერა ჰქონდა: ერთს – მუქი შავი, ღრმა, ჩაფიქრებული. მეორეს – უცნაურად მწვანე, მეოცნებე, თითქოს მთების ზურმუხტი მოექცია მზერაში...

და მერე როგორი პოეტები იყვნენ! . .

აღარც რატია ცოცხალი, აღარც გოგა, – სამ ათეულ წლამდეც კი არ მიუღწევია არცერთს!..

რატის საუკეთესო წიგნი „სინდბად მეზღვაურია“ (უცხოური სათაური აქვს, და ქართული სული, ამ პოეტურ ნაშრომს), ხოლო საუკეთესო ლექსები, ალბათ, „ნიცმეს მონოლოგი“ და მისი უკანასკნელი ლექსი – „დასასრული“ (ეს ლირიკული ქმნილება მე დავასათაურე. იგი გმირის სიკვდილზე მოგვითხრობს).

გოგას საუკეთესო წიგნი „მკვდართა დარდის მზებუდობა“, ხოლო საუკეთესო ლექსებია, ალბათ, „შუქია“ და მისი უკანასკნელი ლექსი – „სინათლის ფერფლი“ (გოგას უკანასკნელი ქმნილებაც ჩემი დასათაურებულია).

და აი, უკვე ჩემს მეორე მნიშვნელოვან ჯგუფში – „ზღვარში“ მათი ჩანაცვლება მომიხდა: გია მიჩიტაშვილმა და ლუკა ამირანაშვილმა შეცვალა ისინი. არ იყო თანაბარძალოვანი ცვლილება. ეს ორნი მუსიკოსები უფრო იყვნენ, ვიდრე პოეტები. სამაგიეროდ, პირველი ერთობიდან შემორჩენილ ძირითად ოთხეულს ახლა მეტი გამოცდილება გვქონდა, უკვე გვარიანი ცხოვრებისეული წრეობა გაგვევლო. მაშ, მესხეთე-მეექვსე წევრი შეიცვალა მხოლოდ.

ეს ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს მოხდა.

რატის და გოგას იმ დროისათვის, უკვე, როგორც ჩანს, ცხოვრება აღარ აინტერესებდათ, ამიტომაც ჩვენს საერთო შემოქმედებით ფერხულში ჩაბმას აღარ აპირებდნენ.

მათი გონება უკვე საბედისწეროდ შესჭიდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის გოლიათურ საკითხს.

მიზეზები?

სიკვდილის მიზეზი რამდენიც გინდა იმდენია, აი, სიცოცხლის მიზეზია ცოტა. ყოველ შემთხვევაში, ისინი ალბათ ასე ფიქრობდნენ...

გულნაზ ხარაიშვილს, როგორც ერთ-ერთ მოძღვართაგანს, გავესაუბრეთ, ერთხელ, მე და კახა, თვითმკვლელობის შესახებ. სხვადასხვა დროს ამგვარი საუბრები გვქონია ნუნუკა გურალიასთანაც, გივი ალხაზიშვილთანაც... სხვებთანაც – პატივსაცემ, ასაკოვან ადამიანებთან გვიყვარს ფილოსოფიური თუ ნახევრად-ფილოსოფიური საუბრები, – ეგებ მათ უკეთ გაეგებოდეთ ცხოვრებისეული ჭეშმარიტებანი.

– თვითმკვლელობა? – გულნაზი ჩაფიქრდა. დიდხანს, დიდხანს იყო ასე. თითქოს ყოყმანობდა, არ იცოდა, თუ რა პასუხი გაეცა.

– იცით, შვილებო, სიცოცხლე რაგინდ რთული იყოს, მაინც მთავარია, უნდა ვიცოცხლოთ, რადგანაც შევძლოთ ჩვენი მიზნების ბოლომდე მიყვანა. – ქალბატონი გულნაზი აქ შეჩერდა, მერე კი დასძინა: – ისე, ერთი რამ მაინც უნდა გითხრათ, – მე ჯერ არ გამიგია, რომ სულელს მოეკლას თავი. ჩემდა გასაოცრად, ამას ყოველთვის რჩეულები სჩადიან და რჩეულთა დაღუპვაა, სწორედ, უდიდესი უბედურება.

იგი ხომ ღრმადმორწმუნე ადამიანია, ამიტომ მისთვის სუიციდი აბსოლუტურად მიუღებელი რამაა. როგორც ქალი, როგორც პიროვნება, როგორც მორწმუნე, ამას საშინლად ეწინააღმდეგება. ცდილობს ეს დიდებული ქალბატონი, რომ სიცოცხლის მოძღვარი იყოს, მას სურს, სწორება ჰქონდეს თეთრ ფერზე ისე, როგორც ემილი (ემილია) დიკინსონს ან გალაკტიონს ჰქონდა („თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები“ – გალას ლექსიდან);

არადა,

არც ემილიას დაუსრულებია კარგად, არც გალაკტიონს...
ორივეს გზა დაიმსხვრა;

დაიმსხვრა თეთრ-ცისფერ-ლურჯ ფერთა მოთაყვანე
ბარათაშვილის ოცნებანიც;

და იგივე ფერთა მოთაყვანე გრანელის სიცოცხლის ტაძ-
არიც...

და რა სავალალოა, რომ ქალბატონ გულნაზსაც ღია
ფერის მაგივრად მუქი სამოსი განუწესა ცხოვრებამ: ძმები
– ბეჟან და ლევან ხარაიშვილები, მეუღლე – ვახტანგ სხ-
ირტლაძე, შვილი – გელა სხირტლაძე, რომელზე დარდსაც
თურმე კინაღამ გადაყვა... უმძიმესი ხვედრი არგუნა ბედმა
დიდ საზოგადო მოღვაწესა და პოეტ ქალბატონს.

მაგრამ რელიგიისა და საკუთარი პიროვნების განუ-
ზომეღმა ძლიერებამ იგი მაინც დააყენა ფეხზე.

და მაინც შექმნა აკადემია,

და მაინც დააარსა ჟურნალი,

და მაინც შემოიკრობა ირგვლივ სხვადასხვა თაობის
მრავალი ნიჭიერი წარმომადგენელი,

და მაინც ჩაატარა უამრავი დიდებული ღონისძიე-
ბა...

გულნაზ ხარაიშვილმა თავისი ცხოვრებით დაამტკიცა,
რომ სიკვდილი არ არსებობს. ადამიანის ცხოვრების ხაზი
კი არის გზა – მისი დაბადებიდან მისივე სიცოცხლის
მწვერვალამდე.

მერე...

მერე ყველაფერი თავიდან იწყება.

ხოლო სიცოცხლე და სიკვდილი პირობითობაა.

მთავარი გზაა.

მთავარი არის ბრძოლა.

მთავარი მწვერვალია.

საკუთარ თავს მაინც უნდა დაუმტკიცო, რომ მაგარი ხარ,
ხოლო თუ სხვებსაც დაუმტკიცე იგივე, ამას რაღა სჯობს.

მაგრამ საკუთარი თავის ხიბლში კი არ უნდა ჩავარდე,

შენივე პიროვნება კერპად რომ არ გაიხადო, თორემ თუ ეს მოხდა, სხვებს ვეღარ შენიშნავ, სხვათა დადებით მხარეებს ვეღარ დაინახავ.

გულნახ ხარაიშვილის პიროვნული სიდიდე იმაშიც არის, რომ მას ვერავინ ასწრებს სხვათა დადებითი მხარეების შემჩნევას. ბევრი ადამიანი (მაგალითად პოეტი ვაჟა აქიმის-ვილი) პირადად მისი აღმოჩენილია ლიტერატურისათვის.

მაშ გრძელდება წიგნი – შერეული რომანი, გულნახ ხარაიშვილის ცხოვრების, მისი საზოგადო და ლიტერატურული დეაწლის შესახებ.

და ახლა შევეცდები წარმოგიდგინოთ იგი, როგორც რედაქტორი.

ნამდვილ რედაქტორად ყოფნა ურთულესი საქმეა. აი, ერთი მოჭადრაკე-დიდოსტატი რომ მრავალ დაფაზე ატარებს საჭადრაკო სეანსს, მრავალთა მეტოქეთა წინააღმდეგ, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა აქაც. უამრავ ადამიანთან გაქვს საქმე. შენ უნდა დააღაგო ყველა ეს ურთიერთობა. ხოლო მოჭადრაკესთან შედარებით უფრო რთულ დღეშიც ხარ: დამარცხება კი არ გევალება იმ ადამიანებისა, ვინც გარშემო შემოიკრიბე, არამედ პირიქით, – მათი დარაზმვა ერთი დიდი იდეის ქვეშ, გაერთიანება, ხოლო შემდეგ საერთო გამარჯვების მიღწევა.

არადა, ადამიანი მილიონგვარია.

შენ, როგორც რედაქტორი, ყველას თავისებურად უნდა მიუდგე, რომ არავინ გაანაწყენო, ხელი არ ჩააქნევიო ხელოვნება-მეცნიერებაში მუშაობაზე, და რომ პირიქით, სწორედ პირიქით, – მათში აანთო შემოქმედებითი ცეცხლი, დარაზმო ყველა ესენი, შეკრა ერთ გუნდად: ხომ გინდა, რომ ძლიერი რედაქცია გყავდეს და ღირებული ჟურნალი გამოუშვა!

ხოდა ეს ჯოჯოხეთურად რთული საქმიანობაა, აკადემიის პრეზიდენტობაზე არანაკლებ რთული.

ხოლო ორივე უდიდესი საქმე ერთად შეითავსო?!

მართლაც რომ იმ პოემის ამბავია, აი, ჩემს მეგობართან ერთად რომ დავწერე, – ადამიანი რომ მთელს ოკეანეს შე-

ვამეტოქე.

ღიახ, ასეა ეს...

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ზარი გაისმა კახას მობილურზე. ქალბატონი გულნაზი რეკავდა: აკადემიაში (რედაქციაში) ამოდი სერგისტან ერთად. პრობლემააო. არ მინდა, რომ უთქვენოდ გადაწყდეს ეს საკითხიო.

დაუყოვნებლივ ჩავსხედით მანქანაში და აკაკის ძეგლთან ახლოს მდებარე შენობისაკენ გავემართეთ.

შევდივართ რედაქციაში.

ქალბატონი გულნაზი ისევე თბილად, ხალისიანად, ენერგიულად გვგვებება, როგორც ყოველთვის. მაგრამ მაინც ეტყობა, – რაღაცაზე ჩაფიქრებულია, მისი გონება რომელიღაც დილემას შესჭიდებია.

რედაქციაში შემოსულა ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძის ვრცელი სტატია. იგი განხილვა ჩვენი ჟურნალის („ათინათის“) ერთ-ერთი ნომრისა, უფრო სწორად – ზოგადად ჟურნალისა და განსაკუთრებით მისი რედაქტორის პიროვნებადღაწლისა.

სტატიას გაეცნო „ათინათის“ გარშემო შემოკრებილი ადამიანები (ციური ხეთერელი, მანანა დანგაძე, თამარ ჯაჭვაძე, ლუარა სორდია და სხვები). მათი პოზიცია ერთმნიშვნელოვანი არაა. ნაშრომმა ცხარე პოლემიკა გამოიწვია. ვერ გადაუწყვეტიათ მისი გამოქვეყნების საკითხი.

გულნაზ ხარაიშვილს, როგორც აკადემიისა და რედაქციის პირველ პირს, ერთპიროვნულად ძალუძს გადაწყვეტილების მიღება. მას სურს, რომ სტატია დაიბეჭდოს, რადგანაც იცის, – ძალიან ბევრი უშრომია ავტორს. თვეზე მეტხანს წერდა ამ წერილს. სული და გული ჩააქსოვა თავის ნაშრომში.

მეორე მხრივ, ზოგმა ადამიანმა კითხვის ნიშანი დასვა სტატიის ხარისხის შესახებ.

იყვნენ ისეთებიც, რომელნიც კითხვის ნიშანს სვამდნენ სრულიად ჟურნალის ხარისხის შესახებაც.

ხოლო ახლა ეს სკანდალურად ქცეული სტატია...

ღიახ, ქალბატონ გულნაზს ადვილად შეეძლო, მარტოს

მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ მან, როგორც გამოცდილმა „პოლიტიკოსმა“, ეს არ გააკეთა. არ გააკეთა თუნდაც იმიტომ, რომ სტატიაში ბევრი საქებარი რამ წერია პირადად მის შესახებ, ამან კი შეიძლება სხვებს აფიქრებინოს, – საკუთარი თავის შექების გამო დაბეჭდა სტატიაო.

რედაქტორის საჭადრაკო სვლა ასეთია: გადაწყვეტონ სტატიის ბედი ახალგაზრდა და წარმატებულმა პოეტებმა (მიუხედავად იმისა, რომ ზურგს უკან მოვიტოვეთ ლიტერატურული პროფესიონალიზმის ოცი წელი, გულნაზ ხარაიშვილი მაინც ახალგაზრდებად გვთვლის. ეს არცაა გასაკვირი: მის კოლოსალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან შედარებით, ჩვენი ცხოვრების გზა ჯერაც უფერულია).

მე ბევრი ადამიანი მინახავს, რომელიც აქებს ქალბატონი გულნაზისა და ზოგადად ჩვენი აკადემიის, ჩვენი რედაქციის მიერ გამოცემულ ამ ჟურნალს, – „ათინათს“. თავი რომ დავანებოთ გამოცდილ ავტორთა მთელს ჯგუფს, აქ რომ იბეჭდება, მარტო ნორჩი ათინათელების თაობის ჩამოყალიბება რად ღირს, – ესაა ერთიანობა იმ ბავშვებისა, იმ მოზარდებისა, რომლებმაც ადრეულ ასაკშივე დაუკავშირეს საკუთარი გულ-გონება ქართულ ხელოვნებას, ქართულ კულტურას ზოგადად. ესაა ჯანსაღი თაობა, რომელიც ნელ-ნელა გადაიბარებს ჩვენი ერის მომავალ ყოფა-ცხოვრებას. ჟურნალი „ათინათი“ და მისი მსგავსი გამოცემა-ორგანიზაციები სამჭედლოა მომავალი ქართული სულიერებისა, ეროვნული სულისა.

მართალი გითხრათ, ყოველთვის მეღიშება, როდესაც ჩვენს ჟურნალს ან ჩვენს ანთოლოგიას მწვავედ აკრიტიკებენ, იმიტომ, რომ მე კარგად ვარ გაცნობილი სხვა ჟურნალებს და ანთოლოგიებს.

წარმოდგენა თუ აქვთ მოკრიტიკეებს, რა მწირი ფინანსები ტრიალებს დღეს ქართულ ლიტერატურაში?

რედაქტორები რას არ აკეთებენ, როგორც იტყვიან, წელე-ბზე ფეხს იდგამენ, რომ როგორმე მაინც გამოვიდეს ჟურნალ-გაზეთები, როგორმე არ შეწყდეს ერის ლიტერატურული (და

მეცნიერული) ცხოვრება.

არ არსებობს არანაირი კეთილი პირობები.

რედაქტორები გაუსაძლის ყოფას უმკლავდებიან, გაუგონარ პრობლემებს უპირისპირდებიან, რომ მკითხველამდე მივიდეს, როგორმე, დიდი წვა-დაგვით შექმნილი თავიანთი ნაშრომ-ნაღვაწი.

ასე ეზიარება მკითხველი გაზეთებს, ჟურნალებს, ანთოლოგიებს.

უძძიმესია-მეთქი პირობები.

და ამ ძალღ-უმაღურ სიტუაციაში, ამ ჯოჯოხეთურ ლაბირინთებში უმაღლესი ხარისხის ლიტერატურული ჟურნალის (თუ გაზეთის) შექმნა თითქმის წარმოუდგენელია.

კრიტიკა ადვილია.

აბა სცადეთ უკეთესის შექმნა!

დღევანდელობაში მე არ შემხვედრია იდეალური ქართული ლიტერატურული (ან ლიტერატურულ-სამეცნიერო) ჟურნალი.

არც იდეალური ანთოლოგია მინახავს.

მაგრამ ყველა დღევანდელ ჟურნალ-გაზეთს თუ ანთოლოგიას აქვს თავისი ღირებულება, მკვეთრი ღირებულება.

უამრავი წამოწყება ისე დაიხურა, ერთ-ორ ნომერს ვერ გასცილდა.

აგერ მეშვიდე ნომერი გამოდის ჟურნალ ათინათისა და ყველა ნომერში იყო ორი-სამი ისეთი ნიმუში მაინც, რომელიც უნდა ჩაითვალოს ჩვენი კულტურის მიღწევად.

ეს უკვე დიდი გამარჯვებაა!

(ასევე დიდ გამარჯვებად მიმაჩნია ქალბატონი გულნაზის მიერ შექმნილი ანთოლოგია!)

ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ სუსტია, ძალიან სუსტი. დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ ოცი უძძიმესი წელიწადი გავიარეთ: ჯერ ხომ იყო ის ცეცხლოვანი გზა, ჩვენი პირველი პრეზიდენტის, ზვიადის გაქვევება-დაბრუნება-სიკვდილიდან „ვარდების რევოლუციამდე“, მერე ხომ ახალი პრობლემები დაიწყო და, შესაბამისად, ახალი მოძრაობანიც,

რომელიც, ბოლოს, „ღურჯ რევოლუციამდე“ მივიდა.

მოვიდა რა ხელისუფლებაში ეს მთავრობა, ახლა ეყრება საფუძველი სხვაგვარ სახელმწიფოებრიობას, ჩნდება იმედი.

მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა. პატარა და სუსტი ქვეყანა წელშია გასამართავი.

ეგებ დავიბრუნოთ ბრწყინვალეობა ოდინდელი.

მაგრამ ახლა...

ახლა ჯერ კიდევ ისეთი დროა, თითოეული ღამეა სიბრძნის ბოლომდე მიყვანა ურთულეს შრომას მოითხოვს. პირდაპირ ტიტანური ნებისყოფაა საჭირო. ასეთი უდიადესი ნებისყოფის, შრომისმოყვარეობის ფასად ქმნის გულნაზ ხარაიშივლი თავის წიგნებს, ჟურნალს, ანთოლოგიას, და ახლა კრიტიკა კი არა, გამხნელება, შეშველება, მხარში დგომაა საჭირო. ესაა თითოეული ჩვენთაგანის ვალი და ამას შეძლებისდაგვარად ვაკეთებთ.

იგი ზრუნავს თითოეულ ჩვენთაგანზე;

ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ დავეხმაროთ ქალბატონ გულნაზს თავისი განსაკუთრებული მისიის ბოლომდე შესრულებაში.

მითუმეტეს, რომ ბევრ რედაქტორს შევხვედრივარ ცხოვრებაში, და გულწრფელად ვამბობ, – მათ შორის საუკეთესო პიროვნება სწორედ გულნაზ ხარაიშივილია.

რაც შეეხება ლიანა ოსიაშვილის სტატიას, მე მომეწონა ამ ავტორისა და მისი ნაშრომის სულისკვეთება. წერილის მთავარი ღირსება პოეტური სახეები იყო, აგრეთვე, – სწორად დანახული პიროვნულობა რედაქტორისა. ჩემთვის თუნდაც ეს ფაქტორები უკვე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ მასალის გამოქვეყნებისათვის მხარი დამეჭირა (იმავ დღეებში რამდენიმე სხვა ავტორის მასალებიც მოვიწონე).

ქალბატონი ლიანა პირადად ჩემს შესახებაც წერდა ერთ-ორ ეპიზოდში, თავისი ნაშრომისა, და იმ ეპიზოდებმაც გამახარა. ვაღიარებ, – ძალიან მომწონს, როცა მაქვებენ. (სამაგიეროდ ისიც ძალიან მომწონს, როცა სხვებს ვაქვებ).

მოკლედ, მე ვთქვი, რომ უნდა გამოქვეყნდეს ლიანას სტა-

ტია.

ახლა ჯერი კახაზე მიდგა.

გულნაზ ხარაიშვილის პიროვნების, მისი დვაწლ-შემოქმედების განხილვა-შეფასების შემდეგ, მგონი, სწორედ კახა ბაციკაძის შემოქმედების განხილვას ეთმობოდა ყველაზე მეტი ადგილი სტატიაში, რომელშიაც ჩვენი ჟურნალის უამრავი ავტორი იყო მოხსენიებული. ეს არ გამკვირვებია, რამეთუ კახას პოეზიის, მისი გამოსვლების შესახებ იმ დღეებში ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ აკადემიაში, მაგრამ...

მაგრამ ლიანა ოსიაშვილმა კახას შემოქმედებასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას შორის ისეთი პარალელები გაავლო რომ, პირდაპირ ითქვას, შეიძლება ზოგს ეს არასწორად გაეგო და ჩემი მეგობარი პლაგიატშიც კი დაედანაშაულებინა.

მიუხედავად ამისა, კახამ მოიწონა სტატია. დააბეჯითა: დიახ, უნდა დაიბეჭდოს, დიახ, უნდა გამოქვეყნდესო, რაც შეეხება აი, იმ ეპიზოდს, ჩემს შესახებ რომ წერს, იქნებ ზოგ რამეში იქ არ ვეთანხმებოდე, მაგრამ ბარათაშვილს პირველ ლირიკოსად ვთვლი, და მის გვერდით რომ ვარ მოხსენიებული, უკვე ეს, ჩემთვის დიდი პატივიაო.

სინამდვილე ისაა, რომ კახა ბაციკაძე უაღრესად თვითმყოფადი ხელოვანია (ისევე, როგორც „ზღვარის“ თითოეული წევრი), თუმცა, ამავე დროს, მას ღრმად აქვს შესწავლილი როგორც მსოფლიო კულტურის, ასევე, და უპირველეს ყოვლისა, ქართული კულტურის მიღწევები. ხოლო სწორედ ასეთი მიღწევათაგანია რუსთაველის, ბარათაშვილის, გალაკტიონის, გრანელის შემოქმედება. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მართლაც მონინახოს რაღაც პარალელები სრულიად დამოუკიდებელი და თანამედროვეობის ერთ-ერთი რჩეული პოეტის – კახა ბაციკაძის ნაწერებსა და ამ გენიოსთა ნაწერებს შორის. ახლა ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გარკვეულ შედარებას ვახდენ. არა, არა! მე, უბრალოდ, ერთი სტატიის ერთ საკითხს გამოვეხმაურე.

იმ სტატიის ბედი დადებითად გადაწყდა.

ესაა ნათელი მაგალითი გულნაზ ხარაიშვილის რედაქტორული ცხოვრებიდან, თან მისი განზოგადებაც შეიძლება: ამ მაგალითით აშკარაა საერთო ფონიც, – გულნაზისეული მმართველობა არის არა დიქტატორული, როგორც ადრევე აღვნიშნე, არამედ, ასე ვთქვათ, დემოკრატიულ-თანამშრომლური. იგი საჭოჭმანო საკითხებზე ყოველთვის მართავს თავისებურ თათბირებს, რამეთუ არ დაუშვას რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა.

და გულისყურით ისმენს სხვათა აზრს, ღრმად აანალიზებს ყოველივეს.

ასე ყალიბდება ის გადაწყვეტილებები, გულნაზისეული გადაწყვეტილებები, რომელნიც, პრაქტიკულად, ყოველთვის უშეცდომოა. მას ძალუძს ოქროს შუალედის გამოძებნა პრობლემათა დახლართულ ლაბირინთში.

გულნაზ ხარაიშვილის ფენომენის ერთ-ერთი საიდუმლო ის ჰარმონიული შერწყმაა სირთულე-სიმარტივისა, რომელზედაც უკვე ვილაპარაკე და რომელიც ესოდენ იკვეთება როგორც გულნაზის პიროვნებაში, ასევე – მის შემოქმედებაში.

აბა შეხედეთ, როგორი უბრალოა, სადა, გულუბრყვილო, ქალური ლირიკის ეს ნიმუში:

„არ მსურს, რომ მღვრიე დავლიო წყალი,
არც სხვის წყაროში ჩავკლა წყურვილი...
მე ვარ კეთილი, ალალი ქალი,
ჩემი დალატის რად გაქვს სურვილი?!“

ხომ ასეთი უბრალო სტრიქონებია, ხომ ვითომ არაფერი, და მაინც...

მაინც აქვს ამ სტროფს რაღაცა გამოუცნობი ჯადოხიბლი. კარგა ხანს ვფიქრობდი, თუ კონკრეტულად რით მხიბლავდა იგი;

და ასე გადავაწყდი კიდევ ერთ სირთულეს სიმარტივისას.

რით, მაინც რით მხიბლავს ეს უბრალო ოთხსტრიქონედი? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს. კითხვა კაი ხანს რჩებოდა უპასუხოდ.

მერე კი ჩაეწვდი სიმართლეს.

ვიპოვე, მგონი, გასაღები სტრიქონისა.

გავშიფრე პატარა ლექსი-გამოცანა.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ სტრიქონებში კარგად ჩანს პიროვნება უბრალო, მაგრამ დიდბუნებოვანი ადამიანისა. აი, პოეზიით გადმოცემული ეს პიროვნებაა, თუ პიროვნულობაა თვითონ, რომ მხიბლავს მე, რომ ხიბლავს მკითხველებს ზოგადად.

ახლა წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ერთკუპლეტას, პატარა ლექსების დიდი ოსტატის შემოქმედებიდან:

„გავცქერ, ოცნების იმედებით,

ზეცის ვარსკვლავებს,

ცის საუფლოში რომ მოსულან

წითელ ნიყვებად...

მეჩვენება თუ,

ერთი უფრო ძლიერ ვარვარებს,

სადაც წავედი,

მისი სითბო ყველგან მიმყვება...“

ამ ლექსის სათაურია „ცის საუფლოში“. სახისმეტყველება, მისი, იმ დონემდე აღწევს, რომ სიტყვა „შედევრი“ აქ მყარად, ნამდვილად შეიძლება ითქვას.

დაახლოებით ამგვარი შინაარსის ლექსი რამდენიმე გამიგონია. ეს მაინც ყველასგან განსხვავდება, და არ ვიცი, არის თუ არა თანასწორთა შორის უპირატესი, მაგრამ ვარსკვლავთციალით სავსე ღამეულ ცასავით რომ დედოფლობს, ეგ კი ნამდვილია.

საერთოდ, ცის საუფლო ის სამყაროა, სადაც ყოველთვის მიიღტვოდა (და მიიღტვის) პოეტის სული.

აი, რას წერს ჩემს მიერ უკვე მრავალჯერ ნახსენები კაცი-ლეგენდა ტერენტი გრანელი თავის ერთ-ერთ ლექს-მინიატურაში:

„მე მივმართავ მთელს მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

მე მინდა გაფრენა.

მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი.

ჩარჩენილი ვარ, ბავშვივით, ამ ცოდვილ ქვეყანაზე.
და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც
ეწოდება მიწა.

არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაც სხვა.

ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის. გარეთ ისევ
ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მინას, და ისევ
სიმორეხე ტირის როიალი“...

ესაა დასასრული გრანელის ერთ-ერთი საუკეთესო მინ-
იატურისა: გულიდან სისხლის წვეთები. ამაზე უფრო ცნო-
ბილი-პოეტური ჩანახატი მგონი მას არც დარჩენია.

ესაა თავისებური მანიფესტი და ფილოსოფიური ხედვა
პოეტი-ფანატიკოსისა, რომელიც ცას მიჩერებული ლურჯი,
მეოცნებე მხერით დაამახსოვრდა ჩვენს ხალხს.

სურვილი გაფრენისა, – სურვილი ზეცისკენ ლტოლვის.

სრული უარყოფა მიწიერების.

პოეტი-იდეალისტის კლასიკური სახე, – აი, ესაა ტერენტი
გრანელი.

ბარათაშვილის მსგავსად, იგიც ეტრფოდა „ლურჯსა
ფერს, ცისა ფერს“, იმიტომ, რომ მიწიერებას გასცლოდა და
ლაჟვარდებში დაედო ბინა.

ვერა, ისევ ვერ ავცდი ამ ლირიკულ სამებაზე ლაპარაკს,
– გალაკტიონიც, ჩვენი გალაკტიონიც აქვე უნდა ვახსენო,
ისევ უნდა ვახსენო, თორემ სრულყოფილება დააკლდება
ამ წიგნს, თუ წიგნის ამ გვერდებს (ისედაც ხომ არა მაქვს
პრეტენზია სრულყოფილი ნაშრომის შექმნაზე). გალაკტიო-
ნი უნდა ისევ გავიხსენო უსათუოდ, რამეთუ ამ ნაშრომში
ერთგან აღვნიშე, მას თეთრი ფერი უყვარდა-მეთქი. ხოლო
არ მინდა მკითხველმა იფიქროს, რომ მე არ ვიცი: ლურჯი
და ცისფერი, ანუ ზეციური ფერებიც რომ ასევე იზიდავდა
გალაკტიონს.

„აქ მრავალია ცისფერი ფერი,

ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,“ –

წერს იგი.

ზეცა თვითონ არის უმაღლესი მშვენიერება ანუ უმაღლესი პოეზია, რადგანაც ზეცა ღმერთითაა სავსე.

ზეცის ცქერისას ადამიანის სულს ადავსებს ხოლმე სამყაროს სრული განცდა, რამეთუ არაფერია ასე უსასრულო, ასე მარადიული, როგორც ეს ღურჯი გუმბათი, დედამიწისთვის რომ გადმოუხურავს ღმერთს, თანაც, თავისივე სახლად რომ უქცევია, – ხომ ზეცაა მისი უკვდავი საბინადრო, და – გული ადამიანისა.

ასე შეემსგავსა ერთმანეთს ზეცა და გული.

ასეთია კავშირი ადამიანისა ცასთან.

ამიტომაც არის, რომ ადამიანი ზეციური არსება უფროა, ვიდრე – მიწიერი, და ამიტომაც ძალუძს მას (ადამიანს) პოეზიის ქმნადობა, ანუ ქმნადობა საღვთო ხელოვნებისა.

ზეცა, მნათობები, მთები, – ამათ მშვენიერებას თუ ვერ განიცდის პოეტი, მაშინ იგი პოეტი არცა ყოფილა.

რალა თქმა უნდა, ქალბატონი გულნაზიც ავსებულა ზეციური მარადისობის განცდით, ოღონდაც, ამჯერად იგი ღამეულ ცას გვიხატავს, უფრო მუქი რომაა, მეღნისფერი უფრო, ვიდრე ცისფერ-ღურჯი, მაგრამ ეს ცა გადავსებულია ვარსკვლავებით, მარადისობის მანათობელ ბინადრებად რომ ქცეულან, სოკოებივით რომ შესევიან ზეციურ ველს.

და აი, კიდევ გაჩნდა თოთხმეტმარცვლოვანი სტრიქონინახატი: „ცის საუფლოში რომ მოსულან წითელ ნიყვებადო“. ნიყვი ერთ-ერთ ყველაზე გემრიელ სოკოდაა მიჩნეული. ეს პოეტური სახეც მსუყეა, გემრიელი, დაუფიწყარი. მას მართლაც სჭიდება დაგემოვნება, სჭირდება კარგი დეგუსტატორი-ლიტერატორი შეფასებისათვის.

ბოლო ორი ხაზი სიმბოლურია უფრო, რთულია თქმა-გამოცნობა იმისა, თუ ვინ ან რა იგულისხმა იმ შუქურვარსკვლავეში პოეტმა, ასე მოუშორებლად რომ გაჰყოლია თან მისი სიტბო-სინათლე.

მე ერთი ისღა შემიძლია ვთქვა, რომ ეს ღექსი, მთლიანობაში, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ის კი არა, მას

მერე, რაც წავიკითხე, ვარსკვლავებიან ცას რომ გაეხედავ, ხშირად მაგონდება ხოლმე ეს სტრიქონები.

აქვე არ მინდა გამომეპაროს რითმაც: „ნიყვებად-მიმყვება,“ რადგან ეს რითმა ან სრულიად ახალია ლიტერატურაში, ანდა – ძალზე იშვიათია. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, – უსასრულო რაოდენობის წიგნთა წამკითხავ კაცს, ეს გართმევა სხვაგან სადმე რომ მენახოს, ამწუთას არ მახსენდება.

სრულს სიახლეობას მაინც ვერ დავაზუსტებ.

რაგინდ კარგი მეხსიერება ჰქონდეს ადამიანს, რამეს რომ ამბობს, უკანდასახევი გზა მაინც უნდა დაიტოვოს,

თუმცაღა, –

ეს რომ იშვიათი რითმაა, ამას კი დანამდვილებით ვიტყვი.

რაშიც ვინდათ შეედავეთ გუღნაზ ხარაიშვილის პოეზიას, მაგრამ იმას მაინც ნურავინ იტყვის, რომ თითქოს ამ ადამიანს ძლიერ პოეტურ სახეთა შექმნა არ ძალუძს! როდესაც მე მის ლექსთა რაღაც ნაწილს შედევერებად მოვისხენიებ, უპირველეს ყოვლისა, მისი პოეტური სახეები მაქვს მხედველობაში. სახისმეტყველება უდავოდ მაღალოსტატურია, ხოლო როცა ამას სიყაღბის იგნორირება ემატება, როცა ნამდვილია გრძნობა, ხელთ გვაქვს ჭეშმარიტი ლექსი.

საერთოდ, ვაღიარებ, რომ მე მჩვევია გადაჭარბებული ქება ადამიანისა. ამ ცივ ღროში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, თბილი სიტყვაც წამალია ხოლმე, და იგი როგორ უნდა დაამადლო ადამიანს;

მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ამწუთას მართლა ასე ვფიქრობ, – ქალი პოეტის კვალობაზე გუღნაზ ხარაიშვილი მართლა მაგარია, მეტიც: ერთ-ერთი საუკეთესოც არის. მისი პოეტური აზროვნება, როგორც ქალისა, ხანდახან განსაცვიფრებელ სიმაღლეებს აღწევს. აგერ დასტურად ერთი ლექსიც, რომლის მხოლოდ დასაწყისში შექმნილი პოეტური სახეც კი ასაბუთებს, ამტკიცებს ამ შეფასების ჭეშმარიტებას:

„ ჩემი იმედის მყარო კედელი,
უღალატო და სულის ზიარო...
ნამდვილ ძმასავით ფიქრის ედემო,
რაც დაგვრჩა, წლები, ერთად ვიართო.
ბევრჯერ გამკაწრა ბედმა ეკლებით,
ბევრჯერ დამდინდა მღუღარე ცრემლი.
დაუფიქრებლად თავზე მეველები,
გულის ტკივილი შენ გესმის ჩემი.
გთხოვ, ნუ გამკიცხავ, ოდნავ თუ მაინც... –
შენც დაგიმალე, ჩემი დარდები.
წუხილს ჩაკედავ და შენ გჩუქნი დაისს...
ათჯერც რომ მოგკვდე, ფეხზე ავდგები...“

გასაგებია, რომ სიტყვა „შედევრს“ ჩემნაირი გულანთე-
ბული ადამიანები ზომასზე მეტჯერ წარმოთქვამენ ხოლმე;

მაგრამ გაუგებარია, სხვა რაღა დამრჩენია, სხვა რაღა
უნდა ვთქვა, თუკი ეს ლექსიც ნამდვილ შედეგად მიმან-
ნია. მეტიც, – ეს შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე უფრო გან-
საკუთრებული ქმნილებაც იყოს ქალბატონი გულნაზის
ღირიკაში.

„ჩემი იმედის მყარო კედელი,
უღალატო და სულის ზიარო,“ –

რთული წარმოსადგენია, რა უნდა თქვას ადამიანმა
ამაზე უფრო ღამაზი, რა შეიძლება გიწოდოს უმეტეს ად-
მატებულად! არადა, არ ვიცი, თუ ვინაა ლექსის ადრესატი.
სავარაუდოდ, იგი ერთ-ერთი თანამებრძოლია გულნაზ ხარა-
იშვილისა, რომელიც წლების განმავლობაში მხარში უდგას
მას, დიდი მიზნების შესრულების ურთულეს საქმეში.

მეორეს მხრივ, შეიძლება სრულიადაც არ იყოს ასე, და
ადრესატი, უბრალოდ, წარმოსახვაში შექმნილი პიროვნეა-
იდეალი იყოს. იქნებ იგი სულაც არ უკავშირდება რეალო-
ბას. მითუმეტეს, რომ ლექსს არ აწერია სათაურის ქვეშ, თუ
ვის ეძღვნება.

მაშ, პირველი სტროფი გაუხუნარი ბგერწერაა.

მეორე სტროფის დასაწყისშივე კი, ხელის ერთი მოს-

მით, პირველ ორ სტრიქონშია მოქცეული ტკივილით სავსე მთელი ცხოვრება პოეტისა.

მესამე სტროფში დახატულია ადამიანი, როგორც ნებისყოფის ზეიმი, რომელიც საკუთარ პიროვნებაში ახშობს ყოველგვარ დარდს, აღმატებულია ნებისმიერ ტკივილსა ზედა, რომლისთვისაც სიკვდილიც არაა დასასრული, რამეთუ სამანდაუდებელია გამობრძმედილ-გამოწრთობილი ნებისყოფა. ხოლო როცა არსებობს ნება ჭეშმარიტი, უკან იხევს დასასრული.

ესაა დრო ფიქრისა და ქმედების.

ესაა დრო მარადისობის.

ეს უკვე სხვა სფეროა აზროვნებისა.

და გულნაზ ხარაიშვილი თავისი პოეტურობითა და პიროვნული სიძლიერით მამაკაცური აზროვნების სამფლობელოში გადადის რამდენჯერმე...

ადამიანის შინაგანი ძალა-ნებისყოფის თეორია მთელი ფილოსოფიაა, რომელიც ყველაზე უკეთ, ალბათ, მაინც გერმანელმა ფრიდრიხ ნიცშემ დაამუშავა თავის კაპიტალურ ნაშრომში – „ასე იტყოდა ზარატუსტრა.“

აგერ ახლა წამომაგონდა ერეკლე ტატიშვილი და ნიკო სამადაშვილი, ერთ-ერთი პირველი ქართველი ნიცშეანელები რომ იყვნენ თავიანთი ცხოვრების რაღაც ეტაპზე. ერეკლე (ერეკლე მესამესაც ეძახდნენ, თურმე საახლობლო წრეში), საერთოდ, გერმანოფილი იყო და ფანატი გახლდათ ევრო-გერმანული ფილოსოფიისა. თანაც, მასზე უფრო განათლებული კაცი იქნებ არც მოიძებნებოდა იმდროინდელ საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, რჩეულთა შორის ნამდვილად ერია.

ერეკლე ტატიშვილი და ნიკო სამადაშვილი პოეტი-ფილოსოფოსები იყვნენ, ლიდერები თავიანთი წრისა. პირველი ფილოსოფიაში სჭარბობდა მეორეს, მეორე – პოეტობაში. ამიტომაც ერთი ფილოსოფოსად დარჩა ხალხის მასსოვრობაში, მეორე კი – პოეტად.

არცერთის ცხოვრება არ შედგა.

მაგრამ ორივემ შექმნა თავისი ლეგენდა.

ტატიშვილმა ყველაზე მყარად დაამკვიდრა ნიცშე ქართულ ცნობიერებაში...

კანტი. ჰეგელი. ნიცშე.

და ჯამი ყოველივე ამისა – ზეკაცის თეორია.

ზეკაცს სხვადასხვანაირად განმარტავენ. ხანდახან იგი ღმერთკაცადაც მოიაზრება. თუმცა, ძირითადად, განსხვავებული ინდივიდია.

ღმერთკაცი რელიგიურ-მორალური ფიგურა უფროა.

ზეკაცის მთავარი ნიშანი კი უკიდურესი ძლიერებაა, ძლიერება როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური. მთავარი აქცენტი მაინც სულიერ ძალაზე კეთდება. მისი შინაგანი ძლიერება განუსაზღვრელად დიდია, უმადლესი. ესაა ადამიანი-ნებისყოფა, ნებისყოფის ზეიმი, ნიჭის, შრომისმოყვარეობის, გენიალურობის სიმბოლო.

ზეკაცის ნიჭი გენიალური ნიჭია.

მისი ნებისყოფა ცხოვრებისეულ ჯოჯოხეთშია გამოკვერილი.

ზეკაცი ტანჯვის შვილია, რომელიც აკონტროლებს როგორც საკუთარ თავს, ასევე – მასებს.

აი, ასეთი უძლეველი სახე-ხატი შექმნა თვითონ ზეკაცმა ნიცშემ, რომელიც საკუთარმა ცხოვრებამ და იდეამ შეიწირა ბოლოს.

პიროვნება მოკვდა.

მაგრამ იდეა დარჩა უკვდავი.

დარჩა ზეკაცი (ხანდახან – გაღმერთკაცებული), რომელიც თითქოს უპირისპირდება პოეზიას და პოეტებს, სინამდვილეში კი თვითონაც პოეტია.

ზეკაცი არ ცნობს ქალურ გონიერებას. მისთვის არსებობს, ამ კუთხით, მხოლოდ ქალური გრძნობა, რომელიც განსხვავდება პოეტური გრძნობისაგან. მამაკაცისა და ქალის არსებობათა აზრი-მიზანი, როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდება ზეკაცისათვის. მისთვის ქალი, საერთოდ, არაა სერიოზულად აღსაქმელი არსება, მაგრამ...

მაგრამ თვითონ ქალთა შორის კი ზეკაცის თეორიამ დიდი ინტერესი გამოიწვია, და მათაც დაიწყეს, საკუთარ პიროვნებებში, ზეადამიანის ძიება. ნებისყოფა ქალისთვისაც იქცა ფრიად დამაფიქრებელ სიტყვად.

მსოფლიო ისტორიას შემორჩა სახე რამდენიმე ქალისა, რომელთაც „რკინის ლედის“ უწოდებდნენ. ასეთი ზედწოდებით გამოიხატა ამ ადამიანთა უდიდესი პიროვნული სიძლიერე, ძალმოსილება.

ხოლო როცა ლიანა ოსიაშვილმა „რკინის ლედი“ გულნაზ ხარაიშვილს უწოდა, იმავეწამს გამახსენდა, ვთქვათ, მარგარეტ ტუთჩერი, ასევე – ინდირა განდი და...

მეტისმეტეტი ხომ არ არის–მეთქი, ვიფიქრე.

მაგრამ მერე ეს სტრიქონები გამახსენდა:

„წუხილს ჩაკვლავ და შენ გჩუქნი დაისს,
ათჯერც რომ მოვკვდე, ფეხზე ავდგები.“–

მართლაცდა ზეადამიანის სულისკვეთებითაა გაუღენთილი, თითქოს კი არ დაუწერია ავტორს, არამედ საკუთარი სისხლით ამოუსვირინებია გაფითრებულ ფურცელზე.

ან განა მე თვითონ არ ვიყავი იგი, ვინც ქალბატონ გულნაზს ქართული კულტურის თამარ მეფე უწოდა?!

და განა თამარ მეფეც თავისებური რკინის ლედი არ იყო? მაშ სხვაგვარად როგორ შეძლებდა იმხელა სამეფოს გაძღოლას, – მაშინდელი საქართველო ხომ თავისი დროის მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფო გახლდათ; დავით დიდი აღმაშენებლისა და თამარის სამეფო დღემდე ხომ ოქროს სახელმწიფოდ არის დარჩენილი ქართველი კაცის ცნობიერებაში და იმ პერიოდს, იმ დროს, ოქროს ხანას ვუწოდებთ ხოლმე ახლაც!

ყურადღება უნდა გავამახვილო ერთ სტრიქონზედაც:

„წუხილს ჩაკვლავ და შენ გჩუქნი დაისს!..“

თავიდან ვიფიქრე, რომ აქ „აისი“ უფრო აჯობებდა, ანუ – მზის ამოსვლა, ულამაზესი დრო სიხარულის, ვარდისფერი ღლის დაბადება, ღამაში ზეიმი დედაბუნების...

მაგრამ მერე, როცა უფრო ღრმად ჩავაკვირდი ლექსს, რო-

მელიც მიუხედავად ოპტიმისტური ფინალისა, მთლიანობაში დიდი სევდა-ტკივილის დამტკეია, მივხვდი, – პოეტმა ზუსტად შეარჩია ის სიტყვა, რომელიც დაწერა.

ღიას, არა „აისი“ – მზის ამოსვლა, არამედ „დაისი“ – მზის ჩასვლა.

ყველაზე დიდი სილამაზე და მისტიციზმი, მე, პირადად, მზის ჩასვლამ განმაცდევინა, როდესაც კურორტ ბახმაროს მთიდან ვუცქერდი ამ შეუდარებელ მოვლენას.

ერთ-ერთი მითის თანახმად, მსოფლიოს ცენტრი ან ჰიმალაის მთებში უნდა არსებობდეს სადმე, ან – მყინვარწვერის სივრცეებში, ან არადა – ბახმაროს მთებში.

მქონდა ბედნიერება, რომ ამ კურორტზე უამრავჯერ ვყოფილიყავი და ავსულიყავი მის ყველა მწვერვალზე. აი, იქ სულ სხვა ხიბლი აქვს მზის ამოსვლებს და ჩასვლებს. ეს ვარდისფერი პოეზიები იქ სულ სხვა ძალით ზემოქმედებს ადამიანზე, იქ, პირდაპირ იმ მთებში როცა ხარ, მაშინ!

და მზის დაბადება ხომ მშვენიერებაა თავად, მაგრამ მერწმუნეთ, – მთებმა მითხრეს, რომ მზის სიკვდილი ეგებ კიდევ სჭარბობდეს მის დაბადებას მშვენიერება–სიდიადით, რამეთუ ამ შემთხვევაში სიკვდილი უკვდავებასთან, მარადისობასთან ასოცირდება უფრო.

ზოგიერთი ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის ცხოვრებას მარადიულ განმეორებად ხედავს: სიცოცხლე-სიკვდილი-სიცოცხლე-სიკვდილი-სიცოცხლე... და ასე უსასრულოდ. სიცოცხლე ზოგჯერ ზუსტად მეორდება, ზოგჯერ კი – გარკვეული ცვლილებებით. ამ მოძღვრების დამუშავება-სრულყოფაზე მრავალი დრო დაუკარგავს მრავალ გონებას.

მზის ჩასვლა-ამოსვლა მაგონებს მე სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პროცესს.

დღეს იმიტომ ჩადის მნათობი, რომ ხვალ ისევ ამოვიდეს, ანუ მისი სიკვდილი აღდგომის საფუძველია, აღდგომის საწყისი.

ღმერთკაცი იესოს სიკვდილი მისი აღდგომა-გამარ-

ჯვების დასაწყისი აღმოჩნდა.

მზის ჩასვლას მაინც თან დაჰყვება, ყოველთვის, რაღაცა განუკურნელი სევდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იგია, სწორედ, უმშვენიერესი და უდიდესი საოცრება სამყაროსი.

ამიტომაც წერს პოეტი „დაისს გაჩუქებო“, – ასეთი სიმბოლურობით სავსე და მარადიული საჩუქრით აჯილდოებს იგი მისთვის ძმასავით გამორჩეულ პიროვნებას.

ახლა გავისხენოთ ის სიტყვები, თავისი საუკეთესო პერსონაჟის – პატარა უფლისწულის შესახებ რომ დაწერა ანტუან დე სენტ ეკზიუპერმა:

„ასეთმა ძალაუფლებამ აღტაცებაში მოიყვანა პატარა უფლისწული. მას რომ ამდენი ძალა ჰქონოდა, მზის ჩასვლას ორმოცდაოთხჯერ კი არ იხილავდა, არამედ – სამოცდა-თორმეტჯერ, ასჯერ და ორასჯერაც კი, ისე, რომ ერთხელაც არ გადაადგილებდა სკამს. თავის მიტოვებული პლანეტის მოგონებაზე პატარა უფლისწულს სევდა შემოაწვა და ამან გააბედინა, რომ ეთხოვნა:

– მინდოდა მზის ჩასვლა დამენახა... მოიღეთ მოწყალება... უბრძანეთ მზეს, რომ ჩავიდეს.“

ხედავთ, როგორ არის?

პატარა უფლისწული საკუთარ მსუბუქ მელანქოლიას, რომელიც ნელ-ნელა მიიმდება და უახლოვდება შავი მელანქოლიის საზღვრებსაც კი, უდიდესი პოეტურობით, პოეზიით, ანუ – მზის ჩასვლით მკურნალობს, მნათობის ჩასვლის ცქერით მკურნალობს.

მზის ჩასვლა არის სიკვდილიც, და ახალი სიცოცხლის დაწყების საფუძველიც.

და პოეზიაც ასეა, – იგია სიკვდილიცა და სიცოცხლაც – ერთად, იქნებ: რაღაც, უფრო მეტიც.

როგორც ჩანს, ქალბატონ გულნაზსაც ხშირად განუკურნავს საკუთარი მრავალგზის დასერილი გული მზის ჩასვლის (დაისის) ცქერით. ამიტომაც თუ სჩუქნის იგი, დაისს, სულიერ მეგობარს, – როგორც მე მშველის ეს სასწაული, ეგებ შენც ასე დაგიცხროს ტკივილებიო. დაისი ხომ ვარდ-

ისფერი პოეზიაა: ერთ-ერთი უღამაზესი, პოეზიათა შორის. ლურჯი, ვარდისფერი და თეთრი, – ამ ფერთა პოეტურობას, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მეტი ქარიზმა აქვს.

ისმის კითხვა: რომ დავანებოთ თავი გულნაზ ხარაიშვილის საზოგადოებრივ დეაწლს, და მხოლოდ მის ხელოვნებაზე ვისაუბროთ, რომელი ქმნილებაა მის შემოქმედებაში ნომერი პირველი?

პირდაპირ ვამბობ: არ ვიცი.

მის წიგნთა შორის, როგორც უკვე ვთქვი, „მზის მკლავებში“, ალბათ, საუკეთესოა. აი, რომელია პირველი ლექსი, ამას კი მიახლოებითაც ვერ ვამბობ.

რამოდენიმე ლექსია, ერთად, საუკეთესო.

და ერთ-ერთი მათგანია, სწორედ, „იმედის კედელი.“

მაგრამ გულნაზის პოეზია ვრცელია და მრავალფეროვანი. იგი არაა რომელსამე კონკრეტულ ქმნილებაზე (თუ – კონკრეტული ქმნილების გარშემო) აგებული. აქ ცენტრალური ლექსი, გული-ლექსი არ არსებობს, რამეთუ აქ ყველა ქმნილება გულია პოეტისა, ყველა ღირიკული ნაშრომი შვილივით უყვარს. ესენია მისი სიკვდილ-სიცოცხლეები.

ბეჟან ხარაიშვილს უთქვამს ასეთი ფრაზა-პოეზია: ყველაზე დიდი სასაფლაო გულიაო.

ათასნაირად შეიძლება ამ ფრაზის გაგება.

გული-სასაფლაო... დაუვიწყარი ნათქვამია იმ ადამიანისაგან უფრო, რომელსაც სამი ათეული წელიც არ უცხოვრია.

მე რაღა უნდა დავამატო ადრე წასული პოეტის ნათქვამს, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ გულიც, როგორც დაისი, პოეზიაა, და პოეზიისებრ, იგიც არის სიკვდილი და სიცოცხლე ერთად.

ხოლო თუკი მაინც სასაფლაოა, მაშინ გულნაზ ხარაიშვილისათვის ცენტრალური ლექსი ანუ გული-ლექსი ვერ იარსებებს, რამეთუ იგი ლექსს ვერ მოიაზრებს სასაფლაოდ. თუმცა, აი, მეორეს მხრივ...

მეორეს მხრივ, ახლახანს თვითონვე ვწერდი, რომ ყველა ქმნილება გულია პოეტისა-მეთქი.

მაშ საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები?
სადღაა აქ ჩემი ლოგიკური აზროვნება?
სადღაა ჩემი სიმართლე?

საქმე იმაშია, მკითხველო, რომ პოეტის ლოგიკა, ხანდახან, განსხვავდება მეცნიერის ლოგიკისაგან. არა, ხანდახან კი არა, საკმაოდ ხშირადაც. პოეტური ლოგიკა უფრო რთულია და წინააღმდეგობრივი, მაგრამ უფრო მშვენიერია მაინც, – წინააღმდეგობრიობა ვერ ანგრევს პოეზიას. პირიქით. აი, მეცნიერებაში კი წინააღმდეგობრიობის დაშვება გაცილებით უფრო იშვიათად უწევთ. ზუსტი მეცნიერებანი ასეთ რამეს ურთულესად ჰგუობს. ფილოსოფიას რაც შეეხება, იგი ყველაზე უფრო ახლოს დგას ხელოვნება-პოეზიასთან, ამიტომ ფილოსოფოსი-მეცნიერი, პოეტურობის ხათრით, მაინც კიდევ ცდილობს წინააღმდეგობათა გათავისებებს.

ფილოსოფიამ, როგორც მეცნიერება-ხელოვნების ნაზავმა, ყველაზე უფრო კარგად განავითარა ანალიტიკური უნარი გონებისა, მაძიებლური აზროვნება ადამიანის, და წარმოშვა ყველა სხვა მეცნიერება.

პოეზიამ, როგორც ყველაზე პოეტურმა ხელოვნებამ (მუსიკასთან ერთად, რომელიც თითქმის ასევე პოეტურია), განავითარა აზროვნება პოეტური, და წარმოშვა ყველა სხვა ხელოვნებანი, რამეთუ ისინი ამგვარ აზროვნებაზეა ამოშენებული.

მეცნიერისათვის ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნებაა მთავარი, რამეთუ ამას ეფუძნება მეცნიერებანი.

ხოლო პოეტისათვის პოეტური აზროვნებაა უპირატესი, მისი ლოგიკაც კი პოეტურობას ექვემდებარება.

მე ძალზედ ვაფასებ ყველას შრომას, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, მეცნიერთა შრომასაც, მაგრამ აქვე ვიტყვი, – ხანდახან მათ უჭირთ ჭეშმარიტი პოეზიის შეცნობა, თუმცაღა მაინც ჯიუტად ცდილობენ, რომ ამ საკითხშიც კი აქეთ დაგარიგონ ჭკუა. აგერ მაგალითი: ერთ-ერთი მეცნიერი მიმტკიცებდა, რომ გოგა არაბულის ლექს-შედეგურში („სინათლის ფერფლი“) არანაირი აზრი არ არისო.

„ჯვარ-ცანი, თვითონ, არ არის კაცში,

და კაცი არის მუდმივი მრევლი,“ –

აბა რა აზრი შეიძლება იყოს სიტყვების ამ უბრალო თამაშშიო, ეს, უბრალოდ, გარკვეული პოეტურობის შექმნის მცდელობა არისო.

მე კი იმდენი აზრი დავინახე ამ ორ სტრიქონში!..

და ერთ-ერთი ახსნა შევთავაზე: პოეტი გვეუბნება, რომ ადამიანში არ არის ჯვარი და ზეცანი, ანუ მასში არაა განცდა ღმერთკაცისა. ასე მოწყდა კაცი, დღესდღეობით, უმაღლეს იდეას (იმ ღმერთკაცს, ზეკაცსაც კი რომ აჭარბებს თავისი სიდიადით), ასე დაკარგა შეხება უზენაესთან, ამიტომაც ადამიანი მუდმივად რჩება მრევლის დონეზე, ხოლო მოძღვრის დონემდე ვეღარ ამალღებულა. მაშ, ჩვენს გულში, ჩვენს სულში დაკარგულა უფალი (იესო), დარჩენილა იქ მხოლოდ სიცარიელე, მაგივრად უფლისა, და ესააო ჩვენივე მთავარი უბედურება, – დაახლოებით ამას ამბობს–მეთქი, გოგა, თავისი სტრიქონებით.

გაოცდა ის მრავალმხრივი მეცნიერი: თავს, უწინარესად, ფილოსოფოსს ეუწოდებდი, აქ კი ამხელა ფილოსოფია ყოფილა ჩადებული, – როგორ ვერ დავინახეო!

მე ვუთხარი: იმიტომ, რომ ეს პოეტური ფილოსოფიის ნაწილია, ესე იგი, ჩვენი, – პოეტების საქმე უფროა-მეთქი; მაგრამ თუ ვერ შეიცან რაც იქ ეწერა, გრძნობით კი მაინც უნდა გეგრძნო-მეთქი სტრიქონთა სილამაზე.

მართალი ხარო, – მითხრა და საზეიმოდ ჩამომართვა ხელი.

ღიახ, როგორც ერთმა ბრძენკაცმა თქვა, პოეზია საგრძნობელი უფროა, ვიდრე საცნობელი.

თავიდან ბოლომდე გრძნობაა, მაგალითად, გუგუნაზ ხარა-იშვილის ეს ქმნილება:

„ ზღვაში გავცურე, გავყევი ტალღას,
მომენატრე და ფიქრებს ვართობდი,
ვერსად გიპოვნე, ვიგრძენი დაღლა,
მიღმის იქიდან, ვგრძნობდი, მათბობდი.

დახმარებისთვის მიემართე უფალს, –
მომაკებნინე, ჩემო გამჩენო!

– სატრფოს დაეძებ?... აქ უზის სუფრას,
თუ გულისთ გიყვარს, უნდა გაჩვენო...
ნახვის იმედით ვათიე ღამე,
ღვთისგან არ დავრჩი გაურიყავი, –
შემომღიმღილა სარკმელში მთვარემ,
დავაკვირდი და... ეს შენ იყავი...“

ეს ლექსიც აუცილებლად უნდა მოვისხენიოთ გულნაზ ხარაიშვილის საუკეთესო ლირიკულ ქმნილებათა შორის. მე რომ შევადგინო რჩეული წიგნი-კრებული მთელი მისი შემოქმედებიდან, ამ ლექსს აუცილებლად შევიტანდი იქ.

რა შეიძლება ითქვას ამ ქმნილების შესახებ:

დავიწყით იმით, რომ როგორც ჩანს, ავტორმა იგი უძღვნა გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნა-სიყვარულს. უკვე ეს ფაქტი, ეს სამარადისო ერთგულება, მოწიწებით, პატივისცემით განგვაწყობს ავტორისადმი.

პოეტი ზღვას მიმართავს, რათა როგორმე დაიცხროს დაკარგული სიყვარულისაგან გამოწვეული ტკივილი გულისა, და ზღვის სივრცეში, როგორც სრული სამყაროს სიმბოლოში, დაეძებს დაღუპულ სტროფს.

ისევ ეკზიუპერის უკვდავი პერსონაჟი მახსენდება, რომელიც ამბობს:

– „როცა ადამიანს უმძიმს, მზის ჩასვლის ცქერა უყვარს“...

მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი სიმბოლო, – რეალური თუ ირეალური, სიზმარ-ცხადი მზე, მეორე მარადისობას – ზღვას შეუცვლია. უწყვეტია ბუნების კავშირი ადამიანთან. მთელი სამყარო ცდილობს დაეხმაროს მარტოსულს, რათა მან იპოვნოს სატრფო, რომელიც თითქოს არსად არის, მაგრამ მისი არსებობა სულ იგრძნობა, – „მიღმის იქიდან, ვგრძნობდი, მათბობდიო“, – ეს სტრიქონი ყველაზე საუკეთესოა პირველ კუპლეტში, რადგანაც პოეტური გრძნობა-განცდის ჭეშმარიტებითაა გამოკვეთილი. ის რომ არაყალბია, უნამდვილესი, და

პირდაპირ გულზე გადის, ეს ერთი საკითხია. სხვა საკითხია, ნელ-ნელა თუ როგორ ირღვევა, ლექსში, თითქოსდა გადაულახავი ჯგებრი, რომელიც აღმართულა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ორი საპირისპირო სამყარო გაერთდება, გაერთარდება, მაგარამ უფალი-ღმერთის გარეშე ვერ მოხდებოდა ასეთი რამ.

ლექსის ლირიკულ გმირს, ყველაზე უფრო, უფლის იმედი აქვს სწორედ, და მასვე სთხოვს დახმარებას.

უფალი დროებით მოსპობს ჯგებრს სიკვდილ-სიცოცხლეს შორის.

და ლირიკული გმირი, როგორც უკვე იცით, ხვდება სატრფოს, რომელიც მთვარის სახით ეცხადება მას.

ერთი უძლიერესია ლექსში გადმოცემული სიტყვანი უფლისა:

„სატრფოს დაექებ?.. აქ უზის სუფრას,

თუ გულით გიყვარს, უნდა გაჩვენო.“

ავტორის პოეტური წარმოდგენით, ამქვეყნიდან წასული დიდებული ადამიანები, იქ – ზეციურ საქართველოში, უფლის სუფრას უსხედან, და თვით ღმერთთან ერთადაც კი ქეიფობენ.

გამაოგნებელია ეს სურათ-ხატი. ასეთი გაადამიანურება უზენაესისა, ალბათ მხოლოდ ქრისტიანს შეუძლია, ქრისტიანს, რომელსაც ღმერთი ადამიანად გამოეცხადა მართლაც, სიტყვა კაცად იქცა ხოლო ეს კაცი შემდეგ ჯვარზე ავიდა. მან, ზეციურმა მეფემ, თავისი მიწიერი სიცოცხლე ჯვარზე დაასრულა, ეკლის გვირგვინით თავშემკობილმა.

ასეთი მახლობელი, ასეთი ადამიანურია ღმერთი ქრისტიანისათვის.

აკი არსებობს სიტყვა – ღმერთკაცი, აკი ღმერთისა და კაცის ერთობლიობა ერთ სხეულში, ერთ არსში, ერთ იდეაშია მოქცეული. და ღმერთკაცი იყო სწორედ იესო ქრისტე, – უდიადესი პოეტი-იდეალისტი სამყაროსი.

მაშ, კარგი ადამიანები კი არ კვდებიან, არამედ ისინი მიდიან უფალთან შესახვედრად, მიდიან, რათა ისე ამა-

დღდნენ, რომ ზეციურ სუფრაზე მასთან ერთად გატეხონ პური.

თუ გულთ გიყვარსო, ანუ თუ მთელი გრძნობით, მთელი არსებით გიყვარსო, მხოლოდ მაშინ გაჩვენებო სატრფოს, – ამბობს უფალი...

ჩემმა ერთ-ერთმა საუკეთესო მეგობარმა როცა დაწერა თავისი ლირიკული ქმნილება – „გრძნობა – როგორც სამყარო,“ მას მიაწერა ასეთი სიტყვები: „გული ხომ პატარაა, ამავე დროს – უღიადესია საოცრებათა შორის, რამეთუ იგი მიიჩნევა გრძნობის სათავედ“... (კახას ლექსის მინაწერი).

ჩემი მეგობრის მსგავსად, გულნაზ ხარაიშვილიც ადამიანის გულში ხედავს სამყაროს ცენტრს, რადგან გულია ღმერთით სავსე ზეცის ნაწილი, ადამის ძის მკერდში რომ ანათებს ჯადოსნური ფირუზივით თუ ბრილიანტივით.

და მართლაც ასეა, – თუ გულთ გიყვარს, ვერაფერი დაგაშორებს შენს რჩეულს. თვით სიკვდილიც კი უძღურია ჭეშმარიტი სიყვარულის წინაშე, რამეთუ სიყვარულია თვით უფალი, სიყვარულია თვით პოეზია.

გულნაზ ხარაიშვილის ლექსები მართლაც რომ გაცდილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ისინი შეიძლება ჩაუკვირვებულ თვალს ეჩვენოს. უბრალო ადამიანს ეს ქმნილებები თავისი გრძნობიერი სილამაზით მოხიბლავს, ხოლო ღრმად განსწავლულ კაცს მოხიბლავს გრძნობიერებითაც და იმ დაფარული ცოდნითაც, რომელიც ამ პოეზიაში ჩაბუდებულია, – სიტყვებში თუ სიტყვებს მიღმა.

მაგალითად, ლექსში „მონატრება“ („ზღვაში გაცეურე“...) იკითხება ღრმა ცოდნა მსოფლიო მითოლოგიისა და ფილოსოფიის. არა, რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ლექსი გრძნობაა, და სწორედაც როგორც გრძნობა, მშვენიერება, ჯერ ასე უნდა აღვიქვათ იგი, მაგრამ თუ მასში გულის გარდა გონებაც არის ამას რაღა სჯობს. (ასე იმიტომ არ ვმსჯელობ, რომ რუსთველმა პოეზიას „სიბრძნის დარგი“ უწოდა. ჩემი აზრით, მან სიბრძნეში მხოლოდ გონება არ იგულისხმა, და ეს მაშინვე გაარკვია, როცა დაამატა სიტყვა „სადვთო“.

რუსთველისეულ ბრძნობაში გონების სიბრძნესთან ერთად გრძნობის სიბრძნეც იგულისხმება, რამეთუ გრძნობის გარეშე პოეზია ვერ იქნებოდა საღვთო. ზოგს ჰგონია, რომ რადგან უდიადესმა ქართველმა, მეფე-ქართველმა, ლექსს „სიბრძნის დარგი“ უწოდა, მან, ამით, გონებრიობას გაუსვა ხაზი მხოლოდ. არა, ეს ასე არაა).

„მონატრება“ დიდი მითოლოგიის ნაწილი იქნებოდა, მას რომ კონკრეტული ავტორი არა ჰყავდეს;

და იქნებოდა ნაწილი ფილოსოფიისა, ასე სადად და ლამაზად რომ არ იყოს ლექსად ჩამოქნილი.

მითოლოგია უადრესი ხანიდან დასტრიალებდა იმ აზრს, რომ არ შეიძლება სიკვდილი იყოს აბსოლუტური დასასრული, მითუმეტეს – დასასრული სიყვარულისა. მახსენდება, მაგალითად, ბერძნულ მითოსში თქმული ამბავი ნახევრად-მითიური პოეტი-მუსიკოსის ორფევისა და მისი სატრფოს შესახებ. იქაც გარდაცვლილ სატრფოს დაექებს ორფევისი, – სწორედ ისეა როგორც გულნაზის ლექსში. როგორც ჩანს, პოეტებისათვის, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, არ არსებობდა გადაულახავი ბარიერი. პოეტებისათვის (და სატრფოთათვის) არასოდეს არსებულა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა.

რელიგიური ფილოსოფია საერთოდ არ აღიარებს სიკვდილს, როგორც დასასრულს. თითქმის არ არსებობს მსოფლიოში ისეთი რელიგია, რომელიც არ ქადაგებდეს სიკვდილისმიღმა ცხოვრებაზე.

რაც შეეხება თვითონ ფილოსოფოსებს, არც ისინი განიხილავენ სიკვდილს დასასრულად. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა მათგანი ასეა. ვთქვათ, სოკრატეს, პლატონს და არისტოტელს, ბლუზ პასკალს, ჰეგელს, როგორც ჩანს, გარდაცვალება სასრულად არ მიაჩნდათ. გიორგი გურჯივეცი, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ბერძნულ-ქართულ-ტიბეტურ თუ, ზოგადად, ევრაზიულ კულტურას, არ განიხილავდა სიკვდილს გადაულახავ წინაღობად. ამ საკითხში იგივე აზრისა იყო დიდი ინდოელი პოეტი-რელიგიოზი, ფი-

ლოსოფოსი რაბინდრანატ თაგორი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

და თუკი სტრიქონი სისხლია პოეტისათვის, რომელიც ცხოვრობს პოეტის გულში, არტერიაში, მის ვენებში, თუკი სტრიქონებისგანაა ქმნილი მთელი სხეული და სული პოეტისა, მაშინ ლექსი შეუმცდომლად მიაგნებინებს მას იმ გზას, რომლითაც იგი სიკვდილ-სიცოცხლის თითქოს მარადიულ ჯგებირს გადალახავს.

და მთვარის სახით ეცხადება სატრფო გამარჯვებულ მძებნელს.

აქაც შეცვლილია მზე: მას, გულნაზის ამ ლექსში, ზღვისა და მთვარის სიმბოლიკა ანაცვლავს.

სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა მზისა და მთვარის სიმბოლო-სახეები ქართულ (თუ – მსოფლიო) მითოლოგიაში. ისინი ცვალებადნი არიან, – მზეს ხან კაცის სახით ხატავდა ქართველი (თუ – მსოფლიო) ადამიანის წარმოსახვა, ხანაც – ქალის სახით. ასე იყო, ოდითგან, მთვარეც.

და მგონი ყველაფერი ასეა, – ადამიანნი ცდილობენ ყველაფერს საკუთარი სახე მიანიჭონ, თუმცა ზოგ რამეზე ვერ თანხმდებიან და ცვალებადობა იმარჯვებს ბოლოს.

მე, მაგალითად, პოეზიას, ასევე – მთებს, ჩემს ძმაცაცებს ვეძახი ხოლმე. თუმცა ზოგ პოეტს უთქვამს ჩემთვის, რომ ქალად უფრო უნდა აღვიქვა ისეთი მშვენიერებანი, როგორც ბიცაა პოეზია და მთები. რა ვიცი, მე მაინც საკუთარ წარმოსახვას უფრო ვენდობი.

ჰემინგუეი ერთგან წერს, რომ ზღვა არის ღამაზი ქალი. ეს პოეტური სახე, პოეტი-პროზაიკოსისა, მის მაღალ მგრძობელობაზე მეტყველებს... ჰემინგუეი, თავის დროზე, ჩემპიონი იყო ამერიკული და მსოფლიო პროზის, არა ნახევრად-ჩემპიონი, თუ – არასრული ჩემპიონი, არამედ – აბსოლუტური ლიდერი, რომელსაც კონკურენტები ვერაფერს აკლებდნენ, და ამას, ეტყობა, ბატონი ერნესტ ჰემინგუეი თავისი პოეტურობით აღწევდა.

გულნაზ ხარაიშვილის ლექსში მთვარე წარმოსახულია

მამაკაცის სახით, თუ – მამაკაცის სულის სახით. ასეთი გარდასახვა ღამის მნათობისა, უკვე არის მითი, ხოლო მითი უკვე არის პოეზია...

რა სწრაფად გადის დრო!

აი, თითქოს ახლახანს დავიწყე ამ წიგნის წერა და... უკვე აპრილია. როცა პირველ ხაზებს ვწერდი, მაშინ ხომ თებერვალი იყო. აგერ, ორ თვეზე მეტი გასულა მუშაობაში. როგორც ჩანს, მუშაობა, ხანდახან, გავიწყებს დროის არსებობას. ასე მოხდა ამჟამადაც. ისე შეიცვალა თეთრი ზამთარი ჯერ-ადრეული გაზაფხულით, მერე კი ნამდვილი ფერადი (მომწვანო-ფერადი) გაზაფხულით, რომ ვერც კი გავიგე.

მაგრამ დღეს მაინც აღვიქვი საოცარი განცდა და სურნელი გაზაფხულისა.

ვწერ ცვალებადი სისწრაფით.

თან ვფიქრობ, თან ვწერ.

აგერ ორ თვეზე მეტია, თითქმის ყოველთვის რომ ვფიქრობ დიდი ადამიანის ცხოვრებაზე, მის ღვაწლზე, მის შემოქმედებაზე... ორ თვეზე მეტია, რაც ჩემი ფიქრი გამუდმებით თავს დასტრიალებს გუღნაზ ხარაიშვილის პიროვნებას, მის ფენომენს, რათა შეძლებისდაგვარად კარგად შევქმნა ეს წიგნი, წიგნი, რომელიც მას ეძღვნება.

ჯერ კიდევ არ იყო გასული მარტი, რეზო ადამიას საღამო რომ მოუწყვეს პანტომიმის თეატრში. იმ საღამოზე ქალბატონი გუღნაზიც გახლდათ და სიტყვითაც გამოვიდა.

რატომ ვისხენებ ახლა ამ ამბავს? –

თუნდაც იმიტომ, რომ გუღნაზ ხარაიშვილმა თქვა სიტყვა, რომელიც კიდევ ერთი მკვეთრი შტრიხით ახასიათებდა მის პიროვნებას:

– უმთავრესი ადამიანურობაა, უმთავრესია სიკეთე სულიერი, – ამბობდა იგი, – რაგინდ დიდი იყოს ხელოვანი, თუ ის, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი, არ ვარგა, მაშინ ჩემთვის დაკარგულია; და ბედნიერი ვარ, რომ რეზო ადამია არის არა მარტო დიდი მხატვარი და ლიტერატორი, არამედ – დიდი ადამიანიც, სიკეთით სავსე სულის მატარე-

ბელი პიროვნებაც.

ამ სიტყვებით იკითხება ბუნება არა მარტო დიდებუ-
ლი მხატვრისა – რეზო ადამიასი, არამედ ბუნება თვითონ
გულნაზ ხარაიშვილისაც.

იგი მართლაც ასეა: უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს
ადამიანის პიროვნულ ღირსებას. ესაა, სწორედაც, რომ უმ-
თავრესი საწყაო მისი. სხვებშიც ამას ეძებს, ამას აფასებს,
და საკუთარ თავშიაც ამას უფრთხილდება ყველაზე მეტად,
ამას ელოდიავება.

ბევრი მიფიქრია იმ სიტყვაზე, რომელიც ჩვენმა გულნაზ-
იმ, ჩვენმა დიდებულმა ქალბატონმა თქვა მხატვრის (მხატ-
ვარ-ლიტერატორის) შემოქმედებით საღამოზე.

უფიქრობ იმ ცხოვრებისეულ პრინციპებზე, რომელნიც
აქვს შემუშავებული ქალბატონ გულნაზს.

რომ დააკვირდეთ, ყოველივე ეს საკმაოდ რთული სისტე-
მაა.

ერთის მხრივ: წარმატებული პიროვნება რომ განვიხი-
ლოთ, წარმატებული თავის საქმეში (ვთქვათ – ხელოვნება,
მეცნიერება, სპორტი...), მაგრამ იგი, როგორც ადამიანი, არ
ვარგოდეს;

და მეორეს მხრივ: უბრალო, თუნდაც წარუმატებელი,
ოღონდაც, – კარგი გულის ადამიანი.

მეორე ვარიანტი რეალურია.

არის თუ არა რეალური პირველი ვარიანტი, ანუ – შეი-
ძლება თუ არა, რომ წარმატებული, დიდი პიროვნება ცუდი
ადამიანი იყოს?

საუბედუროდ, ალბათ ეს დასაშვებია. არა, რაღაც ღირსე-
ბანი მაინც ექნება, თუკი გარკვეულ სფეროში (თუ – სფერ-
ოებში) წარმატებას აღწევს, ღიახ, რაღაც ღირსებანი მაინც
ექნება-მეთქი, მაგრამ...

მოკლედ, ის, რომ წარმატებული ადამიანი სულაც არ
იყოს, საბოლოო ჯამში, დადებითი პიროვნება, როგორც ჩანს,
ეს არის დასაშვები დებულება.

გულნაზ ხარაიშვილის არჩევანი ასეთ შემთხვევაში

ცალსახაა, – მას ურჩევნია თბილი, კეთილი გული, გენიოსის ცივ ნიღაბს, თუკი ამ გენიოსური ნიღბის მიღმა სიცარიელეა ადამიანური სახის მაგივრად, ადამიანურობის მაგივრად.

და არსებობს კი გენიოსი გულის გარეშე?

არ ვიცი.

თანაც, არც წარმატებული ადამიანი ნიშნავს, ყოველთვის, გენიოსს, თუმცა მეც და სხვანიც ამ ტერმინებს ხანდახან ვურევთ ერთმანეთში. ყველა წარმატებული ადამიანი როდი იყო გენიოსი, და – პირიქით.

ისე კი, ყველას სჯობს ის, რომ გენიალობა-წარმატება და დიდი გული (კეთილი გული) ერთად იყოს შედუღაბებული ერთ პიროვნებაში. რაღა თქმა უნდა, რომ ეს საუკეთესო „გამოსავალია“!

მოდით, შევეშვათ ტერმინს – გენიოსი (ეს სიტყვა, ხომ, მაინცადამაინც, არ ხიბლავს ქალბატონ გულნახს).

აი, წარმატებული ადამიანი კი იგი ნამდვილად არის.

და დიდი გულის ადამიანიც ნამდვილად არის.

ანუ – მისი ცხოვრების სტილია სინთეზი მაღალადამიანურობისა და წარმატებულობის.

ვფიქრობ: ვთქვათ, როგორ არის ჩემს შემთხვევაში? ვაღწევ თუ არა მე, ჩემი პიროვნებით, ასეთ სინთეზს?

არა. არა მგონია.

შეიძლება ზოგი წარმატებულ ხელოვნად მთვლის, მაგრამ აი, როგორც ადამიანი...

ნამდვილი ადამიანობა ყველაზე რთულია. რთულია იყო ნამდვილად დადებითი პიროვნება. ურთულესია! ყოველთვის მალცებს ისეთი ინდივიდები, რომელნიც ჩვენს მძიმე დროში ახერხებენ მაღალადამიანურობის გადარჩენას საკუთარ გულსა და გონებაში. მე მხიბლავს მორალისტი, თუკი იგი ჭეშმარიტი მორალისტია, მაგრამ თვით კი ასეთი არა ვარ, თუ – ვერა ვარ. უამრავ ცოდვათა შორის, რომელიც ჩემში ბუდობდა, ზოგი განვაგდე, ზოგი კი – ვერა. ცოდვად მიმაჩნია, თუნდაც, ჩემი ოდინდელი სწრაფვა პირველობისაკენ და ის პოეტური პაექრობებიც, რომელთა ვერც ზუსტ, ვერც

მიახლოებით რიცხვს ვასახელებ. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ ეს იყო რამდენიმე ასეული პოეტური მეტოქეობა. დაახლოებით ასეთივე მანვენებელი აქვს კახასაც ამ „პოეტურ სპორტში“: ერთმაც და მეორემაც რამოდენიმე ასეული შეცდომა დაეუშვიტ მრავალი პოეტის წინაშე, – ჩვენ მათ დავუმტკიცეთ, ან ნაწილობრივ მაინც დავუმტკიცეთ ჩვენივე უპირატესობა, რასაც ხელოვანი არასოდეს უნდა აკეთებდეს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ. სჯობს დამარცხდე, ვიდრე სხვას გული ატკინო... მაგრამ ჩვენ ხომ უფრო მძიმე ცოდვებიც გვაწევს კისერზე...

ღიახ, სჯობს სულაც გაერიდო პოეტურ მეტოქეობას, ან თუნდაც დამარცხდე, დამარცხდე ყველასთან, ვიდრე – ყველას გარდაამეტო და შემდეგ ხიბლში ჩავარდე, მაგრამ...

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხიბლში ჩავარდნაზე უფრო დიდი ცოდვებიც ყოფილა ამქვეყნად...

გულნაზ ხარაიშვილი კი, როგორც მორალისტი, უფრო სწორად, – როგორც მყარი მორალის ადამიანი, ნელ-ნელა მაგალითად იქცა თაობებისათვის. როცა აკვირდები მის გაუთავებელ ბრძოლას საკუთარ თავთან, – თუ როგორ აწრთობს იგი თავისივე პიროვნულ „მეს“, ხედავ ღვაწლმოსილი პოეტის მთელს სულიერს ეპოპეას. მისი ძალა მის-სავე მორალშიც არის. ხოლო რადგანაც სულიერ წრთობაში ადამიანის მყარი დასაყრდენი ქრისტიანული რელიგიაა, გულნაზი ცდილობს, რომ ყოველთვის ახლოს იდგეს ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. შეიძლება ამიტომაცაა ასე უხვად მიმოფანტული მის შემოქმედებაში ეკლესიური სახე-ხატნი, თანაც, იმ ლექსებშიაც კი, რომელნიც სულ სხვა თემაზეა დაწერილი.

აგერ ბატონო, – გვასწავლიან, რომ ღმერთმა ადამიანი საკუთარ ხატად, საკუთარ მსგავსად შექმნაო და... აქვე მახსენდება ეს სტროფი.

„ღვთის ანარეკლო,
იმედები მანუქე მაშინ,
როცა ფრთა მომტყდა

და საშინლად სულში მათოვდა;
შენთან, მგონია,
ისევე ვარ პატარა ბავშვი;
აგვისტოს მზე ხარ!..

მხურვალეობა მიტომ მათობობდა...“

არასოდეს მეძუნწება საქებარი სიტყვები ასეთი ღამაში სტრიქონებისათვის. ეს სტროფი თითქოს კონკრეტულ პიროვნებას – თავის რჩეულს მიუძღვნა პოეტმა ქალმა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მგონი, მაინც ისე გაისმის, როგორც ლოცვა, აღვლენილი ზოგადად სიყვარულისადმი.

ქრისტიანული სათნოების ერთ-ერთი ნიმუშია ქალბატონი გულნაზის შემდეგი სტროფი.

„ვცდილობ, ყველას სულში ჩავიხედო,
მინდა დავეხმარო, ვუშველო,
ვინდაც სიკეთისთვის ჩავიჩეხო...
ყველა მეცოდება – უშვილო“...

ეს სტრიქონები სხვას რომ დაეწერა, შეიძლებოდა სიყალბედ აღმეკვა, – ო, როგორ სურს, რომ კარგი კუთხით წარმოაჩინოს საკუთარი შუქ-ჩრდილიანი პიროვნება-მეთქი, მაგრამ როცა ამას გულნაზ ხარაიშვილი წერს, უკვე სულ სხვა ძალას, სულ სხვა დატვირთვას იძენს თითოეული ხაზი ლექსისა, რამეთუ მე, რომელიც პირადად ვიცნობ ამ ქალბატონს, ვადასტურებ ჭეშმარიტებას ამ სტროფისა. დიახ, – იგი მართლაც ასეთია, – დღემუდამ სხვებზე მზრუნავი, სხვებზე გადამკვდარი, მათ დარდს გადაყოლილი, თითქოს საკუთარი დარდი აკლდეს ამ ნაცრისფერ ცხოვრებაში...

მართლაც რა შეუცნობელი სამყაროა პოეტები და პოეზია!

წარმოიდგინეთ, რომ ლექსის ღირსება, ათას სხვა საზომთან ერთად, იმითაც კი იზომება, თუ ვინ დაწერა იგი. ანუ ლექსი რაიმე განყენებული კი არ არის, რაღაცა უსულო, ცალკე მდგომი სიტყვების გროვა, არამედ იგი არის მისი ავტორიც. მასში ცოცხლობს ის ადამიანი, ვინც იგი დაწერა.

ვთქვათ:

განა გალაკტიონი ყოველთვის შედეგებს წერდა?
ამბობენ, რომ უამრავ შედეგთან ერთად, მას უამრავი
სუსტი ლექსიც დაუწერია.

და მისი ოცი ტომიდან განა რამდენი იქნება მართლა
ღირებული? ერთი, ორი, სამი... ტომი ხუთი?

არა, ოცივე. მოკლედ, რამდენიც დაწერა, იმდენი, რამეთუ

—

ყველა ისინი თვით გალაკტიონის დაწერილია! ყველა
იმ ტომში, თითოეულ იმ ქმნილებაში არის ნაწილი დიდი
ადამიანის სულისა. სულის ასეთი განფენილობის გამო თუა,
რომ გალას სუსტი ლექსებიც კი სჯობს, ხშირად, მაგან პო-
ეტთა რჩეულ ნაწერებს, პოეზიის უგვირგვინო მეფის (თუ:
ერთ-ერთი მეფის) შედეგებზე რომ აღარაფერი ვილაპარა-
კოთ.

არიან ავტორები, რომელნიც მხოლოდ თავიანთი სახ-
ელ-გვართაც კი შედეგად აქცევენ ხოლმე ნებისმიერი
ხარისხის ნაწერს.

და პირიქითაც არის: ზოგნი ავტორნი საკმაოდ კარგ
ნაწერებს აუფერულებენ ხოლმე თავიანთი გვარ-სახელით.

ისევ ის სიტყვები მახსენდება, გულნაზიმ რომ გვითხრა
პანტომიმის თეატრში შეკრებილთ: თუ ადამიანი ადამიანად
არ ვარგა, ჩემს თვალში მას ვერ აამაღლებს მხოლოდ ნიჭი,
მხოლოდ წარმატებაო.

ვადიარებ: მაინც იყვნენ ისტორიაში ისეთი ადამიანები,
რომელნიც ვერ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული დადები-
თობით, თუმცაღა იყვნენ ისინი არა მარტო წარმატებულნი,
არამედ – გენიოსებიც კი.

როგორც ჩანს, დიდი ადამიანი შეიძლება იყოს დადებითი
ან, სამწუხაროდ, უარყოფითიც კი, მაგრამ დიდი ადამიანი
არასოდეს იქნება არაფერი. (სიტყვებში – „დიდი ადამიანი“
– ამ შემთხვევაში ვიგულისხმე წარმატებული პიროვნება, და
არა მაღალადამიანურობა).

იგი, ვინც დიადია, იქნება დადებითი თუ უარყოფითი, თუ
– ნაზავი ამ შუქისა და ჩრდილის, მაინც ყოველთვის ფრთხ-

ილად უნდა იყოს, ფრთხილად, რათა სამუდამოდ დარჩეს ნათელ მხარეს, რომ ასეთად დაამახსოვრდეს შთამომავლობას, რადგანაც მისაბაძი მაგალითია, ხშირად, მომავლისათვის, ცხოვრება რჩეულთა. მეორეს მხრივ კი, ჩვენც, ყველანი, უნდა შევეცადოთ, რომ სწორად გავუგოთ რჩეულ ინდივიდებს.

კარგია რომ გულნაზის შემთხვევაში, ამ მხრივ, რთულად არაა საქმე. მის რჩეულობაშიც და მის პიროვნულ ღირსებებშიც ეჭვი არაა შესატანი. მისი გაგებაც, როგორც ადამიანისა, არაა რთული. აქ ნათელი არ ტოვებს ადგილს ჩრდილისთვის. საქმე არა გვაქვს ურთულეს გაორებასთან, როცა ვერ ხვდები, თუ ვინ ვინ არის. არა. აქ ყველაფერი გარკვეულია: გულნაზ ხარაიშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი, არის მსახური სინათლის. იგი მეომარია, როგორც ამორძალი, ხოლო მთელი მისი ძალა, ენერჯია, მიმართულია წყვილიადის წინააღმდეგ. ასეა: მე ვხატავ იდეალისტის პორტრეტს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შესწირა ქართული კულტურის გადარჩენა-აღორძინების საქმეს. გვაოცებს მისი ნაწერნი და მასშტაბურობა მისთა საქმეთა. ხოლო ყველაზე დიდი წვლილი, ქალბატონ გულნაზს, ალბათ მაინც მისი შემდგომი და შემდგომი თაობების წინსვლაში მიუძღვის. იგი საკუთარი სიტყვითა და საქმით ყოველთვის მოძღვრავდა, ამხნევებდა, მხარში ედგა ახალგაზრდებს. მაგალითად: პირადად ჩვენს წინაშე – ჩემსა და ჩემი მეგობრების წინაშე იმხელა დამსახურებანი აქვს, რომ მის შესახებ ერთი კი არა, ხუთი წიგნიც რომ შევქმნა, ამას მაინც ვერ გადაუხედი, სათანადოდ მაინც ვერ მიუხდებოდა პატივი დიდი სიკეთისათვის.

ვადიარებ: თუმცა მის მახვილ მზერას არასოდეს არავინ გამოჰპარვია, ჩვენ მაინც თავიდანვე განსაკუთრებით გამოგვარჩია. ერთხელ ვკითხე ამის მიზეზი.

– ნიჭი!.. თქვენ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ხელოვანები ხართ... – მითხრა ქალბატონმა გულნაზიმ.

ორიათასთორმეტი წლისათვის, ანუ მაშინ, როდესაც იგი გავიცანით, ჩვენ უკვე საკმაოდ დიდი შემოქმედებითი გზა

გაგველო, თითქოს ყველაფერი უკვე ნანახი გექონდა, და რთული იყო – ვინმეს რაიმეთი გავეკვირვებინეთ. მიუხედავად ამისა, მაინც არ ველოდით იმას, რომ საკუთარი აკადემიის ლიტერატურულ მხარეს, ფაქტიურად, ჩვენ მოგვანდობდა ქალბატონი გულნაზი, და საკუთარ ჟურნალზედაც გაავრცელებდა, გარკვეულწილად, ჩვენს კონტროლს. მან, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ ლიდერებად გვაქცია მისსავე გარემოცვაში. როდესაც ორმოც წელსაც არ მიგიღწევია, სამოც წელს გადაცილებულ პიროვნებათაგან ასეთ ყურადღებას ნაკლებად ელი, – რაც არ უნდა იყოს, შენ მაინც სხვა თაობა ხარ, და არა გგონია, რომ გაგიგებენ. არადა, სრული გაგება შედგა, რის შედეგადაც ჩვენი პოეტური გამოსვლები სხვა აკადემიებშიც გახშირდა და საერთოდ – „ზღვარის“ პროულარიზაციამ კიდევ უფრო ინტენსიური, ჩამოყალიბებული ხასიათი მიიღო. ქალბატონმა გულნაზმა მთელი სულგული ჩადო ამ საქმეში. ამ ყოველივეს დაგვირგვინება აღმოჩნდა ის პოეტური საღამო, რომელიც წელს, სამ აპრილს, მან მოგვიწყო სამების საკათედრო ტაძრის შემოქმედებით დარბაზში. ეს ღონისძიება, პირადად მე, არა იმდენად ჯგუფ „ზღვარის“, არამედ – გულნაზ ხარაიშვილის ერთ-ერთ ლიდერულ ორგანიზატორულ გამარჯვებად მიმაჩნია.

გექონდა თუ არა, ჩვენ, უკეთესი შემოქმედებითი საღამოები?

ალბათ – კი;

მაგრამ არცერთი იმათგანი ასე გახმაურებული არა ყოფილა. „სატაძრო ტრიუმფის“ შემდეგ დღეებში ვინ აღარ გვირეკავდა და გვილოცავდა აღტაცებული; იყო ჩვენთვის სრულიად უცნობ პიროვნებათა უამრავი ზარიც, აი ისეთებისა, რომ არც ვიცით, თუ როგორ გაიგეს სატელეფონო ნომრები.

ღიახ, ყველა გვილოცავდა, ყველას ჩვენი გაცნობა სურდა პირადად, ყველა გვიწვევდა ხან სად, ხან სად, – პოეზიის საღამოს ჩასატარებლად.

არადა, ჩვენთვის კი არა, მე თუ მკითხავთ, ქალბატონი

გულნაზისათვის უნდა მიელოცათ: ეს სადამო, დიახ, მისი იდეით ჩატარდა, მან დაგეგმა და თავიდან ბოლომდე თვითონვე გაუწია ორგანიზება.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთხელაც, როცა აკადემიაში დაგვიბარა, გვითხრა:

– გადავწყვიტე: თქვენი სადამო უნდა ჩავატარო დიდ ტაძარში. ორგანიზებას, ყველაფრისას, მე მივხედავ; თქვენ მხოლოდ მოხვალთ და თქვენს ხელოვნებას წარმოაჩენთ.

დავიბენით. არ ვიცოდით, თუ რა პასუხი გაგვეცა ასეთი უანგარო, დიდებული შემოთავაზებისათვის. თუმცა სწრაფადვე დავთანხმდით, რამეთუ ჩვენ გვახსოვდა მისი ხასიათი, – გულნაზი სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, სწრაფადვე მოჰყავს ისინი სისრულეში. მას არ უყვარს დროის გაწელვა, ვერა, ვერ ეგუება ამას. აი, საწინააღმდეგო აზრს კი ადვილად ისმენს, მაგრამ როცა იგი ანთებულია რაღაც იდეით, არ უნდა ჩააქრო. მისი უნდა გწამდეს. მას, უბრალოდ, ბოლომდე უნდა მიჰყვე, და ყველაფერი კარგად იქნება.

შემოქმედებით სადამომდე რამდენჯერმე დაგვირეკა. იყო შეხვედრებიც. თუმცა, მართალი გითხრათ, იმას უფრო გვაცნობდა, თვითონ თუ რას და როგორ აკეთებდა, თორემ ჩვენთვის, იმ დღეებში, არც არაფერი დაუვალებია. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას პირდაპირ იქვე, ჩვენი თანდასწრებით, ტელეფონით დაელაპარაკა ბატონ ნუგზარ ნადარაიას და სთხოვა: მსურს რომ ამ ბიჭების სადამო ორი აკადემიის ეგიდით გაიმართოს, ამიტომ გთხოვთ, პატივი დამდეთ, – თქვენც და თქვენი ხალხიც ჩაერიეთ საქმეშიო. ბატონი ნუგზარი დაუყოვნებლივ დათანხმდა. იმ წუთიდან უკვე საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდებოდა.

მესამე ფრთა, მესამე ძალა, რომელიც ქალბატონმა გულნაზმა ორგანიზების საქმეში ჩართო, იყო ეკლესიის წარმომადგენელი, მათ შორის – თვით მეუფე თადეოზი.

საბოლოო ჯამში სადამოს დაესწრო ბევრი ცნობილი

და უცნობი პიროვნება, სხვადასხვა ასაკისა. მახსოვს პირველი ოთხი გამომსვლელიც: გულნაზ ხარაიშვილი, ნუგზარ ნადარაია, მეუფე თადეოზი, მათ შემდეგ საკუთარი სიმღერა შეასრულა მარინა კოლხიდაშვილმა (მეუფე თადეოზისაა ტექსტი ამ სიმღერის); ტრიბუნასთან მხოლოდ ამის შემდეგ მივედი და წამყვანობა ჩავიბარე.

ადამიანში, ყველაზე მეტად, ერთგულებასა და მადლიერებას ვაფასებ.

რალა თქმა უნდა, მადლიერი ვარ გულნაზ ხარაიშვილისა, რომელმაც ის ზეიმი გვაჩუქა, და საღამო მას მივუძღვენი. გამოვაცხადე აგრეთვე მეორე ადამიანიც – ნუნუკა გურალიაც, – მასაც მივუძღვენი სამების საღამო, რამეთუ მასაც აქვს დამსახურებანი ჩემი ჯგუფის წინაშე.

ოთხივენი კარგ „ფორმაში“ ვიყავით სულიერი თვალსაზრისით: მეც, კახა ბაციკაძესაც, გიორგი ზუხბიასაც და ჩემს ძმას – ვასო ლომაძესაც იმ დღეს უსასრულოდ შეგვეძლო ლექსების კითხვა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ. პირიქით, – უფრო მეტი დრო დარბაზს დავუთმეთ, – ბევრი იყო გამოსვლის მსურველი. ჩვენი ასეთი ყურადღებაც, სხვათაღმძი, სათანადოდ დაფასდა, – ისინი ძალიან თბილად განეწყვენ ჩვენდამი, ეს მათ გამოსვლებში აშკარად გამოჩნდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა პოეტის – მიშო თუმანიშვილის გამოსვლა, რომელმაც მე მომიხსენია, როგორც ერთ-ერთი სიმბოლო თავისუფლებისა.

მიშო თუმანიშვილი ახალგაზრდა პოეტია (ყოველ შემთხვევაში, ჩემზე უფრო ახალგაზრდა ნამდვილად არის), რომელიც გამოირჩევა დიდი პოეტური ნიჭითა და პირდაპირი, ხანდახან – სკანდალური გამოსვლებითაც კი. მისი ყველაზე უფრო სკანდალური სიტყვები ის იყო, რამოდენიმე წლის წინ თბილისში რომ განაცხადა: „ზღვარი“ ყველა დროის საუკეთესო ქართული ჯგუფი (შემოქმედებითი ჯგუფები იგულისხმა, რალა თქმა უნდა). ამ განცხადების შემდეგ თვითონ წავიდა ხაშურის რაიონში, სოფელ ხცისში, ანუ იქ, სადაც ცხოვრობს, ხოლო ჩვენ დავრჩით აქ, ზოგ მოშურნეთა

პირისპირ, რომელნიც აღაშფოთა თუმანიშვილის სიტყვებმა.

– მართლა ასეა?! მართლა ყველას და ყველაფერს აღემატებით?! – გვეკითხებოდნენ ისინი საკმაოდ გაღიზიანებულნი.

– არა, რაღა თქმა უნდა არა, – ვპასუხობდი მე, – მიშომ, უბრალოდ, ალბათ იხუმრა.

მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ დიდი რეჟისორის – მიხეილ თუმანიშვილის სეხნიამ, პოეტმა მიხეილ (მიშა) თუმანიშვილმა გაგვახარა თავისი იმ სკანდალური გამოსვლით: ჩვენც, – „ზღვარის“ წევრებიც, ხომ ადამიანები ვართ, და რაა გასაკვირი იმაში, რომ ადამიანს აღიარება ახარებდეს!.. არის, აქ, ერთი მომენტიც, – ზოგი ქება-აღიარება დამსახურებულია, ზოგიც – არა. მიუხედავად ამისა, ადამიანს ყველა შემთხვევაში ახარებს ქება. აი, კარგია თუ ცუდი ეს ამბავი? ეგ უკვე სხვა საქმეა...

დაეუბრუნდეთ სატადრო საღამოს. მის დეტალურ აღწერას არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დახიურა იგი ქალბატონ მანონი ყუბანეიშვილის მიერ შესრულებული სიმღერით „ავე მარია“. არა, ეს არ იყო ცნობილი ვერსია (შუბერტისეული) ამ სიმღერისა. არა. ამ ქმნილების ავტორი თვით უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ყოფილა. როგორც ჩანს, მართლაც უკიდევანოა ყოველისმომცველობა ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელის ნიჭისა.

ერთსაც დავამატებ საღამოს ამბავს: ეს იყო ჩვენი პირველი შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ესწრებოდა კახას ოჯახის თითქმის ყველა წევრი. იქნებ ამადაც დაგვამახსოვრდა ჩვენ, ის დღე, ასე სასიამოვნოდ. „ზღვარის“ წევრთაგან, იმ დღეს, ხომ პირველი ლექსი სწორედ კახამ წაიკითხა: ქმნილება, სახელწოდებით – „რუსთაველი“.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ კახას მიერ ამ ლექსის შექმნაც გულნაზ ხარაიშვილის სახელს უკავშირდება. უნდა მოვეყვე ეს ამბავიც:

ერთხელ რაღაცა საკითხს ვიხილავდით აკადემიაში და გვიანობამდე შემოვრჩით. სხვები მიმოიფანტნენ. დავრჩით

მხოლოდ მე, კახა და ქალბატონი გულნაზი. მას შემდეგ, რაც ის კონკრეტული პრობლემა გადაიჭრა, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა, მერე უკვე ჩვენს რჩეულ თემაზე – პოეზიასა და პოეტებზე შევეყვით საუბარს. როგორც ქართულ ხასიათს სჩვევია, ვარკვევდით უქრობ საკითხს, – თუ ვინ არის საუკეთესო.

დიდი ეპიკოსები ხომ არაერთი გეყავს, რუსთველთან მაინც შეუძლებელია, ალბათ, ნამდვილი კონკურენცია.

დიდ ლირიკოსებს რაც შეეხება, მათგან, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ლეგენდარული ტრიუმფირატი გამოვარჩიეთ – ბარათაშვილი, გალაკტიონი, გრანელი. ესენი, ვფიქრობთ, სხვებს მკვეთრად აღემატებიან.

მაშ, ჩვენეული „ფინალი“ ასეთი გამოვიდა: რუსთველი (ეპიკა), ბარათაშვილი, გალა, გრანელი (ლირიკა).

მოკლედ, მიმოვიხილეთ თითოეული ამათგანის ძლიერი და სუსტი მხარეები, – თუკი შეიძლება, რომ ასეთ იდეალურ პოეტებს სისუსტეებიც ჰქონდეთ. ბოლოს კი...

ბოლოს, ყველაფრის მიუხედავად, მე და კახამ რუსთველი ვარჩიეთ. თუმცა „სიტყვა გადამწვევტი“ ქალბატონ გულნაზს ეკუთვნოდა. მართალი გითხრათ, მეგონა, რომ გულნაზი გალაკტიონს შეაწევდა სიტყვას, რამეთუ მახსოვდა მისი ლექსი, რომელშიაც ეს პოეტი ლამის გაღმერთებულია.

ამბობენ, ქართული ლიტერატურის ყველა მოყვარულ-მოკეთეს ჰყავს საკუთარი გალაკტიონიო. მე აქ წარმოგიდგინებ ტაბიძეთა გვარის უდიდეს წარმომადგენელს ისეთს, როგორიც იგი გულნაზ ხარაიშვილის ფიქრში, მის წარმოსახვაში ცხოვრობს:

„გალაკტიონი უფალთან სახლობს;
ცდილობს ღმერთებთან გრძნობის გამხელას;
იქვე ქაღალმერთი ტრიალობს ახლოს,
იმ ქაღალმერთს ჰქვია მერი სახელად.
ზღვასა და ხმელეთს ის ურჩევნია,
ფლორა, ფაუნა, ის არის მისთვის,
მის სილამაზე სულს ჩარჩენია,

ცაშიც თან გაჰყვა ეს დიდი ტვირთი.

ვერ განიკურნა ამ სენისაგან;

(ღვთის სიყვარულით დავადებულა);

ის არ დაეძებს ღამაზ ქალს სხვაგან, –

იმისთვის მერი დაბადებულა.

პოეტის ხსოვნას სანთელს ავუნთებ,

ლექსსაც მიუძღვნი პირჯვარის წერით,

შემოჭრილ ფიქრთან ღამეს ანათებს

ღვთის სიყვარული, ვარსკვლავის ფერი...“ –

აი, ასე წერს გულნაზ ხარაიშვილი გალაკტიონის შესახებ. ეს გადმერთება, მისეული, ღირიკის გენიოსისა, მე საფუძველს მაძლევდა იმისას, რომ მეფიქრა: ჩვენი სჯაბაასი, საბოლოოდ გალას ტრიუმფით დასრულდებოდა,

მაგრამ... შევცდი:

– ღამეებიც კი გამითენებია, თეთრად ამ პოეტთა კითხვაში, – გვითხრა ჩვენმა გულნაზიმ, – და იცით რა უნდა ვთქვა?... ბარათაშვილი, გალაკტიონი და გრანელი უდიადესი ვარსკვლავები არიან მთელს სამყაროში, მაგრამ შოთა რუსთაველი თვითონ არის მთელი სამყარო.

გავოგნდით მე და კახა. ქალბატონი გულნაზის ეს საოცარი სიტყვები ურითმო და ურიტმო ლექსად უფრო აღვიქვით, ვიდრე უბრალო ლაპარაკად.

ამ ამბიდან მეორე თუ მესამე დღეს უკვე კახამ წამიკითხა თავისი ლექსი, რომელიც გულნაზისა და ჩვენი საუბრის შედეგად იყო შთაგონებული. ის ლექსი მე აღვიქვი, როგორც მონოლოგი რუსთაველისა. გავიდა დრო, და სწორედ მაგ ქმნილებით გახსნა კახამ თავისი გამოსვლა დიდ ტაძარში, ხოლო შემდეგ წამიკითხა კიდევ ორი ღირიკული ნაშრომი: „გრძნობა – როგორც სამყარო“ და, ცოტა მოგვიანებით (როცა მეორედ მივიდა ტრიბუნასთან, მაშინ) – „ქარიშხლიანი უღელტეხილი“.

იმ ლექსს, რომელიც გულნაზ ხარაიშვილის სიტყვებმა შთააგონა კახას, აქვე გთავაზობთ:

„რუსთაველი

მე პოეზიით ვარ შეპყრობილი,
როგორც იესო – ჯვარცმის სურვილით;
მაღალ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
სამყაროს ზღვრამდე, ვიცი, სულ ვივლი,
სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს;
კოსმიურ შუქთა დიად ტალღებში
გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს...
მე მსურს შევხედო უფალს თვალებში... –
ეს ნატვრა, თითქოს, სიზმარს ედრება,
და სული რჩება სიმწუხარეში...
ვარ კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
ისმის მთებიდან თეთრი ხმა – ყინვის,
შეხედეთ, – თავად იესო მადგამს,
მე, პოეზიის ეკლიან გვირგვინს!..
ვგრძნობ: პოეზიით ვარ შეპყრობილი...“

აი, სწორედ ამ ლექსით გაიხსნა პოეზია ტაძარში – ჩვენც
გახმაურებულ შემოქმედებით საღამოზე.

სულ უკანასკნელად მინდა ერთი რაღაცაც ვთქვა იმ
ღონისძიებასთან დაკავშირებით: მის მოწყობაში ქალბა-
ტონ გულნაზს ძალზედ დაეხმარნენ გიორგი ფარეშაშვილი,
ლუარა სორდია, ლამარა გერგედავა, ლამზირა შეყილაძე და
სხვები. ამიტომაც მსურს, აქ, მათი მოხსენიებაც...

ბევრჯერ მითქვამს, რომ პოეზია არის შედეგი ნიჭისა,
შრომისმოყვარეობისა, მიზანდასახულობისა და ტანჯვა-
წამების. ჭეშმარიტი პოეტი განსაკუთრებულია ოთხივე ამ
ასპექტში.

დაისმის კითხვა:

ამ ოთხთაგან რაა უმთავრესი?

ჩემი პასუხია – ნიჭი, რამეთუ იგია ყველაფრის სათავე.
ნიჭი არ ასვენებს კაცს, ნიჭი, გენია, და სწორედ იგი მიერ-
ეკება მას მწვერვალებისაკენ.

ძნელად ნახავთ ისეთ ნიჭიერ ადამიანს, რომელიც შრო-
მისმოყვარე არ იყოს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეში.
(თუმცა ნიჭიერებას, არცთუ იშვიათად, ახასიათებს სიზარმა-

ცე სხვა საქმეთა მიმართ).

ძნელად ნახავთ ისეთ ნიჭიერ ადამიანს, რომელსაც მიზანდასახულობა აკლდეს.

ძნელად ნახავთ ისეთ ნიჭიერ ადამიანს, რომელსაც აკლდეს ცხოვრებაში ტანჯვა-წამება, რამეთუ ნიჭი შვილია გრძნობისა, ხოლო დიდი გრძნობა, გრძნობიერება, თითქმის ყოველთვის წილნაყარია ტრაგიზმთან.

გულნაზ ხარაიშვილის ნიჭიერება, მისი დიდმგრძნობელობა, განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა იმ ლექსებში, რომელნიც მან გარდაცვლილ მშობელს (დედას) მიუძღვნა. ერთ-ერთი ასეთი ლექსი უკვე გადმოგწერე ამ წიგნში, მაგრამ მეორეც ისე მომეწონა, რომ მისი გადმოწერაც მიწევს:

„ შენ აივანზე იწეკი, დედა,
და გაჰყურებდი გზის დასალიერს.
შენ არ გტოვებდა დარდი და სევდა...
მთელი სიცოცხლე ჩვენ შეგვალიე.
ჭიშკრის ჭრიალი გახალისებდა,
იღუმალ ფიქრებს ის გიფანტავდა;
ხანაც ძირულას ხმა გაღვიძებდა;
ხან მწარე ბედი გულში გფატრავდა...
მინდა გიხილო თუნდ ერთი წამით,
შენი ალერსი მომნატრებია,
ისე, ვით ბალახს დილის ცვარ-ნამი, –
უიმისოდ რომ ჩუმად ხმებთან...“

ამ ლექსს როცა ვკითხულობ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფურცელზე სტრიქონები კი არ წერია, არამედ ლურჯიფრის სევდაა დახატული. ეს სევდა კამერტონივითაა, – მასზე ეწყობა ის დიდი პოეტური სამყარო, რომელსაც ქმნის, თავისი გასაოცარი მიზანდასახულობით, პოეტი ქალი. სევდა იცვლის სახეს, ხასიათს, მაგრამ მისი არსი უცვლელი რჩება: მან უნდა შეარხიოს ადამიანთა გრძნობის სიმები. ეს გრძნობადობა იწვევს სამყაროს სრულს განცდას, სამყაროს ერთობლიობას.

და ადამიანი გრძნობს, რომ უსასრულო სიმარტოვეშიც

კი არაა მარტო.

ისე მომენატრეო, ისე მომნატრებიო შენი ალერსი, როგორც დილის ცვარ-ნამი სწყურიო ბალახს, –

კითხულობ, და ისეთ ცხოველ კავშირს გრძნობ ცოცხალთა და გარდაცვლილთა შორის (გავისხენოთ სვეტიცხოველი: სვეტი-ცხოველი), რომ აღარც გჯერავს სიკვდილის არსებობა;

კითხულობ, და შენს წინ მართლაც ცოცხლდება ის ადამიანი, რომლის შესახებაც წერენ: ხვდები თუ როგორი იყო იგი, – რაგვარი გრძნობის, რა კეთილი და სათნო, როგორ განიცდიდა ყველაფერს... აი, გაჰყურებს იგი გზის დასაღიერს, როგორც სიმბოლოს საკუთარივე განვლილი დღეებისა, აგრეთვე – საკუთარი დასასრულის...

დასასრული ყველასთვის არის.

მაგრამ შემდეგ იწყება მონატრება, – გვენატრებიან ხოლმე წასულნი.

და რადგანაც გვენატრებიან, იმისიც გეჯერა, რომ სიკვდილის შემდეგ მათ სხვა ცხოვრება დაიწყეს.

აბა, არაფერი როგორ მოგენატრებოდა:

ვინც გენატრება, ის არსებობს კიდევ.

გვითხრა, ერთხელ, პოეტმა გივი აღსაზიშვილმა, მე, კახას და სოსო ასიტაშვილს: ორჯერ იბადება ადამიანიო, პირველად, – ფიზიკურადო; მერე კი, აი, რომ გარდაიცვლება, მას მერე, – სულიერადო.

სოსომ გაიხსენა: რაღაცა ამდაგვარი, მე და ოთარ ფალიანს, ტარიელ ხარხელაურისაგანაც გვაქვს გაგონილიო.

მერე უკვე მე გამახსენდა სულ სხვა რამ: თეონა ქუმასიაშვილი რომ მღეროდა ტარიელის ტექსტზე შექმნილ საოცარ სიმღერას:

„შენ ჩემო დიდო ტკივილო...“

აი, როგორ გადაება ერთმანეთს მოგონებათა ჯაჭვი. საიდან დავიწყე და სად მივედი. მაგრამ აქ ყველაფერი ლოგიკურია, თავისებურად ლოგიკური, რადგან როდესაც კალამს გრძნობა მართავს, მაშინ კალამი უცდომელია. და აი,

ახლა, ამწუთას, მე კი არა, ამ საწერკალამმა უფრო იცის, თუ საითკენ მიჰყავს ეს წიგნი.

თეონა, კეთილშობილი და სიმპათიური ახალგაზრდა ქალი, (პოეტის მეუღლე), ტრაგიკულად დაიღუპა. ამბობენ, რომ სიმღერა სიცოცხლეზედაც მეტად უყვარდაო. ჰამლეტ გონაშვილისა და დები იშხნელების გვერდითაც კი მოიხსენიებენ ხანდახან.

ტრაგიკულად დასრულდა გენიალური ჰამლეტ გონაშვილის სიცოცხლეც, – ბევრად უფრო ადრე, ვიდრე თეონა და მისი თაობა ფრთებს გაშლიდა.

ტრაგიკული აღმოჩნდა ბედი ტარიელ ხარხელაურისაც, – მან დაკარგა მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ადამიანი... და იგივე ბედი ეწია ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილსაც: „დაბადების დღეს... მაშინ ჰქონდა

შნო და ლაზათი,
როცა ჭრელ-ჭრელი სამოსელი
ტანზე მემოსა;

ახლა სული მაქვს მგლოვიარე... ცივი...
ნაზამთრი...

მე გამახარებს, –
ჩემი შვილის ხმა თუ მომესმა.“

და ასე იქცა ბუნებით ოპტიმისტი, ხალისიანი, სიცოცხლისმოყვარე ადამიანი იმ ქალბატონად, რომელსაც შეიძლება ეწოდოს დედოფალი შავ ფერში. იგი, ერთ-ერთი საჭეთ-მპყრობელი თანამედროვე ქართული კულტურისა, თითქმის არასოდეს იშორებს შავიფერის სამოსს, იშვიათად თუ წაახმარს ხოლმე შავს რაიმე სხვა ფერს, მაგრამ მთლიანობაში მაინც ყოველთვის მუქი ფერების მოთაყვანედ რჩება, სიმბოლოდ თავისი მარადიული სულიერი გლოვისა.

არადა, როგორც პოეტს, მას ყოველთვის უყვარდა ფერადები. როგორც ადამიანი, ყოველთვის ანთებულ ფერთა შორის ჰპოვებდა გულის სიხარულს იმ დროს, – ახალგაზრდობის დროს. ხოლო ის სიყვარული, ის განცდა ვან-გოგისეული და ფიროსმანისეული ფერებისადმი, დღეს თავს

იჩენს არა ქალბატონი გულნაზის სამოსელში, არამედ – მის პოეზიაში...

გასაკვირია, რატომ დასდევს თითქმის ყველა დიდ ადამიანს, ასე ფეხდაფეხ, ტრაგიკული ბედი. ცხოვრება სხვადასხვანაირად ებრძვის, ხრავს თითოეულ მათგანს, საბოლოოდ კი სტოვებს სინათლის ფერფლს. ხდება ხოლმე, რომ გარკვეული დროის შემდეგ ადამიანმა უკვე ისიც აღარ იცის, რომელი აირჩიოს ამ ორი საწყისიდან (საწყის-სასრულიდან): სიცოცხლე თუ სიკვდილი; ან რომელია აქ ნამდვილი და საწყისი, ნამდვილი დასასრული.

წაშლილია ზღვარი მარადისობაში.

ხოლო პოეტი შვილია მარადისობის.

ერთხელ თურმე პოეზიის და ზოგადად – ხელოვნების ერთ-ერთი სიმბოლოსთვის, გალაკტიონისათვის უკითხავთ:

– რა არისო მარადისობა?

– მარადისობა პოეზიაა ძამიკო, – ღიმილით უპასუხნია მგოსანს, აკაკისა და ბარათაშვილის გამაღმერთებელს (აკი სწორედ ეს ორი ხელოვანი მოიაზრა საკუთარივე სუპერშედევრში „მთაწმინდის მთვარე“: „აქ უყვარდაო ობლად სიარული ბარათაშვილსო,“ და „აქ, ჩემ ახლო, მეფური ძილით სძინავსო მოხუცი აკაკის ლანდს“).

სხვათა შორის, იმ არამიწიერ დიალოგში გალაკტიონისათვის უფრო მიწიერი კითხვაც დაუსვამთ:

– იმაზე რას გვეტყვით, ბატონო გალაკტიონ, ასე რომ მომრავლდნენ დღეს, ჩვენში, აკადემიკოსებიო?

– ეჰ, ძამიკო, განა ყველა, ვისაც აკადემიკოსის წოდება აქვს, მართლა აკადემიკოსიაო? – იქით შეუბრუნებია კითხვა უკვე გაცინებულ გალაკტიონს.

თითქმის ყველაფერში მართალი იყო ის ღვთითკურთხეული, ყველაფერში. აგერ, დრო გავიდა და ბევრი აკადემიკოსის ხსენებაც აღარაა. ხოლო რაც შეეხება ისეთ უმაღლეს წოდებას, როგორიც პოეტი-აკადემიკოსია, დღეს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ასეთად მხოლოდ მას – მხოლოდ გალაკტიონს მიიჩნევს.

ახლა ხომ კიდევ უფრო მომრავლდნენ აკადემიკოსნი... და ვფიქრობ ჩემთვის: რომელია ჩვენში ჭეშმარიტი, დღევანდელთაგან ვინ გარდასწვდება საუკუნეებს? ვინა ვარ, მაგალითად, პირადად მე, სად არის ჩემი ადგილი?

მიუხედავად იმისა, რომ მყარი, მტკიცე პიროვნება ვარ, მერყეობა მაინც ჩემს ხასიათშიც ჩაბუდებულია (მერყეობაცვალებადობა), და ხან რომ ყოვლისშემძლე მგონია თავი, ხანაც ვფიქრობ – არაფერი ვარ, მნიშვნელოვანი არაფერი შემიქმნია-მეთქი. მაინც მაქვს ჩემს მიერ დაფუძნებული შემოქმედებითი ჯგუფების იმედი. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიის გადასახედიდან, ამ ჯგუფებში, რომლებშიაც იყვნენ ნამდვილი, სრული წევრები, და არასრული წევრებიც (ნახევრად-წევრები თუ დამატებითი წევრები), საბოლოო ჯამში, რამდენიმე მნიშვნელოვანმა ადამიანმა ხომ მაინც მოიყარა თავი. ახლა თვითონაც მიჭირს ზუსტი ჩამოთვლა ამ ჯგუფების შემადგენლობებისა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მათში რამდენიმე ჭეშმარიტი ოსტატი მართლა იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ – მე და ჩემი მეგობრები, დღესაც ვცდილობთ, რომ ბოლომდე ვიყოთ ფანატიკოსები დიდი იდეების, დიდებული ხელოვნების.

და მაშ რაღა გასაკვირია, რომ ჩვენ მოვხვდით ისეთი მასშტაბური, ისეთი ყოვლისმომცველი ადამიანის აკადემიაში, თუ – გარემოცვაში, როგორიც არის გუგუნაზ ხარაიშვილი. იგი სწორედ რომ ფანატიკოსებს ეძებს, ოღონდაც ფანატიკოსებს – ამ სიტყვის კარგი გაგებით. ეს ცნება მას წარმოუდგენია სწორედ ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან მიმართებაში. იგი, თავისი ამოუწურავი ენერგიით, ქსოვს სამყაროს მაღალი იდეებისას. თავის მიერვე შექმნილ სამყაროში ცხოვრობს უკვე რამოდენიმე ათეული წელი. მან, მგონი, არ იცის შემოქმედებითი დამარცხების სიმწარე. რასაც ხელს მოჰკიდებს, ადრე თუ გვიან, ყველაფერი ბოლომდე მიჰყავს.

გუგუნაზ ხარაიშვილი დაიბადა ათასცხრაასორმოცდაათი წლის ხუთ მაისს, ერთ უბრალო, პროვინციულ ოჯახში

(სხვათა შორის, მაისის თვეშივე, ოღონდ თოთხმეტ მაისს, დაიბადა ნანა – ადამიანი, რომელმაც გამზარდა, რომელმაც შემასწავლა უამრავი რამ. თოთხმეტშივეა თამარობაც). გულნაზის ოჯახი თუმცა ერთი შეხედვით უბრალო იყო, მაგრამ ხარაიშივითა გვარს, საერთოდ, ოდითგანვე თან დაჰყოლია მაღალნიჭიერება და უამრავი სხვა კეთილი თვისებები.

ნაილი ხარაიშივილი იგონებს:

„ჯერაც ბავშვი რომ ვიყავი, როცა შევიდოდი ხოლმე მათ ოჯახში, გასაკვირი ეს იყო, – იქ უფროსი ადამიანებიც კი, მე, ბავშვს, ფეხზე რომ წამომიდგებოდნენ და ასე მეგებებოდნენ.“

ამ ერთი ფრაზიდანაც კი ნათელია, თუ როგორი მორალი, ადამიანთადმი როგორი ხაზგასმული პატივისცემა ყოფილა დამკვიდრებული ამ ოჯახში.

იყო კიდევ ერთი რამ, რომლის გარეშეც შეუძლებელია დიდ იდეებამდე მისვლა. ესაა – განათლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. ამიტომაც ასეთ ოჯახში აღზრდილი ყველა ადამიანი წიგნის მოყვარული აღმოჩნდა თავიდანვე, საბოლოოდ კი ყველა მათგანი პიროვნებად შედგა.

როგორც ჩანს, გულნაზ ხარაიშივილი თავის თავში ჯერ კიდევ ადრეული წლებიდან აყალიბებდა იმ იდეებს, რომელთაც შემდეგში მთელი ცხოვრება შესწირა. იგი დიდი ხნის განმავლობაში აცოცხლებდა თავისი ფიქრების იმპერიას, და ამ გაცოცხლების სრულყოფის პროცესი ჯერაც არაა დასრულებული. დიას, შექმნილია სკოლა-კოლეჯი, შექმნილია აკადემიები, შექმნილია ჟურნალი, ასევე – რამოდენიმე პოეტური წიგნი... და მაინც: იგი ჯერაც არაა კმაყოფილი სრულად, ახლაც ასე თვლის, რომ მხოლოდ სანახევროდ თუ ახდა მისი იდეები. და შრომობს, შრომობს თუ ბრძოლობს განუწყვეტლივ. ასე გადის ჯვარცმული ცხოვრება. დარდს კლავს იმ მარადიული ომით, რომელსაც უზარმაზარი იდეების ხორცშესხმა ჰქვია.

ჰყავს უამრავი მოკეთე, რომელნიც მხარში უდგანან ამ

ციდან მოსულ ადამიანს.

მაგრამ, სიმართლე ითქვას, მტრებიც ჰყავს. მტრები კი მუდამ ცდილობენ, რომ დაანგრიონ, გააცამტვერონ იგი, რასაც პიროვნება აშენებს თავისი უზარმაზარი ენერჯის, ნებისყოფის, ტანჯვის თუ სისხლის ფასად.

და არის ცხოვრება ომი, – მარადიული ბრძოლა ნათელსა და ბნელს შორის.

ხოლო პოეტი არის მარადიული მეზობლი, რომლის ყველაზე უფრო საუკეთესო მოკავშირე, მოშურნე-მტრების წინააღმდეგ, გახლავთ მისივე პოეზია.

აი, რას წერს ქალბატონი გულნაზი:

„ომი არ მაკლდა, –
ომი იყო ჩემი ცხოვრება,
და როცა გაჩნდა სურვილები
ლექსების წერის,
მაშინვე მივხვდი, –
ფიქრი ლექსებს დაუმოყვრდება...
გამოვცოცხლდები...

და მომივა სახეზე ფერი...”

მაინც როდის გაჩნდა ეს „სურვილები ლექსების წერის“? როგორც საზოგადო მოღვაწე, გულნაზ ხარაიშვილი ათეულობით წლებს მოითვლის. იგი, როგორც ლიდერ-ორგანიზატორი, სხვადასხვა საქმეებში ყოველთვის გამოირჩეოდა.

მაგრამ როგორც პოეტი?

აი, აქ კი ორი საწინააღმდეგო ვერსია არსებობს:

ერთი ვერსიის თანახმად, გულნაზი ბავშვობიდან მოყოლებული წერდა, ოღონდაც ამას არა ჰქონია სისტემატური ხასიათი, წერდა იშვიათად, და ვერც წარმოედგინა, თუ ოდესმე ნამდვილი პოეტი გახდებოდა. მის ოჯახში, ადრე, მხოლოდ ბეჟან ხარაიშვილს მიიჩნევდნენ პოეტად, ხოლო გულნაზი, რომელიც აღმერთებდა თავის უნიჭიერეს ძმას, სულაც არ ცდილობდა მისთვის კონკურენციის გაწევას, და თავისივე ნაწერებს სერიოზულად არ აღიქვამდა, ამიტომაც ბევრი ძველი ნაწერი დაკარგულია. ადრეული პერიოდიდან

ცოტა რამ შემორჩა. მოგვიანებით კი, უკვე ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც იხილა ქალბატონმა გულნაზმა წმინდა ბერის – მამა გაბრიელის საფლავი, აი, იმ დღიდან უკარნახა საკუთარმა გულმა, რომ ლიტერატურისათვის, მითუმეტეს – პოეზიისათვის სერიოზულად მოეკიდებინა ხელი.

მეორე ვერსიაც წმინდა ქალაქის – მცხეთის სასწაულს ემყარება. იქაც ბერი გაბრიელის საფლავის შესახებ არის საუბარი. ამბობენ, რომ ეს ამბავი მოხდაო ორიათასსამ წელს. განსხვავება კი ამ ვერსიებს შორის იმაშია, რომ მეორეგან ასე ამბობენ, – ბერის საფლავის ნახვამდე გულნაზ ხარაიშივილი ლექსებს საერთოდ არ წერდაო. ორმოცდაცამეტი წლის ასაკში, წმინდანის საფლავის სასწაულებრივი ძალით, დაიწყო მან ლექსთა ქმნაობა.

ასეა თუ ისე, ორივე ამ ამბავში ერთი რამ უეჭველია, – წმინდანის საფლავიდან გამოყოფილ მადლზე საუბრობს როგორც ერთი, ისე მეორე ლეგენდა, აი, ბიოგრაფიულ რომანშიც რომ გადმოვეცი.

ლეგენდა დარჩეს ლეგენდად, მითად.

მაგრამ ამ შემთხვევაში მითს აქვს რეალური საფუძველი: მცხეთის საფლავის ისტორია თვითონ ქალბატონ გულნაზსაც არაერთხელ დაუდასტურებია.

– იქამდე თუ წერდით ლექსებს? – ვკითხე.

– აბა როგორ გითხრა? – მიპასუხა. – იმ დღეს მართლა რაღაც მოხდა ჩემში ისეთი, რომელმაც სულიერად სრულიად შემცვალა. თითქოს შინაგანი გასხივოსნება ვიგრძენი იქ – წმინდა ბერის საფლავთან. იმ დღეს მე ხელახლა დავიბადე, ხოლო ზუსტად თუ რა და როგორ იყო უფრო ადრე, ახლა მიჭირს იმის გახსენება.

აი, ასეთია ისტორია.

ასე შეერწყმება ხოლმე ერთმანეთს მითი და რეალობა. მოდის ზღაპარ-მითი, მოდის, როგორც ოკეანე, მოაგორებს თავის ფერად-ფერად ტალღებს, ხოლო ამ მსუყე პალიტრას წინ ხვდება ცხოვრებისეული გამკრთალება თუ – გაფითრება. საბოლოოდ მაინც ზღაპარი სძლევს, ირეალობა სძლევს,

პოეტურობა გადასძალავს, და აზღაპრებს, აღამაზებს ააფერადებს რეალობასაც.

საბოლოო ჯამში ის მივიღეთ, რომ გულნაზ ხარაიშივილს ვერც წარმოუდგენია, დღეს, ცხოვრება ლექსთა გარეშე:

„ მე ასე მჯერა, – ყოფნა წამია,
და ქარიც წაშლის ჩემს ნაფეხურებს.

ო, ეს ცხოვრება ზოგჯერ მწარეა,
დარდის თავშალი მით მოვიხურე.

იმედი მაინც ციმციმებს ცაზე,
და აჩოქოლდა გული მეკრდიდან.

რაა სიცოცხლე, საოცარ ხმაზე
სიმღერას კაცი თუ მოერიდა.

გრძნობით „ურმული“ თუ არ ვიმღერე,
თუ არ ვისმინე ხმა მეგობარის,

თუ თქვენს საამოდ ვეღარ დავწერე,
მაშინვე შესვით შესანდობარი...“

„რაა სიცოცხლე?“ – ასე ჰქვია ამ ლექსს, რომელშიაც ხელოვანის ცხოვრების მთავარ აზრად შემოქმედების ქმნალობაა გამოცხადებული.

ესაა წყაღგაუვალი სიმართლე.

თუ ხელოვანში მოკვდა შემოქმედებითობა, იგი თუ აღარაა შემოქმედის ანუ ღმერთის მსგავსი, მაშინ მისი სიცოცხლე აზრს კარგავს: ყველაზე დიდი ტრაგედია არის ყოფილი პოეტი, რამეთუ პოეტი სიკვდილამდე პოეტად უნდა რჩებოდეს. ბოლომდე უნდა მიჰყვე ამ გზას, რაკიდა ერთხელ აირჩიე, რამეთუ ეს ყოფილა შენი ჯვარი და იგი შენვე უნდა მიიტანო გოლგოთამდე.

ვინც არაა ჭეშმარიტი, მას ვერ წარმოუდგენია, თუ რა სამძიმოა ჭეშმარიტ ხელოვნად, მითუმეტეს – ნამდვილ პოეტად ყოფნა. არა, სიყალბე ადვილია, მაგრამ სინამდვილე... ამ ჯოჯოხეთის გადმოცემა მიჭირს! ზუსტად არ ვიცი, თუ რატოა ასე, – თუ რატომ მიემგვანა ჭეშმარიტი პოეტების გზა და გზა გოლგოთისა ერთმანეთს, მაგრამ ეს რომ ფაქტია, ნელ-ნელა, წლების განმავლობაში, კარგად შევიგრძენით

მე და ჩემმა მეგობრებმა. რაც თავი მახსოვს, სულ ვწერთ, და ადრე, როცა გვეუბნებოდნენ, რომ უმძიმეს ტვირთს ვიკიდებთ ცხოვრებაში, ნაკლებად გვჯეროდა. ვეცნობოდით რა დიდ წინამორბედთა ცხოვრებას, კიდევ უფრო გააკვირვებულნი ვრჩებოდით: ვთქვათ, ცხრაასოცდაოთხში რომ ლეგენდარულ წიგნს – „მემენტო მორის“ გამოსცემ (ტერენტი გრანელი), წესით და რიგით ხომ ბედნიერება შენი საკუთრება უნდა გახდეს, მაგრამ თვით იმ წიგნის სათაურიც კი სხვა რამეს ამბობს: „გახსოვდეს სიკვდილი“. და ამ ტრიუმფიდან ათი წლის თავზე ტრიუმფატორი იღუპება! საქართველოში დაიწერა კიდევ ერთი ტრაგედია პოეტის სიცოცხლე-სიკვდილის შესახებ... ანდა: კაც-ლეგენდას გალაკტიონ ტაბიძეს როგორ განუვითარდა გზანი ცხოვრებისანი ისე, რომ ბოლოს თავისივე ნებით ცამეტი მეტრის სიმაღლიდან დაენარცხა ქვაფენილს?! კაცმა უნიკალური ტომები გამოსცა და საკუთარი ცხოვრება კი ვერ მოაგვარა (როგორც ჩანს, მავანთა და მავანთა „წყალობით“)...

ასეა ხელოვანი. ესაა ბედი პოეტის. ბოდლერის იმ ცნობილი ლექსისა არ იყოს, პოეტი ცაში ღაღად დაფრინავს, მაგრამ მიწაზე სიარული უჭირს. იგი ისეთ საქმეებს აკეთებს, რომელთა აწევას ვერც კი წარმოიდგენს ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ სამაგიეროდ რაც ჩვეულებრივთათვის არც ისე რთულია (მაგალითად: საკუთარი ცხოვრების მოწყობა), პოეტისათვის შეუძლებელი ხდება. ეს იმიტომ, რომ მას სხვა ღირებულებები გააჩნია და კონცენტრაციას ვეღარ აკეთებს, მისი აზრით, წვრილმან საქმეებზე. აი, ისევ გავისხენებ გრანელს:

„არ არის დიდი დანაშაული,
თუ ვერ მოვაწყვე ჩემი ცხოვრება.“ –

ხედავთ?! ესაა ხედვა ხელოვანის. და ნიშნავს პოეტობა სიკვდილთან წილნაყარობას. იგი, მთხვევლი ლექსთა, იგი, რომელიც სიტყვათა ძმობით ქმნის გრანდიოზულ პოეტურ იმპერიებს, წმინდა იმპერიებს, ხშირად უსუსურია არაპოეტური რეალობის პირისპირ მდგარი.

მაგრამ ხელოვანისათვის როგორც სიცოცხლე, ასევე სიკვდილი, უკვდავებაა მხოლოდ. და გრძნობს რა ამას, იგი გულისრულად აგრძელებს გზას საკუთარი გოლგოთისაკენ.

პოეტი ვერაფრით დათმობს ლექსს.

და სწორედ ესაა გადმოცემული გულნაზ ხარაიშვილის იმ ქმნილებაში, რომელსაც ეწოდება „რაა სიცოცხლე?“

ღიახ, სიცოცხლე ხელოვანისათვის – ქმნადობაა ხელოვნებისა.

და ყველა ადამიანი პოეტია, ოღონდაც მეტ-ნაკლებად.

და ვინც მეტად არის პოეტი,

და ვინც მართლა არის პოეტი, იგი ადვილად გაიგებს იმ სამკუპლეტიანი ლექსის სულს, მისი დედააზრის სიმრთელეს.

სხვათა შორის, ლექსში ჩამაფიქრა ერთმა ხაზმაც: „გრძნობით „ურმული“ თუ არ ვიმდერეო“.

რატომ მაინცადამაინც ურმული?

რისი სიმბოლოა ეს? – ვფიქრობდი.

მერე გამახსენდა, რომ „ურმულს“ საუკეთესოდ მდეროდა ფოლკის მეფე – ჰამლეტ გონაშვილი (თუმცა რას აღარ მდეროდა საუკეთესოდ!).

ღიახ, ფოლკლორში, ფოლკლორულ სიმღერებში, „ქართველ ჰამლეტს“ (აქ: ასოციაცია დანიის პრინც ჰამლეტთან) ბადალი არა ჰყავდა. იგი იყო, ზუსტადაც რომ სიმღერის პოეტი, პოეტი მთელი მუსიკალური სამყაროსი.

და ლექსში, იმ სტრიქონით, გულნაზიმ თითქოს მინიშნება გააკეთა ჰამლეტ გონაშვილის შესახებ, ანუ – იგი გაიაზრა, როგორც სიმბოლო ხელოვანის ჭეშმარიტებისა... აქ აღარ განვაგრძობ ამ თემას ისედაც ბევრია ზოგადი, მაგრამ, ჩემი აზრით, საჭირო ლაპარაკი ამ წიგნში...

როგორც ამბობენ, გულნაზ ხარაიშვილს რამოდენიმე ათასი ღონისძიება აქვს ჩატარებული. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს კოლოსალური ციფრი მაშინ, როცა რამდენიმე ათეული (და არა – ათასეული) ღონისძიების ჩატარებაც კი უდიდეს ენერგიას მოითხოვს საქართველოში. აქ ხომ თითქმის ყოველთვის ასეა, – არავინ არაფერს აფინანსებს. ხოდა

როდემდე უნდა იღვაწონ ცარიელ ენთუზიაზმზე კულტურის მუშაკებმა!

მაგრამ თუკი არსებობს ფანატიკური დამოკიდებულება საქმისადმი;

და თუკი არსებობს რწმენა იმისა, რომ დიდ საქმეს ემსახურები;

მაშინ, ალბათ, შეძლებ რამდენიმე ათასი ღონისძიების ჩატარებასაც კი.

ყოველ შემთხვევაში, ქალბატონ გულნაზს მართლაც ძალიან უყვარს საერთო შეკრებების მოწყობა, მოწყობა როგორც სამეცნიერო, ასევე ლიტერატურული სადამოებისა. სწორედ ლიტერატურული, სწორედ პოეტური სადამოებია მთავარი ნიბლი მის ღონისძიებათა. აბა რა შეედრება იმ განცდას, ლექსი რომ ცეცხლივით წაეკიდება რეალობას და ფერფლავს მას, ხოლო შემდეგ მთელი დარბაზი გადადის რაღაც არარეალურ, მისტიკურ სამყაროში...

გულნაზ ხარაიშივლი საოცარი აქტიურობით გამოირჩევა. ჯერ ხომ ორი წელიც არაა სრულად, რაც მას ვიცნობ, და უკვე რამოდენიმე ათეული ღონისძიება მინახავს მის მიერ ჩატარებული. მეტ-ნაკლები წარმატება ყველა მათგანს ჰქონდა, ხოლო ზოგიერთი საერთოდ დაუვიწყარი იყო.

პირადად ჩემთვის, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ქალბატონ გულნაზის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათაგან, იყო უკვე ნახსენები სადამო ჩემივე ჯგუფის – „ზღვარისა“ ჩატარებული დიდ ტაძარში. ეს ზემი, პოეზიისა, ჯერ მამა სტეფანემ აკურთხა, ხოლო უშუალოდ სადამოს დასაწყისში ყველანი დაგველოცა მამა თადეოზმა.

პოეზიის სადამო მხოლოდ მისი ძალმოსილებით კი არ იზომება, არამედ – მისივე მნიშვნელობითაც, და განსაკუთრებით ამ მხრივ – მნიშვნელოვანების მხრივ, ტაძრის სადამო თითქმის შეუდარებელი იყო ჩვენთვის, რამეთუ იქ კიდევ ერთხელ, თანაც – ყველაზე მკვეთრად გაესვა ხაზი „ზღვარის“ წამყვან ადგილს თანამედროვე ხელოვნებაში. (ერთ-ერთ წამყვან ადგილს, – ასე უფრო ვიტყვოდი).

ადრეც ხომ უამრავ პოეტურ სადამოს ვატარებდით, მაგრამ არცერთ იმათგანს არა ჰყოლია გუღნაზ ხარაიშივილის მსგავსი ორგანიზატორი. მახსოვს, მაგალითად, ორიათასცხრა-ათ წლებში ჩატარებული ჩვენი გასაოცარი სადამოები თბილისისა და ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთაც, უმეტესწილად, ახალგაზრდობა (უფრო – სტუდენტები) ესწრებოდა, და იქ ემოცია, მუხტი, უმაღლესი იყო. მიუხედავად ამისა, იმ შეხვედრებზე ჩვენ მაინც გეჰქონდა გარკვეული დაძაბულობა, აქ კი, სატადრო სადამოზე, ყველაფერში იგრძნობოდა გამოცდილი ხელი ადამიანისა, რომელიც მართავდა ყველა პროცესს. ქალბატონ გუღნაზს წინასწარ გაეთვალა თითქმის ყველა დეტალი. იგი იმ დღეს იყო ისეთი მშვიდი, გულდინჯი, რომ სწრაფად მოგვეხსნა ყველანაირი დაძაბულობა და, საბოლოო ჯამში, ჩვენმა იმდღევანდელმა გამოსვლებმა (კახა იყო განსაკუთრებით კარგ ფორმაში) ყველა გაცხადებულ-აღფრთოვანებული დატოვა.

საერთოდ, მემამყება, რომ „ზღვარი“ რჩეული ჯგუფია გუღნაზ ხარაიშივილისათვის. მან, დიდმა ადამიანმა, ორი ლექსი მოგვიძღვნა ჩვენ – ამ ჯგუფის წევრებს. ჩემდა სამარცხვინოდ, საპასუხო ლექსი ჯერ არ დამიწერია მისთვის, მაგრამ თუ ამ წიგნს ერთ დიდ ლექსად ჩამითვლის, გინდაც – პროზაულ პოემად, ამით მგონი არაფერი დაშავდება.

ჯერ-ჯერობით, ქალბატონი გუღნაზის ერთ-ერთი უკანასკნელი მკვეთრი გამარჯვებაა, მის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი სადამო ნორჩი ათინათელებისა, რომელიც ახლახანს შედგა საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის დიდ დარბაზში. გუღნაზი, თამარ ჯაჭვაძე, ლამარა გერგედავა და კიდევ რამდენიმე ქალბატონი იყვნენ ამ ყოველივეს ორგანიზატორნი. რაღა თქმა უნდა, ყველაფერს ისევ გუღნაზ ხარაიშივილის დაკვირვებული მხერა და გულისყური აწესრიგებდა. სადამოს ესწრებოდა გენიალური პოეტის – ტერენტი გრანელის ნათესავი, ბატონი მამანტი, რომელსაც ლერი ალიმონაკთან და სხვა ცნობილ პიროვნებებთან ერთად ბევრი რამ გაუკეთებია თავისი დიდი წინაპრის სახ-

ელის პოპულარიზაციისთვის. დიდებული მხატვარი-ლიტერატორი რეზო ადამიაც იყო დარბაზში. იქ ვნახე, აგრეთვე, ზოგი სხვა ცნობილი სახეც.

სადამოს პირველი ნაწილი ნორჩ ათინათელებს ეძღვნებოდა (ისინი კითხულობდნენ ლექსებს და ჩანახატებს, უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ), ხოლო მეორე ნაწილი მიეძღვნა საქართველოს ლეგენდას – გრანელს. მე მომეწონა ბავშვებისა და უდიდესი პოეტის ასეთი ერთობლიობა. ამან გამახსენა გრანელის სიტყვები:

„აქ ბავშვები ა. მოდით ბავშვებო,
თუ სხვა იმედი ჩემთან არ მოვა...“

მომეწონა თაობა, რომელმაც ჩვენ, ყველანი, ნელ-ნელა უნდა ჩაგვანაცვლოს; თაობა, რომლის ერთ-ერთი მოძღვარი არის სწორედ გულნაზ ხარაიშვილი – დიდი ქალბატონი თანამედროვე ქართული კულტურისა.

მან ყველა დროს გაუძლო და ყველა სიძნელე გადალახა. ყოველთვის, ყველგან, ემსახურებოდა რა ქართულ კულტურას, ქმნიდა მისი პიროვნების გარშემო თანამოაზრეთა ერთობლიობებს, რომელთა ხელშეწყობითაც შემდეგ დიდ გეგმებს ახორციელებდა და სჭედდა საკუთარი ცხოვრების ლეგენდას.

მან ღირსეულად გაიარა წითელი ეპოქა კომუნისტების დროისა.

შემდეგ, მოვიდა რა მრგვალი მაგიდის ტრიუმფირატი (ზვიადი, აკაკი (კაკო) ასათიანი, ნემო ბურჭულაძე. იცით, – მერე გაპრეზიდენტდა კიდევ ამათგან პირველი), მოვიდა ქვეყნის დამოუკიდებლობაც და საქართველო ისევ იქცა ნამდვილ სახელმწიფოდ.

თუმცა მალე დაემხო ეროვნული მთავრობა. დაიწყო ისევ წითელი (თუ – მოწითალო) ეპოქა, ეპოქა მძვინვარების, რომელმაც აგერ ოც წელზე მეტხანს გასტანა.

გულნაზ ხარაიშვილმა ღირსეულად გაუძლო ამ ეპოქასაც. იგი აქაც, ამ ოცწლიან სისხლისა და ცეცხლის ხანაშიც, ამ მიტინგების, ომების, რევოლუციების ხანაშიც დარჩა

მსახურად ქართული კულტურისა. მძიმე დროში, როცა ბევრი რამ ინგრეოდა, იგი და მისთანა ენთუზიასტ-ფანატიკოსები აშენებდნენ, ჯიუტად აშენებდნენ ჩვენი კულტურის კედელს.

და ასე იქმნებოდა...

იქმნებოდა ქართული ლეგენდა, ქართული მითი...

და ახლაც – უმძიმესი რამოდენიმე ათეული წლის გამოძვლელი გულნაზ ხარაიშვილი რჩება ისევ უცვლელ ბურჯად ჩვენი კულტურისა, ჩვენი ერის სულიერი საგანძურისა.

იგი შრომობს, შრომობს ბოლომდე.

იგი ქმნის.

და ამ ქმნალობით მალღდება, ასე ადის ის თავისი ცხოვრების მწვერვალზე.

ახლაც ჩამესმის პოეტის სიტყვები:

„მე მაქვს მიზანი, –

ჩემი ფეხით მწვერვალზე მივალ...

თუ ვერ მივალწევ...

ჩემი სიცოცხლეც დამთავრდება...“

მაშ, ან სიკვდილი ან გამარჯვებაო?!

გამარჯვება, ქალბატონო გულნაზ!

ამინ!..

ე პ ი ლ ო გ ი

აგერ, სრულდება ჩემი წიგნი, რომელიც არცთუ დიდია, მაგრამ საბოლოო ჯამში მან მიიღო საკმაოდ რთული, შერეული რომანის სახე. სირთულე გამოიწვია იმან, რომ, ძირითადად, მე ვწერდი პოეტსა და პოეზიაზე, ხოლო პოეზია, როგორც უპირველესი ხელოვნება, თავის თავში ყველაფერს მოიცავს. იგი თვითონ არის რთული მოვლენა-ფენომენი. ამიტომაც გაჭირდა წიგნზე მუშაობა.

პოეზიის სიდიადე ყოველწამს საგრძნობია. ერთხელ, მაგალითად, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა, რომ დამე-სახელებინა ყველა დროისა და ხალხის შვიდი უდიადესი

პიროვნება. მე რამდენიმე ვერსია დავასახელე ამ შვიდეულისა. ერთი იმათგანი ასე გამოიყურებოდა (ქრონოლოგიის მიხედვით): გილგამეში, ჰომეროსი, ღმერთკაცი იესო, ჩვენი რუსთველი, დანტე, გოეთე და ბეთჰოვენი. მერე, როდესაც ჩავაკვირდი ამ შვიდეულს, ყველა მათგანში სრული პოეტი შევიცანი! აგერ, გადავაველოთ თვალი: „შუმერთა მეფე გილგამეში უხსოვარ დროში მეფობდა და იყო ერთი უპოეტურესი გმირთაგანი. ამადაც არის, პოემამ რომ შემოგვინახა მისი სახე. (ხანდახან ამასაც კი ვფიქრობ: ეგ ეპოსი, მას რომ ეძღვნება, თვითონვე ხომ არ შექმნა-მეთქი). რაც შეეხება ძველებერძენ ჰომეროსს, ქართველ რუსთაველს, იტალიელ დანტეს, გერმანელ გოეთეს, ესენი ხომ, პირდაპირ, სიმბოლონი არიან პოეზიისა. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი კი ერთი ყველაზე უფრო პოეტური მუსიკოსთაგანი იყო, ასე ვიტყვოდი: პოეტი-მუსიკოსი.

ხოლო რაც შეეხება ღმერთკაც იესოს – ყველაზე უფრო ნათელ ნიშანსვეტს კაცობრიობის ისტორიისას, ვფიქრობ, რომ მან საკუთარივე ცხოვრებით დაწერა უდიდესი პოემა, გრანდიოზული მისტერია-ფინალით (ჯვარზე ასვლა, სიკვდილი, აღდგომა), და იქცა სიმბოლოდ აბსოლუტური პოეტისა და პოეზიის.

მაშ, პოეზია არის უფალი.

მაშ, იგი მართლაც არის სამყარო.

და როცა მას ეხები, როცა მასზე წერ, რთულია მუშაობა.

საქართველოში – პოეზიის ქვეყანაში, კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გეკისრება, როცა პოეტებსა და პოეზიაზე წერ. აქ ხომ ისეთი ტიტანები მოღვაწეობდნენ, რომ, სხვადასხვა დროს, თვით ილიას და გალაკტიონსაც კი ჰყავდათ თანამეფენი (ანტიმეფენი), ანუ პოეტი-მეტოქეები, რომელნიც ამ გენიოსებს პირველობაში ეცილებოდნენ.

ჩვენს ქვეყანაში პოეზიის უმთავრესი სახე-სიმბოლო კი მაინც შოთა რუსთაველია. მისი მართლაც გრანდიოზული პოემა (ათას კუპლეტს რომ გვარიანად აჭარბებს) მთელი ხელოვნების მწვერვალად მიმაჩნია საქართველოში (და არა

მარტო საქართველოში). ეს გრანდ-პოემა იესოს სიტყვასავით მიუწვევლობელი სიმაღლეა.

და ამ ყოველივეს შემდეგ, ასეთი თავბრუდამხვევი სიმაღლეების, ასეთი ავტორიტეტების შემდეგ განა ადვილია, რომ ჩვენში, საქართველოში, პოეტსა და პოეზიაზე რაიმე განსაკუთრებული დაწერო, რაიმე დაწერო საერთოდ?!

მაგრამ მე მაქვს მკითხველის გულმოწყალების იმედი.

თანაც, ჩემი ამოცანა არ იყო ბიოგრაფიული რომანის შექმნა წარსული დროის რომელსამე გენიოსზე. ასეთ შემთხვევაში ხომ ნაშრომს, ალბათ ვერასოდეს დავასრულებდი. არა.

მე მხოლოდ თანამედროვე პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ დავწერე რომანი. ეს კი დასაშვებია. ეს თემა, ასე თუ ისე, დასაძლევია აღმოჩნდა ჩემთვის, და რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ წიგნი დასრულდა. ახლა მაისია და, აგერ, ეპილოგზე ვმუშაობ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლოში გავედი.

მაგრამ გულნაზ ხარაიშვილი ხომ მარტო პოეტი არაა, იგია, ამავე დროს, ძალიან აქტიური საზოგადო მოღვაწეც, ეს კი წიგნის შექმნისას ხელს მიშლიდა, რადგანაც სულ ახალ-ახალი ამბები ხდებოდა ჩემი მუშაობის პარალელურად, ამ ამბებს სწორედ რომ ქალბატონი გულნაზი წარმართავდა, ხოლო ისეთი იყო მათი სიმრავლე, რომ ბევრი მათგანი, – ბევრი საინტერესო რამ ვეღარ დავაფიქსირე ამ წიგნში, რაზედაც ახლა გული მწყდება.

რას იზამ... ერთ ნაშრომში ყველაფერს ვინ ჩაატყვეს...

ყველაზე მეტად მაინც იმაზე მწყდება გული, რომ ვეღარ აღვწერე ჩვენი უკანასკნელი (ჯერ-ჯერობით უკანასკნელი) ჩასვლა რუსთავში, და იქ, მეჩვიდმეტე საშუალო სკოლაში მოწყობილი მათი დაუვიწყარი დახვედრა, ეს ღონისძიება კი თავიდან ბოლომდე ორგანიზებული იყო სწორედ გულნაზ ხარაიშვილისა და იმ სკოლის დირექტორის გურანდა სირბილაძის მიერ. ჯგუფ „ზღვართან“ ერთად ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დიდებულიმა მეცნიერმა გია კვაშილა-

ვამ, რომლის სახელიც პოპულარული გახდა ფესტოსის დისკოსთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ. რუსთავში, იმ შეკრებაზე, იყვნენ სხვა ცნობილი ადამიანებიც: გარი ჩაფიძე, ზაურ ნოზაძე, თამარ ჯაჭვავაძე, ლამზირა შეყილაძე, ლია ოსიაშვილი და სხვანი. მაგრამ ყველაზე მეტად, პირადად მე, დამამახსოვრდა სკოლის მოწაფეები, რომელთა გულწრფელმა დახვედრამ მართლაც რომ ვარსკვლავებად გვაგრძნობინა თავი.

ეს იყო ერთი დაუფიწყარი ზეიმი იმ უამრავთაგან, რომელნიც მოაწყო გულნაზ ხარაიშვილმა თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე. როგორც საზოგადო მოღვაწისა, – ამ ადამიანის სიმადლე ძალიან დიდია.

რაც შეეხება გულნაზ ხარაიშვილს, როგორც ხელოვანს, უწინარესად – როგორც პოეტს, ამ შეთხვევაში იგი ყოველთვის ქედს იხრის ჩვენი წარსული დროის გენიოსების წინაშე, მაგრამ სწორედ მათ მიერვე შთაგონებული, ძირითადად სწორედ მათსავე ხელოვნებაზე აღზრდილი, ქმნის თავის პოეტურ სამყაროს, ვრცელს და უაღრესად საინტერესოს, რაც ნაწილობრივ მაინც განვიხილეთ ამ წიგნში.

მთლიანობაში მე შევეცადე დამეხატა სურათი იმ ქალბატონისა, რომელიც წარმატებულია როგორც საზოგადოებრივ, ასევე ლიტერატურულ ფრონტზე.

მის მიერ შექმნილ სტროფთაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახმაურებული იგია, ამ წიგნში რომ ერთხელ უკვე გადმოვწერე:

„ლექსი მამშიდებს... ლექსი მშია, ლექსი მწყურია...“

სიცოცხლე არის ზეციური ღმერთის წყალობა.

ჩემი ლექსები სიოსავით საამურია;

მიაყურადეთ... გაიგონეთ სულის გალობა...“

რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო ეს სტროფი, ყოველთვის მაოგნებს იგი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ქალსაც შეეძლო პოეზიის – ამ „მამაკაცური ხელოვნების“ ამგვარი აღქმა-შეგრძნება, მისი ასეთი ფანატიკური შეყვარება, მისით და მასში (პოეზიაში) ასე ცხოვრება!

მთელი სიცოცხლე ლექსიაო, პოეზიაო;
და ამიტომაც არისო იგი ღმერთის წყალობა;
პოეზია სულის გალობა არისო...
ყველაფერში დავეთანხმე. ვაღიარე. ვირწმუნე.
თუმცა აი, ეს ხაზი რომ არის, ეს სტრიქონი, – ჩემი ლექსები სიოსავით საამურიაო...

არა, მისი ლექსები ხშირ შემთხვევაში მართლაც სიოსავით საამურია, მაგრამ განა ყოველთვის? ზოგ იმათგანში ხომ უზარმაზარი ტკივილია ჩატეული!

თუმცა, როგორც ჩანს, ქალბატონმა გულნაზიმ უკეთ იცის, რასაც ამბობს, რამეთუ პოეზიაში შეტანილი ტკივილი, გაპოეტურებული ტკივილი ხომ გოლგოთაა სწორედ, ხოლო გოლგოთა ახალი ნათლის წინამორბედია, – წინამორბედია, იგი, ბრწყინვალე აღდგომისა...

ამგვარი ფიქრით, ამგვარი განცდით მივედი ფინალთან.
და ეს წიგნი, სჯობს, სწორედ ასე დასრულდეს...

ფასი სახელშეკრულებო



რომ მომავლოთ მედლები და სატიტულეთი,
დამტოვოთ მარტო, წიგნებით და ჩემი ლექსებით...
იქ მოგროვდება ყველა ერთად, ცა და ხმელეთი...
რომელსაც ნაზად, ქალურობით გვაღერსები.
სიკეთის მთესველს ღმერთი მიყვარს ყველაზე მეტად...
ზღაპრებსაც ვიწერთ... თუმც არა ვარ დიდი მწერალი.
ლექსი უვილია, საზრუნავად ეს დამემატა,
მე ლექსთან ერთად მსურს დაგაყვრო ყველა მწვერვალში...

ISBN 978-9941-0-5820-2



9 789941 058202